ამის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადამ სმიტის ეგრეთ წოდებული “უხილავი ხელის” ალტერნატივა და, მაშასადამე, ეკონომიკური ფაშიზმის ალტერნატივაც, არის რეველუციური ცვლილებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების მიზნობრივ მიმართულებაში „წმინდა“ ეკონომიკური მიზნობრივი მიმართულებიდან – სოციალური (ჰუმანოსოციალური) მიზნობრივი მიმართულებისაკენ, რაც განხორციელებადია (შესაძლებელია) მხოლოდ ჩემს მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებების და პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიების საფუძველზე – სოციალური მიზნის ფილოსოფიის საფუძველზე, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის საფუძველზე და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე.

ამასთან, მოცემულ სამეცნიერო ნაშრომში განხილულია თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია – როგორც საზოგადოებაში და სახელმწიფოში ეკონომიკური ფაშიზმისა და კრიმინალური ბიზნესის აღმოფხვრის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი.

**ბიზნესი – BUSINESS**

*ნათელა ლაცაბიძე,*  
აკადემიური დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*მურმან ცარციძე,*  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*გიორგი ხმალაძე,*  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს დამოუკიდებელ ბულალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება

*ნიკოლოზ ხმალაძე,*  
აკადემიური დოქტორი,  
საქართველოს დამოუკიდებელ ბულალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება

**საწარმოს (ბიზნესის) უმფასავის მეთოდები და პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებები**

**რეზიუმე.** ნაშრომში განხილულია საწარმოს (ბიზნესის) შეფასების საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული და სტანდარტებით დაშვებული სამი ძირითადი მიდგომის (საბაზრო, შემოსავლების, დანახარჯების) სხვადასხვა მეთოდი. ავტორები იზიარებენ სპეციალისტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში არ არის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული მიდგომა ან რეკომენდაცია შეფასების რომელიმე მეთოდის გამოყენების თაობაზე, იგი უნდა შეირჩეს კონკრეტული ამოცანის გათვალისწინებით. შემფასებელი თავისუფალია შეფასებისადმი მიდგომაში და შეფასების მეთოდის შერჩევაში. მთავარია, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მოიძებნოს ყველაზე შესაფერისი მეთოდი, გაანალიზდეს შესაძლო მიდგომებისა და მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული მეთოდის გამოყენებისათვის საჭირო საიმედო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სტატიაში შეფასებულია საბაზრო, შემოსავლების და დანახარჯების მიდგომის კონკრეტული მეთოდების დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები, დასაბუთებულია ბიზნესის შეფასების პროცესში ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შეფასების აუცილებლობა. ხაზგასმითაა მითითებული, რომ სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკთან და ბიზნეს-საქმიანობისთვის უცხო არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევის ან ბიზნეს-გეგმით გაწერილი შემოსავლების მიუღებლობით განპირობებული დანაკარგები. საქართველოში ბიზნესის შეფასებისას განსაკუთრებით საყურადღებოა მაკროეკონომიკური რისკების განმაპირობებელი ფაქტორები-ინფლაციის დონე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და ტემპები, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილება, პოლიტიკური არასტაბილურობა.

**საკვანძო სიტყვები:** საწარმოს (ბიზნესის) შეფასება, შეფასების მეთოდები, შემფასებელი, დანახარჯები, ღირებულება, შემოსავლები, აქტივების ღირებულება, საბაზრო ვარიანტი.

**შესავალი**

საწარმოს (ბიზნესის) შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს სრულიად განსხვავებული მიზნებით. ვიღაცა გეგმავს ბიზნესის ყიდვას, გაყიდვას ან შერწყმას, სხვა გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ ფონს ვერ გავა სესხის აღების გარეშე ან საჭიროდ თვლის ბიზნესის დაზღვევას და ა.შ. რა მიზნითაც არ უნდა განხორციელდეს ბიზნესის ღირებულების განსაზღვრა, იგი

არც ისე მარტივი საკითხია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ბიზნესის შეფასება რთული, ძვირადღირებული და შრომატევადი პროცესია. საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული პროცედურებისა და პროფესიული სტანდარტების ნორმების მიხედვით, არ არის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული მიდგომა ან რეკომენდაცია შეფასების კონკრეტული მეთოდის გამოყენების თაობაზე, სპეციალისტები გვირჩევენ, რომ შეფასების მეთოდი შერჩეული უნდა იყოს ბიზნესის შეფასების კონკრეტული ამოცანის გათვალისწინებით. საწარმოს (ბიზნესის) შეფასების მთავარი სირთულე ისაა, რომ უნდა განისაზღვროს საწარმოს ყველა აქტივის ღირებულება არამატერიალურის ჩათვლით. განსაკუთრებით სპეციფიურია განისაზღვროს რა ღირს საწარმოს რეპუტაცია, სასაქონლო ნიშანი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ შეფასებისას შემფასებელი თავისუფალია შეფასებისასადმი მიდგომაში და შეფასების მეთოდის შერჩევაში. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, არცერთი მეთოდი და მიდგომა არ არის უპირატესობის მქონე შეფასებისას, პროფესიონალ შემფასებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი შეფასების მიზნისა და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით.

შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, კერძოდ, სტანდარტი 200-სამეურნეო სუბიექტები და ინტერესი (წილი) სამეურნეო სუბიექტში, დასაშვებად მიიჩნევა შეფასებაში სამი ძირითადი მიდგომის-**საბაზრო, შემოსავლების და დანახარჯების მიდგომების გამოყენებას** (1-105). შეფასების თითოეული მიდგომა მოიცავს ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულ მეთოდებს. როგორც შეფასების საერთაშორისო სტანდარტებშია მითითებული, შეფასების მიდგომებისა და მეთოდების შერჩევის მიზანია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მოიძებნოს ყველაზე შესაფერისი მეთოდი. შერჩევის პროცესი, აუცილებლად უნდა მოიცავდეს რიგი ფაქტორების განხილვას:

- ✓ ღირებულების შესაფერისი საფუძველი და შეფასების წინაპირობა, რაც განისაზღვრება შეფასების დავალების წინაპირობებისა და შეფასების მიზნის გათვალისწინებით;

- ✓ შეფასების შესაძლო მიდგომებისა და მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები;

- ✓ კონკრეტული მეთოდის/მეთოდების გამოყენებისათვის საჭირო საიმედო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა(1-59).

შემფასებელმა სამივე მიდგომაში მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შესაფერისი ემპირიული საბაზრო ინფორმაცია, ჩატაროს ამ საბაზრო მონაცემებისა და დაშვებების სათანადო ანალიზი და დაასაბუთოს მათი გამოყენების მიზანშეწონილობა კონკრეტული შეფასების მიზნებისათვის. მართალია, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შემფასებელს არ მოეთხოვება ერთზე მეტი მეთოდის გამოყენება, მაგრამ შეუძლია განიხილოს რამდენიმე მიდგომისა და მეთოდის გამოყენების საკითხი და გამოიყენოს კიდევ ღირებულების მაჩვენებლის დასადგენად. თუ სხვადასხვა მიდგომისა და მეთოდის გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად განსხვავებული ღირებულებითი მაჩვენებელი მიიღება, შემფასებელმა სათანადო პროცედურების ჩატარების საფუძველზე უნდა დაადგინოს, რატომ არის განსხვავებული ღირებულების მაჩვენებლები და ერთი რომელიმე მიდგომის/მეთოდის საფუძველზე მიიღება თუ არა უფრო საიმედო მაჩვენებელი (1-61).

### **საწარმოს (ბიზნესის) შეფასების მიდგომები და მეთოდები**

საწარმოს (ბიზნესის) შეფასების მეთოდებზე მსჯელობა მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავიწყოთ **საბაზრო მიდგომით**, რომლის ყველა მეთოდი ეფუძნება კონკურენციის პრინციპს. თავისუფალ საბაზრო გარემოში, მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებას ბიზნეს აქტივების ფასი მოჰყავს გარკვეულ წონასწორობაში. ერთი მხრივ, მყიდველი არ გადაიხდის მოცემულ ბიზნესში იმაზე მეტს, რაც ღირს ანალოგიური რისკის მქონე სხვა ინვესტიცია, ხოლო მეორე მხრივ, გამყიდველი არ

დათანხმდება იმაზე ნაკლებ ფასს, რაც ბაზარზე ანალოგიური საწარმო (ბიზნესი) ღირს. შეფასების საერთაშორისო სტანდარტებში ერთმნიშვნელოვნად არის მინიშნებული, რომ საბაზრო მიდგომით სამეურნეო სუბიექტების შეფასებისას გამოიყენება მონაცემების ყველაზე ტიპური სამი წყარო: საფონდო ბირჟები, სადაც იყიდება ანალოგიური სამეურნეო სუბიექტების საკუთრების წილები, ბაზარი, სადაც სამეურნეო სუბიექტების ყიდვა-გაყიდვა წარმოებს და განსახილველი სამეურნეო სუბიექტის აქციებზე ადრე განხორციელებული გარიგებები (1- 105,106). აღნიშნული მიდგომა უძრავი ქონების შეფასებისას გამოყენებული გაყიდვების შედარების მეთოდის მსგავსია. ერთი და იგივე ან ანალოგიური მიმართულების ბიზნესით დაკავებული კომპანიის აქციების საბაზრო ფასი, რომლებიც აქტიურად ვაჭრობენ თავისუფალ და ღია ბაზარზე, მისაღებია იყოს საბაზრო ღირებულების მაჩვენებელი გარიგებისას. მთავარია, შეირჩეს ანალოგიური საწარმოები შინაარსობრივად შედარებისათვის.

საბაზრო მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეფასებისას, შესაფასებელი საწარმო უდარდება უკანასკნელ პერიოდში ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ ობიექტებს. პროცესის მსვლელობისას ხდება შემდგარი გაყიდვების მონაცემების გამოკვლევა და მათ საფუძველზე კეთდება დასკვნა შესაფასებელი საწარმოს საბაზრო ღირებულების თაობაზე. შეფასების ამ მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანი მომენტია შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის საიმედოობა და ხარისხი. თუ შემფასებელი მოიპოვებს რამდენიმე ანალოგიური გაყიდვის მონაცემებს, მაშინ შესადარი მონაცემები რეპრეზენტატული იქნება და შეფასების ხარისხი და სანდოობა გაიზრდება. გაყიდვების შესახებ მოკვლეული ინფორმაცია უნდა იყოს ხარისხობრივად მსგავსი. ლოგიკურია, რომ შედარებისათვის საიმედო ბაზას წარმოადგენს ერთი ტიპის ბიზნესის, მფლობელობის ერთი და იმავე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაახლოებით ერთნაირი მასშტაბის საწარმოს (ბიზნესის) მონაცემები.

ბიზნესის შეფასების საბაზრო მიდგომა შეფასების მიზნის, ობიექტის და კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, გვთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ სამ მეთოდს: **კაპიტალის ბაზრის მეთოდი**-ანუ ანალოგი კომპანიების მეთოდი (როგორც სახელწოდებითაც ხშირად გვხვდება სპეციალურ ლიტერატურაში), ეფუძნება ღია საფონდო ბაზრებზე ფორმირებული ფასების გამოყენებას. უფრო კონკრეტულად, შესადარ ბაზას წარმოადგენს ერთი აქციის ფასი. **საბაზრო გარიგების მეთოდი** (იგი ცნობილია ასევე როგორც გაყიდვების მეთოდი) - ორიენტრებულია მთლიანად საწარმოს შექმნის ან საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნის ფასზე. თვით მეთოდის არსი განაპირობებს მისი ოპტიმალური გამოყენების სფეროს მთლიანად საწარმოს ან აქციების საკონტროლო პაკეტის შეფასების მიზნით. **დარგობრივი კოეფიციენტის მეთოდი** (დარგობრივი თანაფარდობის ანუ დარგობრივი მულტიპლიკატორების მეთოდი) - მისი გამოყენება მიზანშეწონილია ისეთ ვითარებაში, როცა შემფასებელი მიიჩნევს, რომ შესადარი გაყიდვების მონაცემები მწირი და ნაკლებსაიმედოა, ამ შემთხვევაში გამართლებულია ექსპერტმა შეფასება განახორციელოს სხვადასხვა დარგობრივი და რეგიონალური თავისებურებების გამოყენებით. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში დარგობრივი კოეფიციენტები გამოითვლება გარკვეული დარგის საწარმოების გასაყიდ ფასებზე და საწარმოების მნიშვნელოვან საწარმო-ფინანსურ მაჩვენებლებზე ხანგრძლივი სტატისტიკური დაკვირვების საფუძველზე.

საწარმოს (ბიზნესის) შეფასების საერთაშორისო პრაქტიკაში **ადიარებული შემოსავლებზე ორიენტრებული მიდგომა** დაფუძნებულია შემოსავლების ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაზე შემოსავლების მიღების რისკების გათვალისწინებით. მიდგომის ფარგლებში შემფასებლები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. ყველა მათგანი ემყარება ჰიპოთეზას, რომ ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება მისი უნარით - მოახდინოს ფულადი ნაკადების გენერირება.

სამეურნეო სუბიექტებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების შეფასება შესაძლებელია მრავალი გზით და ეს მეთოდები შეიძლება ეყრდნობოდეს დაბეგვრამდელ ან დაბეგვრის შემდგომ საფუძველს. შემოსავლების მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანია კაპიტალიზაციისა და დისკონტირების განაკვეთების განსაზღვრა. დისკონტირების გამოყენებისას მოსალოდნელი ზრდა შეიძლება აშკარად იყოს გათვალისწინებული პროგნოზირებულ შემოსავლებში, ხოლო კაპიტალიზაციის მეთოდებში მოსალოდნელი ზრდა, როგორც წესი, კაპიტალიზაციის განაკვეთში აისახება. შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: თუ პროგნოზირებადი ფულადი ნაკადი რეალური მაჩვენებლებით გამოიხატება, შემფასებელმა დისკონტირების ისეთი განაკვეთი უნდა გამოიყენოს, რომელიც არ ითვალისწინებს ინფლაციით ან დეფლაციით გამოწვეულ ფასების სამომავლო ცვლილებებს. შემოსავლების მიდგომის გამოყენებისას შეიძლება აუცილებელი გახდეს შეფასებაში კორექტირებების შეტანა, რათა აისახოს ისეთი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო ფულადი ნაკადების პროგნოზებში ან დისკონტირების განაკვეთში. საგულისხმოა, რომ ბევრი საწარმო შეიძლება შეფასდეს ფულადი ნაკადების ერთი სცენარის მიხედვით, მაგრამ შემფასებელს შეუძლია ასევე რამდენიმე სცენარის ან იმიტაციური მოდელების გამოყენებაც. უფრო კონკრეტულად აღნიშნული გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა უკავშირდება მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეს ან მათი წარმოქმნის ვადებს (1- 106,110). საშემფასებლო პრაქტიკაში, ვფიქრობთ, რომ გასათვალისწინებელია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მითითებები, სადაც აღნიშნულია, რომ არსებობს დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის და მიზანშეწონილობის დადგენის მრავალი მეთოდი, რომელთაგან პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება: **კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი (CAPM), კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი (WACC), ემპირიული (დაკვირვებადი) განაკვეთები/შემოსავლიანობა, უკუგების შიგა განაკვეთი (IRR), აქტივების საშუალო შეწონილი უკუგება (WARA), კუმულაციური მოდელი**, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც არ არსებობს საბაზრო საბაზისო მონაცემები.

შემოსავლების მიდგომის ფარგლებში შემფასებელი განსაზღვრავს საწარმოს ფულადი ნაკადების მოსალოდნელ დონეს, რისთვისაც იყენებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებს, ითვალისწინებს არატიპიურ შემოსავლებსა და ხარჯებს და ფულადი სახსრების ნაკადები შესაბამისობაში მოყავს მათ მიმდინარე ღირებულებასთან დისკონტის/კაპიტალიზაციის დასაბუთებული განაკვეთის გამოყენებით. სამომავლოდ მისაღები შემოსავლების გაზომვის ყველაზე პოპულარულ მეთოდებად საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულია **პირდაპირი კაპიტალიზაციის და ფულადი ნაკადების დისკონტირების** მეთოდები. კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია ერთ-ერთი მათგანის ან ორივეს გამოყენება. სპეციალისტების რეკომენდაციით, პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი გამოსაყენებელია ისეთი ობიექტების შესაფასებლად, რომელსაც მფლობელისათვის მოაქვს სტაბილური შემოსავალი და გრძელვადიან პერიოდში ხასიათდება შედარებით სტაბილური, პროგნოზირებადი შემოსავლებითა და ხარჯებით. მრავალი ათეული წლის გამოცდილების საფუძველზე შემოთავაზებული რეკომენდაცია, ვთვლით, რომ უდაოდ გასათვალისწინებელია საქართველოს საშემფასებლო პრაქტიკაში. რაც შეეხება დისკონტირების მეთოდს, მისი გამოყენება რეკომენდირებულია ისეთი საწარმოების შესაფასებლად, რომელთა შემოსავლები და ხარჯები გარკვეულწილად არასტაბილურია, აქვს სეზონური ან ციკლური ხასიათი და მნიშვნელოვნად მერყეობს საწარმოს ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპზე.

საწარმოს (ბიზნესის) შეფასება შემოსავლების მიდგომის ფარგლებში, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია განსხვავებული მეთოდებით. მიზანშეწონილად მივიჩნით, საწარმოს ღირებულების განსაზღვრის მაგალითის განხილვა საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული, შედარებით ცნობილი **დამატებითი ეკო-**

**ნომიკური მოგების (EVA) მაჩვენებლის საფუძველზე.** ბენნეტ სტიუარტის განმარტებით იგი წარმოადგენს სხვაობას დაბეგვის შემდეგ მიღებულ წმინდა საოპერაციო მოგებასა და კაპიტალის მოზიდვაზე გაწეულ დანახარჯებს შორის. დამატებითი ეკონომიკური მოგება (EVA) საშუალებას იძლევა შეფასდეს რეალური ეკონომიკური მოგება იმ საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომლებსაც აქციონერები და კრედიტორები მოითხოვენ შემოსავლებზე, არსებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. არსებობს მისი გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდი, რომელთაგან უფრო გავრცელებულია შემდეგი:

$$EVA = [ROI - WACC] \times CAPITAL \text{ employed}$$

ROI-კაპიტალის დაგროვების ნორმა;

WACC-კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულება;

CAPITAL employed-ინვესტირებულ კაპიტალის მოცულობა.

განვიხილოთ სიტუაცია, როცა ინვესტორმა უნდა მიიღოს სერიოზული გადაწყვეტილება დამატებითი ეკონომიკური მოგების (EVA) მაჩვენებლის გამოყენების საფუძველზე.

**მაგალითი:** საწარმო აწარმოებს გამაგრებელ სასმელებს. შეფასების მომენტისათვის ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე შეადგენს 100.0 მლნ დოლარს. მისი სტრუქტურა წარმოადგენილია შემდეგი სახით: 50.0%-საკუთარი და 50.0% მოზიდული კაპიტალი. მოზიდული კაპიტალის ღირებულება 5.0%-ა, ხოლო საკუთარი კაპიტალის 15.0%. საწარმოს საოპერაციო მოგება 11.0 მლნ. დოლარია.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე:

კაპიტალის დაბრუნების ნორმა შეადგენს 11.0 მლნ დოლარი/100.0 მლნ დოლარი\*100.0%=11.0%

კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულება=0.5\*15.0%+0.5\*5.0%=10.0%

მაშინ  $EVA = [ROI - WACC] \times CAPITAL \text{ employed} = (11.0\% - 10.0\%) \times 100.0 \text{ მლნ. დოლარი} = 1.0 \text{ მლნ. დოლარი}$

**დოლარი=1.0 მლნ. დოლარი**

საწარმოს ღირებულების განსაზღვრა დამატებითი ეკონომიკური მოგების (EVA) მაჩვენებლის გამოყენებით ხორციელდება შემდეგნაირად:

**საწარმოს ღირებულება (FV)**=ადრე დაბანდებული კაპიტალი+კაპიტალ-დაბანდებებიდან დამატებული ეკონომიკური ღირებულების მიმდინარე ღირებულება+ახალი პროექტების რეალიზაციიდან მიმდინარე დამატებული ღირებულებების ჯამი.

**მაგალითი.** პროგნოზირების პერიოდი 6 წელია. საოპერაციო მოგების წილი ამონაგების 20%-ს შეადგენს, მოგებიდან გადასახადი 24%-ია, საწარმოს საშუალო-შეწონილი ღირებულება 15%-ია. საჭიროა განისაზღვროს დამატებითი ეკონომიკური მოგების მაჩვენებელი (EVA) ყოველი პროგნოზული და პოსტპროგნოზული პერიოდისათვის და მისი მეშვეობით გამოითვალოს კომპანიის ღირებულება. გაანგარიშებისათვის საჭირო ყველა ძირითადი მაჩვენებელი წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი-1).

**ცხრილი-1**

**საწარმოს (ბიზნესის) ღირებულების შეფასება დამატებითი ეკონომიკური მოგების (EVA) მაჩვენებლის გამოყენებით (ათასი დოლარი)**

| მაჩვენებლები                                       | წლები |      |      |      |      |      | პოსტ პროგნოზი |
|--|-------|------|------|------|------|------|---------------|
|  | 1     | 2    | 3    | 4    | 5    | 6    |               |
| რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები                   | 1000  | 1200 | 1500 | 1500 | 1500 | 1500 | 1500          |
| მოგება გადასახადებისა და პროცენტების გამოქვითვამდე | 200   | 240  | 300  | 300  | 300  | 300  | 300           |
| წმინდა საოპერაციო მოგება დაბეგვის შემდეგ           | 152   | 182  | 228  | 228  | 228  | 228  | 228           |

|  |                |      |      |      |      |      |     |
|--|----------------|------|------|------|------|------|-----|
| ინვესტირებული კაპიტალი   | 1500           | 1600 | 1200 | 1200 | 1200 | 1200 | 900 |
| კაპიტალის საზღაური   | 225            | 240  | 180  | 180  | 180  | 180  | 225 |
| დამატებითი ეკონომიკური მოგება  | -73            | -58  | 48   | 48   | 48   | 48   | -73 |
| კაპიტალდაბანდებებიდან დამატებული ეკონომიკური ღირებულების მიმდინარე ღირებულება            | -63            | -44  | 32   | 27   | 24   | 21   | -63 |
| <b>EVA, პოსტროგნოზი</b>  | <b>138,34</b>  |      |      |      |      |      |     |
| <b>საწარმოს ღირებულება</b>   | <b>1606,83</b> |      |      |      |      |      |     |
| შენიშვნა-საწყისი ინვესტირებული კაპიტალის კორექტირებული სიდიდე შეადგენს -1470 ათას დოლარს |                |      |      |      |      |      |     |

დამატებითი ეკონომიკური მოგების (EVA) მაჩვენებლის გამოყენებას ბიზნესის შეფასების მიზნებისათვის აქვს რიგი დადებითი მხარეები, რადგან იგი:

✓ ინვესტიციების შედეგად შექმნილი „დამატებული“ ღირებულების გაზომვის ინსტრუმენტი;

✓ არის მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხის ინდიკატორი, მისი დადებითი სიდიდე მიუთითებს საწარმოს ღირებულების ზრდაზე, ხოლო უარყოფითი შემცირებაზე;

✓ წარმოადგენს კაპიტალის დაბრუნების ნორმის განსაზღვრის ინსტრუმენტს, რაც ხორციელდება საინვესტიციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადების გამოყოფის საფუძველზე;

✓ საშუალებას გვაძლევს განესაზღვროთ არა მარტო საწარმოს ღირებულება, არამედ შევაფასოთ მისი ქვედანაყოფებისა და ცალკეული ქონებრივი კომპლექსების ეფექტიანობაც.

დამატებითი ეკონომიკური მოგების (EVA) მაჩვენებლის გამოყენების უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი სიდიდეზე არსებითად მოქმედებს ინვესტირებული კაპიტალის საწყისი შეფასება, ამიტომ ხშირად საჭირო ხდება მისი კორექტირება და გარკვეული სუბიექტური დაშვებების გაკეთება, რაც აისახება ანგარიშის სიზუსტეზე.

შეფასების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამეურნეო სუბიექტებისა და სამეურნეო სუბიექტებში არსებული ინტერესების შესაფასებლად დასაშვებია ყველა მიდგომის გამოყენება (1-104). ასე, რომ საწარმოს შეფასებისას შემფასებლის გადაწყვეტილებით, საკვებით მისაღებია **დანახარჯების მიდგომის** გამოყენება, რომელიც აერთიანებს შემდეგ სამ მეთოდს:

✓ **ჩანაცვლების დანახარჯების (ღირებულების) მეთოდი.** მისი გამოყენებით საწარმოს ღირებულება განისაზღვრება ანალოგიური აქტივისათვის საჭირო დანახარჯების გამოთვლით. ჩანაცვლების დანახარჯები შემფასებელმა უნდა გააკორექტროს ფიზიკური და მორალური ცვეთის/მოძველების გამორიცხვით.

✓ **აქტივის ხელახლა შექმნის დანახარჯების (ღირებულების) მეთოდი.** ამ შემთხვევაში ღირებულება განისაზღვრება განსახილველი აქტივის ზუსტი ანალოგის ხელახლა შექმნის ღირებულების გამოთვლით;

✓ **დაჯამების მეთოდი** - აქტივის ღირებულება გამოითვლება თითოეული მისი შემადგენელი ნაწილის ღირებულებების შეკრებით.

საწარმოს შეფასებისას დანახარჯების მიდგომა შედარებით იშვიათად გამოიყენება, უფრო კონკრეტულად, შეფასების საერთაშორისო სტანდარტები ხსენებული მეთოდის გამოყენების რეკომენდაციას იძლევა იმ შემთხვევაში, როცა: საწარმო განვითარების საწყის ეტაპზეა, ან ახლად დაფუძნებულია და შეუძლებელია ფულადი ნაკადების საიმედოდ განსაზღვრა ან სხვა საბაზრო სუბიექტებთან შედარება; სამეურნეო სუბიექტი არის საინვესტიციო ან პოლდინგური კომპანია და

შესაძლებელია დაჯამების მეთოდის (დანახარჯების მიდგომის ერთ-ერთი მეთოდი) გამოყენება; სამეურნეო სუბიექტი არ არის ფუნქციონირებადი საწარმო ან მისი აქტივების ღირებულება ლიკვიდაციისას შეიძლება აღემატებოდეს სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ღირებულებას (1-110,111).

საწარმოს (ბიზნესის) შეფასებისას საერთაშორისო პრაქტიკაში შედარებით იშვიათად გამოყენებული დანახარჯების მიდგომა ეფუძნება ჩანაცვლების პრინციპს-რაციონალური ინვესტორი არ გადაიხდის ბიზნეს აქტივებისათვის იმაზე მეტს, რასაც დახარჯავდა ანალოგიური ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე აქტივებზე. ხსენებული მიდგომის ფარგლებში საწარმოს ღირებულების გაანგარიშების საფუძველი ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებია. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, საბალანსო ღირებულება საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის სხვაობაა და უდაოდ წარმოადგენს ღირებულების საზომს. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება იშვიათად ემთხვევა საბაზრო ღირებულებას (ბალანსში აქტივები აისახება საწყისი ღირებულებით, ამორტიზაციის გამოკლებით). გარდა ამისა, კომპანიის არამატერიალური აქტივების ღირებულება (მაგალითად გუდვილის ღირებულება) შეუძლებელია გაიმიჯნოს საწარმოს ღირებულებისაგან. ამიტომ აქტივების საბალანსო ღირებულების საფუძველზე განსაზღვრული ბიზნესის ღირებულება ნაკლებია მის საბაზრო ღირებულებაზე. აღნიშნული ნაკლის გარკვეულწილად გასწორების საშუალებაა კორექტირებული საბალანსო ღირებულება, როცა აქტივების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო მონაცემთა ბაზის გამოყენებით და გაანგარიშებებში აისახება აქტივების საბაზრო ღირებულება. მატერიალური აქტივებისა და ვალდებულებების კორექტირებული საბალანსო ღირებულება, ვთვლით, რომ მსოფლიო ორიენტრია საფასო დიაპაზონის ქვედა ზღვარისათვის, ასევე წარმატებით შეიძლება მისი გამოყენება შეფასების შემოსავლებისა და საბაზრო მეთოდებით მიღებულ შედეგებთან შესადარებლად. მნიშვნელოვანია დანახარჯების მიდგომის გამოყენებისას შემფასებელმა ღირებულება განსაზღვროს აქტივების ფუნქციონალური, ეკონომიკური და ფიზიკური ცვეთის კორექტირებებით. ფუნქციონალური ცვეთა ითვალისწინებს ბიზნესის აქტივების ღირებულების შემცირებას, როცა აქტივები აღარ გამოიყენება ისეთივე ეფექტიანობით, როგორც ანალოგიური ახალი აქტივები. ეკონომიკური ცვეთა გარემოს ზემოქმედებაა ბიზნესზე, მაგალითად, რეგიონში კონკურენციის ზრდა. ფიზიკური ცვეთა კიუკავშირდება აქტივის ღირებულების დაკარგვას გარემოს ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებისა და საერთო მოძველების გამო.

### დასკვნა

საწარმოს (ბიზნესის) შეფასების საბაზრო, შემოსავლების და დანახარჯების მიდგომების ფარგლებში განხილული მეთოდები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ გარკვეული დასკვნები და შევაფასოთ ცალკეული მიდგომის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები.

საბაზრო მიდგომით სამეურნეო სუბიექტების შეფასებისას გამოიყენება მონაცემების ყველაზე ტიპური სამი წყარო: საფონდო ბირჟები, სადაც იყიდება ანალოგიური სამეურნეო სუბიექტების საკუთრების წილები, ბაზარი, სადაც სამეურნეო სუბიექტების ყიდვა-გაყიდვა წარმოებს და განსახილველი სამეურნეო სუბიექტის აქციებზე ადრე განხორციელებული გარიგებები. შეფასების საბაზრო მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანი მომენტია შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის საიმედოობა და ხარისხი. ბიზნესის შეფასების საბაზრო მიდგომის დადებითი მხარეებიდან უნდა გამოიყოს შემდეგი:

✓ ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენება პირდაპირი საბაზრო ორიენტრები, მინიმალურია კორექტირებები და მაქსიმალურაა გამოხატული საწარმოს ფასზე ბაზრის „შეხედულება“;



✓ მეთოდი საშუალებას იძლევა გააკეთდეს ბიზნესის/საწარმოს ღირებულების სწრაფი წინასწარი „ექსპრეს-შეფასება“;

✓ მიდგომა ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მიდგომების ფარგლებში მიღებული ღირებულების დასაბუთებისათვის;

სხენებული მიდგომის ნაკლოვანებებია:

✓ მეთოდის გამოყენება მოითხოვს ადეკვატური ანალოგიური ობიექტების შერჩევას შედარებისათვის და დიდი მოცულობის ინფორმაციის შეგროვებას, რაც ზოგჯერ მეტად რთულად შესრულებადია;

✓ მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია ბაზრის მიმდინარე მდგომარეობასა და ეფექტიანად ფუნქციონირებაზე;

✓ სპეციალისტთა ნაწილი თვლის არც თუ ზუსტ მიდგომად და ნაკლებად ენდობა შეფასების შედეგებს.

საწარმოს (ბიზნესის) შეფასების შემოსავლებზე ორიენტირებული მიდგომა დაფუძნებულია შემოსავლების ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაზე. მიდგომის ფარგლებში შემფასებლები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. ყველა მათგანი ემყარება ჰიპოთეზას, რომ ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება მისი უნართ-მოახდინოს ფულადი ნაკადების გენერირება. შემოსავლების მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანია კაპიტალიზაციისა და დისკონტირების განაკვეთების განსაზღვრა. დისკონტირების გამოყენებისას მოსალოდნელი ზრდა შეიძლება აშკარად იყოს გათვალისწინებული პროგნოზირებულ შემოსავლებში, ხოლო კაპიტალიზაციის მეთოდებში მოსალოდნელი ზრდა, როგორც წესი, კაპიტალიზაციის განაკვეთში აისახება. საწარმოს (ბიზნესის) შეფასების შემოსავლებზე დაფუძნებულ მიდგომას, სხვა მიდგომების ანალოგიურად აქვს დადებითი მხარეები და ნაკლოვანებებიც.

დადებით მხარეებად უნდა ჩაითვალოს რომ სხენებული მიდგომა:

✓ ითვალისწინებს შეფასების ობიექტის მიერ შემოსავლების მოტანის შესაძლებლობას და შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ რისკებს;

✓ საშუალებას იძლევა ობიექტურად აიასახოს არა მხოლოდ შეფასების ობიექტის ამჟამინდელი მდგომარეობა, არამედ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების პერსპექტივები;

✓ საშუალებას იძლევა განისაზღვროს ბიზნესის ღირებულების ადეკვატური ორიენტირი, რაც დაფუძნებულია არა იმდენად მატერიალურ აქტივებზე, რამენადაც ახალ ტექნოლოგიებზე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე და ა.შ.

✓ შეუძლია მაქსიმალურად გამოხატოს ინვესტორის მოტივაცია, ამიტომაც ყველაზე მეტად მისაღებია მაგალითად საინვესტიციო ღირებულების განსაზღვრისას.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ შემოსავლებზე დაფუძნებული მიდგომა:

✓ გამოსაყენებელია მხოლოდ იმ საწარმოს (ბიზნესის) შესაფასებლად, რომელიც როგორც წესი ფუნქციონირებადი და განსაზღვრადია მომავალში;

✓ ემყარება მომავალი ფულადი შემოსავლების გრძელვადიან პროგნოზს, რომლის საიმედოობა დიდწილად დამოკიდებულია როგორც საწარმოს სტაბილურ საქმიანობაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე;

✓ დაკავშირებულია გარკვეულ სუბიექტურ მიდგომასთან სამომავლოდ მისაღები ფულადი შემოსავლებისა და კაპიტალიზაციის/დისკონტის განაკვეთის განსაზღვრისას;

✓ საჭიროებს დიდი მოცულობის ეკონომიკური და სტატისტიკური მასალის დეტალურ ანალიზს.

საწარმოს შეფასებისას დანახარჯების მიდგომა შედარებით იშვიათად გამოიყენება. სხენებული მეთოდით სარგებლობა რეკომენდირებულია როცა: საწარმო განვითარების საწყის ეტაპზეა, ან ახლად დაფუძნებულია და შეუძლებელია ფულადი ნაკადების საიმედოდ განსაზღვრა ან სხვა საბაზრო სუბიექტებთან

შედარება; სამეურნეო სუბიექტი არის საინვესტიციო ან პოლდინგური კომპანია და შესაძლებელია დაჯამების მეთოდის გამოყენება; სამეურნეო სუბიექტი არ არის ფუნქციონირებადი საწარმო ან მისი აქტივების ღირებულება ლიკვიდაციისას შეიძლება აღემატებოდეს სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ღირებულებას. დანახარჯების მიდგომის შესახებ უნდა აღინიშნოს, მას აქვს გარკვეული დადებითი მხარეები, რაც გამოიხატება იმაში, რომ:

✓ აღეკვამურად ასახავს საწარმოს აქტივებს, ბიზნესის ღირებულება კი თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება კონკრეტული აქტივების არსებობით და ღირებულებით;

✓ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის შეფასების სხვა მეთოდებისთვის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია;

✓ მიდგომის გამოყენება შესაძლებელია საწარმოს ლიკვიდაციის პირობებში, როდესაც გათვალისწინებულია აქტივების რეალიზაცია ნაწილ-ნაწილად;

✓ თვალსაჩინო და ადვილად ახსნადია მომხმარებლებისთვის.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს ნაკლოვანებების შესახებაც. საწარმოს (ბიზნესის) შეფასების დანახარჯებზე დაფუძნებული მიდგომა ნათლად ვერ გამოხატავს საწარმოს განვითარების პერსპექტივებს, მოითხოვს არამატერიალური აქტივების, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სარგებლიანობის, გუდვილის არსებობის დასაბუთებას და მათ ცალკე შეფასებას, მისი პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ მოცულობით, შრომატევად სამუშაოებს მოითხოვს.

საწარმოს/ბიზნესის შეფასების პროცესში აუცილებელია საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შეფასება. სადაო არ არის ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკთან. ბიზნეს-საქმიანობისთვის უცხო არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწვევის ან ბიზნეს-გეგმით გაწერილი შემოსავლების მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი დანაკარგები.

რისკები დაკავშირებულია როგორც მაკროეკონომიკურ, ასევე მიკროეკონომიკურ (შიდასაწარმო) ფაქტორებთან. **მაკროეკონომიკური რისკების** განმაპირობებელი ფაქტორები - ინფლაციის დონე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და ტემპები, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილება, პოლიტიკური არასტაბილურობა, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოში ბიზნესის შეფასებისას.

**მიკროეკონომიკური (შიდასაწარმო) რისკები** უკავშირდება სამუშაოების დაპროექტებისა და დაგეგმვის პროცესში დაშვებულ შეცდომებს, ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემებს, შესაბამისი რაოდენობისა და სხეობების მასალებით უზრუნველყოფას, კვალიფიციური პერსონალის დეფიციტს, შრომის არასათანადო პირობებს და სხვა.

ბიზნესის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს **ფინანსურ რისკებზე**-ფინანსური რესურსების მართვის დაბალი დონე, ფინანსური მენეჯმენტის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არასწორად შედგენა, არამიზნობრივი დამატებითი ხარჯების გაწევა და სხვა. **არანაკლებ მნიშვნელოვანია მარკეტინგული რისკების**-სამომხმარებლო განწყობის ცვლილება, კონკურენციის გაძლიერება, პოზიციების დაკარგვა ბაზარზე, მიზნობრივ ბაზარზე არადროული შედგენა და სხვა გათვალისწინება. **სამართლებრივი რისკებიდან** შემფასებელს მოუწევს კონტრაქტების პირობების და ვადების დარღვევასა და შესაძლო სასამართლო პროცესებზე აქცენტის გაკეთება. ბიზნესის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება საწარმო დადგეს **დეფოლტის რისკის** წინაშე, რომელიც დაკავშირებულია მის გაკოტრებასთან ან დროებით გადაამხდელუნარიობასთან.

ზემოთ განხილული რისკების გარდა, არსებობს შიდა საერთო რისკები, რომლის გასაზომათაც იყენებენ საოპერაციოდა საფინანსო ლევერიჯის მაჩვენებლებს. საოპერაციო, ანუ საწარმოო ლევერიჯის მაჩვენებელი ახასიათებს სამეწარმეო რისკის მხოლოდ ერთ ასპექტს. სამეწარმეო რისკი ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ საწარმო ვერ მიიღებს ბიზნეს-პროექტით განსაზღვრულ საოპერაციო მოგებას. ეს განპირობებული შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით, რაც პირდაპირ აისახება გაყიდვების მოცულობის ცვლილებაზე. საოპერაციო ლევერიჯი ახასიათებს საოპერაციო მოგების დონის ცვლილებას გაყიდვების მოცულობის ცვლილების საპასუხოდ. ხოლო საფინანსო ლევერიჯი – საბალანსო მოგების (მთლიანი მოგება გადასახადის გადახდამდე) შესაძლო მიუღებლობის რისკს.

აღსანიშნავია, საბაზრო რისკებისაგან არც ინვესტორია დაცული. საინვესტიციო პორტფელთან დაკავშირებული რისკები, წარმოდგენილია სისტემატური (არადივერსიფიცირებული) და არასისტემატური (დივერსიფიცირებული) რისკების სახით. ინვესტორი, რომელიც პორტფელის სახით აერთიანებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტს, ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს რისკების დივერსიფიცირება, რათა თავიდან აიცილოს თითოეული ინსტრუმენტის მიხედვით შემოსავლების ცვლილება მისთვის არასასურველი მიმართულებით.

დასასრულს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის შეფასების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას შემფასებელმა უნდა განახორციელოს მაქსიმალურად შესაბამისი ინფორმაციისა და დაშვებების დეტალური ანალიზი და დაასაბუთოს მათი გამოყენების მიზანშეწონილობა კონკრეტული შეფასების მიზნებისათვის. შემფასებელს შეუძლია განიხილოს რამდენიმე მიდგომისა და მეთოდის გამოყენების საკითხი და გამოიყენოს კიდევ ღირებულების დასადგენად. მნიშვნელოვნად განსხვავებული ღირებულებითი მაჩვენებელის მიღების შემთხვევაში კი სათანადო პროცედურების ჩატარების საფუძველზე დაადგინოს მიზეზები და დაასაბუთოს ერთი რომელიმე მეთოდის საფუძველზე საიმედო ღირებულებითი მაჩვენებლის მიღების შესაძლებლობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. შეფასების საერთაშორისო სტანდარტები. შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (შსსს) მიერ გამოცემული სტანდარტების (IVS 2017) ნაბეჭდი ინგლისურენოვანი ორიგინალის აუტენტური ქართული თარგმანი. თბილისი, საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი.
2. Анализ финансового состояния предприятия. EVA. Экономическая добавленная стоимость (Economic Value Added). [http://afdanalyse.ru/publ/finansovyy\\_analiz/1/ehkonomicheskaja\\_dobavlenaja\\_stoimost\\_eva/15-1-0-247](http://afdanalyse.ru/publ/finansovyy_analiz/1/ehkonomicheskaja_dobavlenaja_stoimost_eva/15-1-0-247).
3. П. Е. Ситник. Использование показателей экономической прибыли для построения регионального рейтинга российских непубличных компаний (рус.) //Корпоративные финансы. 2008. №4. С. 114-121. <https://cyberleninka.ru/article/>.
4. Методологические положения оценки бизнеса. <http://netref.ru/1-metodologicheskie-polojeniya-ocenki-biznesa.html>.
5. Методологические положения оценки бизнеса. <http://www.depfinans.ru/sofins-328-1.html>
6. Оценка стоимости бизнеса. Теория и методология. <https://studref.com/466587/ekonomika/>.
7. <https://exitadviser.com/business-value.aspx?id=business-valuation-methods>
8. <https://www.financialpoise.com/business-transition-and-exit-planning/>
9. <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/valuation/valuation-methods/>

**Natela Latsabidze**

Academic Doctor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Murman Tsartsidze**

Doctor of Economic Sciences,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Giorgi Khmaladze**

Doctor of Economic Sciences,

The Georgian Association of Independent Accountants and Auditors

**Nikoloz Khmaladze**

Academic Doctor,

The Georgian Association of Independent Accountants and Auditors

## **ENTERPRISE (BUSINESS ) VALUATION METHODS AND THE PECULIARITIES OF THEIR EMPLOYMENT IN PRACTICE**

### **Expanded Summary**

Business valuation is a complicated, expensive and time-consuming process. According to the norms of procedures and professional standards approved in the international practice, the definitely established approach or recommendation on applying the specific method of valuation does not exist. The method of valuation should be selected taking into consideration the specific objective of business valuation. It is worth noting, that the evaluator is free to approach and select the valuation method, he/she can apply the various methods considering the aim of valuation and the specific situation. The process of selection should necessarily comprise thereview of appropriate basis for the value and preconditions of valuation, the analysis of the strength and limitations of possible approaches and methods of valuation, the availability of the required, credible information for applying the specific method.

According to the international standards of valuation three basic approaches of valuation – market, income and expenditure - are deemed to be admissible. All the methods of market approach to business valuation is based on the principle of competitiveness. On the one hand, the buyer does not pay for a certain business more than the value of other investment containing the analogous risk, on the other hand, the seller does not agree on the value of the analogous enterprise (business) on the market. In the case of applying this approach of valuation, the credibility and quality of the information necessary for valuation assume great importance. If the evaluator obtains the data of several analogous sales, the data to be compared will be representative and the quality and credibility of valuation will increase. The obtained information about sales should be qualitatively similar. It is logical, that the reliable basis for comparison is the data of enterprise (business) of the same type, having the same organizational-legal form of ownership and approximately the same scale.

The approach focused on the income valuation of an enterprise is based on determining the current cost of flow of income considering the risks of receiving the income. While conducting the valuation the attention should be focused on the following circumstances: if the predictable cash flow is expressed by real indicators, the evaluator should use such a discount rate which does not factor in the future changes of prices caused by the inflation or deflation. While applying the income approach, the valuation may necessitate corrections so as to reflect the issues which were not envisaged in the cash flow forecast or discount rates. The salient point is that a lot of enterprises can be valued according to the same scenario of cash flow, but the evaluator can use several scenarios or imitative models as well. I think, the methods of determining the discount rate to be employed in the evaluative practice of Georgia are those acknowledged at the international level, they are as follows: capital asset pricing model (CAPM), the method of weighted average cost of capital (WACC), the empirical (evidence)



of its assets may exceed the cost of the business entity as of an operable enterprise. Regarding the expenditure approach it should be pointed out that it has the certain strong sides implying the following:

√ it adequately reflects the assets of an enterprise, and the business value, in its turn, is determined by the existence of assets and cost;

√ it may be applied in case the initial information necessary for other valuation methods is not available;

√ the employment of the approach is possible under the conditions of liquidation of an enterprise, when the realization of assets are considered to be made piecemeal

√ it is clear and easy to explain to consumers

To be objective, the drawbacks should be highlighted as well. The enterprise (business) valuation based on the expenditure approach cannot completely reveal the prospects of business development and requires the substantiation of the existence of intangible assets, profit, goodwill of the objects of intellectual property and their separate valuation. Its employment in practice requires quite hard and tedious jobs.

In the process of enterprise/business valuation it is necessary to evaluate the risk-factors related to functioning of an enterprise. The risks are linked to the macroeconomic as well as microeconomic (domestic manufacturing) factors. The factors conditioning the macroeconomic risks – the level of inflation, the social and economic situation of the country, the level and stages of development, the changes in the interest rate and currency exchange rate, political instability – assume particularly great significance for business valuation in Georgia. While conducting the business valuation the attention should be focused on financial risks – the low level of financial resource management, the lack of qualified specialists in the sphere of financial management, the failure to draw up the estimate documentation correctly, spending the unreasonable additional expenses, etc. It is of equal importance to consider the marketing risks – the change of consumer behavior, strengthening the competitiveness, the loss of positions on the market, the untimely market penetration, etc. While conducting the business valuation it should also be taken into account that maybe rarely, but the enterprise may still face the risk of default, which is related to its bankruptcy or temporary insolvency.

**რამაზ ოთინაშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ვეგენი ბარათაშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**თამარ ლაგვილაია**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი

### **ბიზნესის კონკურენტუნარიანობის აქტუალური საკითხები**

**რეზიუმე.** ბიზნესის კონკურენტული სტრატეგია დაკავშირებულია მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების ძიება-შესწავლასთან და მათ პრაქტიკაში დანერგვასთან. კონკურენტული სტრატეგიის მიხედვით ბიზნეს-ობიექტები დაყოფილია: საბაზრო ლიდერებად, პრეტენდენტებად, მიმდევრებად და იმ ობიექტებად, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საკუთარი საბაზრო ნიშა. გაანალიზებულია მათი კონკურენტული ბრძოლის ძირითადი ასპექტები. აღნიშნულია, რომ ბრძოლის სტრატეგია არის ძნელად განსახორციელებელი და საჭიროებს საკმაოდ რესურსებისა და ძალების კონცენტრაციას.

თუ ქვეყანაში ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გარემოა და კონკურენტული მიმდინარეობს სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვით იმარჯვებს მოწინავე სტრატეგია, რაც ვლინდება წარმოებისა და რეალიზაციის მაღალ მასშტაბებში, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებში, მასალებისა და ნედლეულის შედარებით დაბალ ფასებით შექენაში. აღნიშნული საბოლოოდ აისახება ნაწარმის თვითღირებულების შემცირებაზე.

მსოფლიოს წარმატებული კომპანიების მაგალითების განხილვის ფონზე აღნიშნულია, რომ კონკრეტული ბიზნესისთვის კონკურენტული სტრატეგიის უნივერსალური მოდელი არ არსებობს. თითოეულმა ფირმამ მიზნებიდან, გამოწვევებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა აირჩიოს მისთვის მისაღები სტრატეგია.

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენტუნარიანობა, ეფექტიანი სტრატეგია, სოციალურ-ეკონომიკური გარემო.

### **შესავალი**

როგორც ბიზნესი არ არსებობს ბაზრის გარეშე, ასევე წარმოდგენილია ბაზარი კონკურენტის გარეშე. თუ არსებობს ბრძოლა, მაშინ რა არის დავის საგანი თუ არა რესურსი ყველანაირი მნიშვნელობით - ინფორმაცია, ფინანსები, ტექნოლოგიები და ა.შ. მთავარი რესურსია თავად მომხმარებელი („კლიენტი“), რომლის გამოც მიმდინარეობს პაექრობა.

კონკურენტული სტრატეგია გულისხმობს ბიზნესის წარმატების ისეთ საკვანძო ფაქტორებს, როგორცაა: კონკურენტუნარიანი ფასები და შესაბამისი ხარისხი, საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო ფასეულობა, თანამშრომლების პროფესიონალიზმი და ფორმირებული იმიჯი, ბიზნეს-გამოცდილება და რეპუტაცია, საკრედიტო ისტორია და მენეჯმენტის კულტურის შესაბამისი დონე და ა.შ.

\*\*\*\*

კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა შესაბამისი ინფორმაცია და გამოცდილება. უნდა არსებობდეს ბიზნესისთვის შესაბამისი და რელევანტური განვითარების კონცეფცია - „შედარებითი კონკურენტული სტრატე-

გია“, რომელიც დაკავშირებული იქნება ბიზნესის მართვის თანამედროვე მეთოდების ძიება-შესწავლასთან და მათ პრაქტიკაში დანერგვასთან. აღნიშნულ კონცეფციას „ბენჩმარკინგი“ (Benchmarking) ეწოდება და წარმოადგენს კონკურენტული დაზვერვის ნაირსახეობას.

ნებისმიერი ბენჩმარკინგი გულისხმობს კონკურენტების პრაქტიკის საუკეთესოდ შესწავლასა და ამის საფუძველზე ეტალონური მოდელის შექმნას საკუთარი ბიზნესისთვის. იგი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და მოცემულ კომპანიაში გამოყენებულ იქნეს ის, რასაც სხვები უკეთ აკეთებენ, განისაზღვროს წარმატების საკვანძო ფაქტორები და სხვა.

კონკურენტულ ბაზარზე შესვლის პირველ ეტაპს წარმოადგენს კონკურენტების შესწავლა. ვინაა უშუალო კონკურენტი? ვინაა ირიბი (სუბსტიტუტ-საქონლის მწარმოებელი)? ამის საუკეთესო საშუალებაა პირადად გავხედეთ კონკურენტების „კლიენტები“, შევიძინოთ მათი საქონელი, ვისარგებლოთ მათი მომსახურებით, საკუთარ თავზე გამოვცადოთ უშუალო კონკურენტების დადებით და უარყოფითი მხარეები [ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გენბაია ბ., მესხიშვილი დ., 2011].

კონკურენტების მონიტორინგის რეკომენდაციებია:

1. ყოველთვის იქონიეთ და განაახლეთ კონკურენტი კომპანიების ჩამონათვალი. მონიტორინგისთვის შეადგინეთ დამატებითი სია თქვენთვის „საინტერესო“ მოთხოვნებზე. მაგალითად, გაქვთ ავეჯის ბიზნესი. თქვენთვის მთავარი პრობლემაა მისი რეალიზაცია;

2. პოპულარული საძიებო სისტემებით პერიოდულად შეაგროვეთ ინფორმაცია კონკურენტი კომპანიების სახელწოდების მიხედვით. ასევე, თუ ცნობილია საკვანძო მენეჯერების სახელი და გვარები, შეაგროვეთ ინფორმაცია მათ შესახებაც;

3. მოიძიეთ ინფორმაცია კონკურენტების გზავნილებზე;

4. მონაწილეობა მიიღეთ ბიზნეს-ფორუმებში, სადაც მონაწილეობენ კონკურენტები;

5. რეგულარულად ჩატარეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ვებ-პორტალების და აცელოკ-გვერდების მონიტორინგი;

6. შეავსეთ მოთხოვნების სხვადასხვა ფორმები კონკურენტების საიტებზე, რითაც შეგეძლება თვალი ადევნოთ მათი საქმიანობის ოპერატიულობას, სერვისის დონესა და მომსახურების ხარისხს.

დაუშვავთ, ფირმამ დაადგინა ძირითადი კონკურენტები, შეარჩია მიზნობრივი მომხმარებლების მიმართ განაწილების არხები და მარკეტინგული კომპლექსი. ეს არის ის სტრატეგიული ჯგუფი, რომლებსაც ენერგიულად შეუტევთ.

XX საუკუნის 90-იან წლებში მოტოციკლებისა და მოტოროლერების მწარმოებელი ცნობილი იაპონური ფირმა „ჰონდა“ (Honda) დიდ ინვესტიციებს აბანდებდა აშშ-ში ახალი ქარხნის მშენებლობაში. ამიტომ დროებით შეამცირა ნაწარმის გამოშვება ადგილობრივ ბაზარზე. მისმა კონკურენტმა „იამაჰამ“ (Yamaha) ჩათვალა, რომ დადგა ხელსაყრელი დრო და გამოუშვა ბაზარზე მოტოციკლების ახალი მოდელის სერია, პარალელურად დაიწყო აქტიური სარეკლამო კომპანია.

მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, ონდა-ს ტოპ-მენეჯმენტმა აღნიშნულ გამოწვევას უპასუხა მყისიერად. შეამცირა უცხოური ინვესტიციების მოცულობა, შემობრუნდა ადგილობრივი ბაზრისკენ და ყოველ თვეს, ერთი წლის განმავლობაში, უშვებდა მოტოციკლის ახალ მოდელს. შედეგად, Yamaha-მ ვერ გაუძლო კონკურენტულ ბრძოლას და შეეშვა აღნიშნულ საბაზრო სეგმენტს.

ეფექტიანი კონკურენტული სტრატეგიების შესამუშავებლად უნდა მივიღოთ მაქსიმალური ინფორმაცია კონკურენტების შესახებ. მუდმივად ვაკონტროლოთ საკუთარი პროდუქცია/მომსახურება, ფასების დინამიკა, გასაღების სტიმული-



რების არხები კონკურენტების ანალოგიურ მანქანებზე, რითაც გამოვავლენთ კონკურენტულ უპირატესობებს ან პირიქით - ნაკლოვანებებს.

ძირითადი კონკურენტების გამოვლენის პროცესში მარკეტოლოგებმა უნდა გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს: რა არის კონკურენტის მიზანი? როგორია მისი ქცევა ბაზარზე? ამის შემდეგ, კომპანიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შეტევის ან, პირიქით - საბაზრო სეგმენტის დაცვის შესახებ. თუ კონკურენტი ითვისებს ახალ სეგმენტს, ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც შეტევის დასაწყებად კარგი შესაძლებლობა. ხოლო თუ აღმოაჩინეთ, რომ კონკურენტი ცდილობს თქვენს სეგმენტში შეღწევას, უნდა გადახვიდეთ თავდაცვით სტრატეგიაზე. „ვინც ინფორმირებულია - ის შეიარაღებულია“. ყველა ბაზრის მოთამაშე თავისებურად რეაგირებს კონკურენტის საპასუხოდ. ზოგი ნელა და სუსტად, ზოგი კი დაუფრნებლივ [ოთინაშვილი რ., უშვერიძე ლ., 2019].

საავტომობილო ბაზარზე განვითარებული ტენდენციების დაგვიანებული შეფასების კლასიკურ მაგალითად ითვლება გასული საუკუნის 70-ანი წლების ამერიკული ავტომწარმოებლების „დიდი სამეული“ - General Motors, Ford Motor Co., Chrysler ცნობილი შემთხვევა. მსოფლიო ბაზარზე საწვავზე ფასების მკვეთრმა ზრდამ და საშუალო შემოსავლებისა და მცირერიცხოვანი ოჯახების სიმრავლემ საავტომობილო ბაზარზე მოთხოვნები მკვეთრად შეცვალა.

განდა მოთხოვნა მცირელიტრაჟიანი ავტომობილებზე ეკონომიური ძრავით. სანამ ზემოაღნიშნულმა ამერიკულმა კომპანიებმა მოახდინეს რეაგირება აღნიშნულ ცვლილებებზე, იაპონელებმა, სწრაფად შეისწავლეს რა აშშ-ის საავტომობილო ბაზრის განვითარების ტენდენციები, სწრაფად უპასუხეს მოთხოვნებს და დაიკავეს ამერიკული ბაზრის მცირეგაბარიტიანი ავტომობილების ნიშა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო პირველად ამერიკა-იაპონიას შორის ცნობილი სავაჭრო ომები და მოგვიანებით ამოქმედდა სანქციები.

ასევე მნიშვნელოვანი მომენტია დროული რეაგირება საბაზრო ცვლილებებზე. მაგალითად, სამხრეთ კორეული კომპანია Samsung-ის ანალიტიკოსმა ამერიკულ ადგილობრივ გაზეთში შემთხვევით ამოიკითხა უკანასკნელი ამერიკული გიტარის მწარმოებელი ქარხნის დახურვის შესახებ. ეს ინფორმაცია მან გადასცა კომპანიის სათაო ოფისის ტოპ-მენეჯმენტს. მათ გაანალიზეს მიღებული ინფორმაცია და გადაწყვიტეს საწყოში არსებული გიტარების მარაგების სწრაფად და დაუფრნებლივ აშშ-ში ექსპორტირება. მოლოდინმა გაამართლა - აშშ-ს მთავრობამ ტარიფები გაუზარდა იმპორტირებულ პროდუქტს, რათა წახედასებინათ ადგილობრივი მწარმოებლები. მაგრამ სამსუნგმა დაასწრო მას უკვე უზარმაზარი მარაგები ჰქონდა შექმნილი ამერიკის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ახალი ტარიფების შემოდებისთანავე მნიშვნელოვანი მოგება მიიღო [Fortune, Global 500].

საბაზრო „მოთამაშეების“ ნაწილი რეაგირებს მხოლოდ გარკვეული სახის შემტევ ქმედებებზე მოწინააღმდეგის მხრიდან და ყველა დანარჩენს იგნორირებას უკეთებს. ზოგი სწრაფად და მკვეთრად პასუხობს კონკურენტის ყველა ქმედებას. ასევე არიან კომპანიები, რომლებიც იყენებენ ისეთ სტრატეგიულ მენეჯმენტ, რომ მათი რეაქციებისა და სამომავლო გეგმების გათვლა ძალიან რთულია.

ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში, ქართული ბაზრის მრავალ ბიზნეს-სეგმენტში კონკურენტის ინტენსივობა გაიზარდა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ: საცალო ვაჭრობა შესაბამისი სავაჭრო ცენტრებით, სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურების ბაზრები, სამშენებლო ბაზარი და ა.შ.

კონკურენტული სტრატეგიის მიხედვით ბიზნეს-ობიექტები შეიძლება დაეყოთ. საბაზრო ლიდერებად, პრეტენდენტებად, მიმდევრებად და იმ ობიექტებად, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საკუთარი საბაზრო ნიშა.

ლიდერი არის მოცემული საბაზრო სეგმენტის ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავს ბაზარზე „თამაშის წესებს.“ კონკურენციაში მათი ქმედებების ძირითადი სტრატეგიაა დაკავებული პოზიციების დაცვა. გამოყოფენ ლიდერი პოზიციის შენარჩუნების რამდენიმე შესაძლო სტრატეგიას [Kefalas A.,2008].

პოზიციური დაცვა - მიმართულია რთულად გადასალახი ბარიერების (ფასი, ლიცენზია და ა.შ.) შექმნაზე, აგრეთვე ინოვაციურ აქტივობაზე - „წინსწრება“ საქონლისა და ტექნოლოგიების განუწყვეტელი განახლების ხარჯზე;

ფლანგური დაცვა - გულისხმობს ბაზარზე ბიზნეს-ობიექტის ყველაზე „სუსტი ადგილების“ დაცვას, რომლებზეც შესაძლოა მიმართული იყოს კონკურენტების იერიშები;

წინმსწრები დაცვა - „სუსტი სიგნალების“ მიხედვით წინასწარ ქმედებების მართვას ნიშნავს;

თავდაცვა კონტრიერიშით - გამოიყენება ლიდერის მიერ მაშინ, როდესაც წინა დაცვითი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში შეიძლება „დარტყმა“ მიაყენოთ კონკურენტის სუსტ ადგილებს. მაგალითად, გამოიყენოთ დემპინგი;

მობილური დაცვა - მიმართულია ახალი ბაზრების დაპყრობაზე, სამომავლო „პლაცდარმის“ შექმნის მიზნით;

კუმშვადი დაცვა - დამყარებულია კონკურენტებისთვის სუსტი საბაზრო სეგმენტების დათმობაზე და, იმავედროულად, ძალისხმევისა და სახსრების მობილიზაციაზე ბაზრის უფრო მნიშვნელოვან და ძლიერ სეგმენტებში, რაც იძლევა ეკონომიისა და რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობას.

ამრიგად, აქტიური და შემტვეი ქმედებების გამოყენება ლიდერი კომპანიებისთვის დამახასიათებელი არ არის, ვინაიდან მათი ძირითადი მიზანია მოწინავე პოზიციების შენარჩუნება და არა კონკურენტების გასწრება.

პრეტენდენტები. ისინი ცდილობენ ბაზარზე საკუთარი წილის გაზრდას, ამ მიზნით მიმართავენ იერიშებს ბაზრის ლიდერებზე. ცდილობენ მათ გვერდით ადგილის დაკავებას და ლიდერის ჩანაცვლებას. აქ ასევე შეიძლება კონკურენტული ბრძოლის რამდენიმე ტიპური ტექნოლოგიის გამოყოფა:

ფრონტალური იერიში - კომპლექსური ზემოქმედება კონკურენტის საბაზრო მდგომარეობაზე. ტარდება ერთდროულად მრავალი მიმართულებით (ასორტიმენტის განახლება, რეკლამა, ფასების შემცირება და ა.შ.) და ხასიათდება აქტიური ქმედებებით. ფლანგური იერიში მიმართულია კონკურენტების საქმიანობის მხოლოდ სუსტ ადგილებზე, სადაც ძალისხმევა გადატანილია უპირატესობის მოპოვებაზე;

იერიში ალყაში მოქცევით - აიძულებს კონკურენტს თავი დაიცვას ყველა მიმართულებით. გამოიყენება, როდესაც პრეტენდენტს აქვს პრეტენზია მოკლე ვადაში გატეხოს კონკურენტის წინააღმდეგობა და ნებისყოფა და დაიკავოს მისი პოზიციები;

შემოვლითი იერიში - არაპირდაპირი შეტევის ნაირსახეობაა, რომელიც დაკავშირებულია პოზიციების განმტკიცებასთან „შედარებით მარტივ“ ბაზრებზე საქმიანობის დივერსიფიკაციის, ახალი გეოგრაფიული სივრცეების ათვისების, ინოვაციების შემოღების და ა.შ. გზით;

პარტიზანული (ე.წ. „გორილას“) იერიში მდგომარეობს მცირე პერიოდულ შეტევებში, კონკურენტის დემორალიზების, მასში ეჭვების განვითარების მიზნით. ასეთ სტრატეგიას ჩვეულებრივ იყენებენ მცირე ფირმები, რომლებიც ახლახანს შემოვიდნენ ბაზარზე და მოქმედებენ მოკლე დროის განმავლობაში, უფრო მსხვილი კონკურენტების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ იერიშის ყველა ზემოთ განხილული სტრატეგია, როგორც წესი, არის ძნელად განსახორციელებელი და საჭიროებს საკმაო რესურსებისა და ძალების კონცენტრაციას.

პრეტენდენტებისგან განსხვავებით მიმდევრები არ ესწრაფვიან საბაზრო წილის ზრდას. მიჰყვებიან რა ლიდერს, ხშირად მის ხარჯზე ზოგავენ ძალებსა და სახსრებს. აგროვებენ ინფორმაციას წარმატების საკვანძო ფაქტორებზე, ღებულობენ საუკეთესო კომპანიების გამოცდილებას და ფრთხილად იმყარებენ პოზიციებს ლოკალურ საბაზრო სეგმენტებში.

ზოგიერთ სფეროში კონკურენტები შეიძლება ჰარმონიულად მოქმედებდნენ მაშინ, როდესაც იგივე კომპანიები სხვებთან მიმართებით მუდმივ ბრძოლაში იმყოფებიან. სამომავლო რეაქციების ცოდნა მეტოქეებს აძლევს გასაღებს, გადაწყვეტილების მისაღებად როგორ იმოქმედონ - მოახდინოს შეტევა თუ პოზიციების დაცვა.

ბრძოლისას ხშირად ბიზნეს-აგენტები ერთნაერ ან განსხვავებულ სტრატეგიას ირჩევენ. აღნიშნული თამაშთა თეორიის სფეროს განეკუთვნება. მაგალითად, ქართული ლუდის ჩამომსხმელმა ფირმებმა „ყაზბეგმა“ და „ნატანტარმა“ აირჩიეს შეჯიბრის ერთნაერი სტრატეგია - აწარმოებენ „საფასო ომს“, ე.ი. მიმართავენ ფასისმიერ კონკურენციას. ამისთვის მათ ეტაპობრივად უნდა შეამცირონ ფასი [Porter M., 2008].

### დასკვნა

თუ კონკურენტული ბრძოლა ჯანსაღია და მიმდინარეობს სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვით - იმარჯვებს ძლიერი. სიძლიერე კი გამოიხატება წარმოებისა და რეალიზაციის მაღალ მასშტაბებში, მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებში, მასალებისა და ნედლეულის შედარებით დაბალ ფასებით შექენაში, რაც საბოლოოდ აისახება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. შედეგად, გაიმარჯვებს ის ვისაც ნაკლები დაუჯდება ერთეული ნაწარმის წარმოება.

კონკურენციის პროცესში ერთ-ერთმა კომპანიამ შეიძლება შეცვალოს სტრატეგია და, სათანადო ანალიზის შემდეგ, აირჩიოს ბრძოლის განსხვავებული ტაქტიკა. ო. ბისმარკის მიხედვით „ისწავლე სამყაროს სხვანაირად ხედვა, ვიდრე შენი კონკურენტები ხედავენ“.

სემუელ ველტონი, Wal-Mart-ის მაღაზიების ქსელის დამფუძნებელი, ბიზნესმენების იმ კატეგორიას განეკუთვნება, ვინც სხვის (კონკურენტების) წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე სწავლობს. მან შეიტყო, რომ უშუალო კონკურენტის, მსხვილი საცალო კომპანია „სიერს“-ის (Sears) მომხმარებელი უკმაყოფილო იყო ცალკეული პროდუქტების მარაგების შევსების პრობლემით, რაც სადისტრიბუციო სისტემის ხარვეზებზე მიუთითებდა. შედეგად, ველტონმა თავად შექმნა თანამედროვე სადისტრიბუციო ქსელური სისტემა საკუთარი ავტოპარკით, რომელიც კლიენტებს საჭირო დროს საჭირო სერვისით უზრუნველყოფდა. მოგვიანებით კი სურსათის ადგილზე მიტანის სერვისის ამუშავებით, მისი ონლაინ გაყიდვები 40% გაიზარდა. აღნიშნულმა სტრატეგიულმა გადაწყვეტილებებმა კომპანიას მოიტანა უზარმაზარი შემოსავალი და დღეს იგი ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კორპორაციად ითვლება. მსოფლიოში. 2018 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით, კორპორაციების რეიტინგი ბრუნვის მიხედვით ესე გამოიყურება [ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გენბაია ბ., მესხიშვილი დ., 2011]:

ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კორპორაციების რეიტინგი

|    | კორპორაცია               | ბრუნვა \$ | ქვეყანა      |
|----|--------------------------|-----------|--------------|
| 1  | Walmart                  | 500,343   | აშშ          |
| 2  | State Grid               | 348,903   | ჩინეთი       |
| 3  | Sinopec Group            | 326,953   | ჩინეთი       |
| 4  | China National Petroleum | 326,008   | ჩინეთი       |
| 5  | Royal Dutch Shell        | 311,870   | ნიდერლანდები |
| 6  | Toyota Motor             | 265,172   | იაპონია      |
| 7  | Volkswagen               | 260,028   | გერმანია     |
| 8  | BP                       | 244,582   | ინგლისი      |
| 9  | Exxon Mobil              | 244,363   | აშშ          |
| 10 | Berkshire Hathaway       | 242,137   | აშშ          |

წყარო: <http://www.consultingmag.com/sites/cmag/2017/10/15/the-2017-global-leaders-in-consulting/?slreturn=20180508070436>

კონკურენტული სტრატეგიის უნივერსალური მოდელი არ არსებობს. თითოეულმა კომპანიამ არსებული მიზნებიდან, შესაძლებლობებიდან და რესურსებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა შეარჩიოს მისთვის მისაღები სტრატეგია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, უნივერსალი, თბ. 2011.-248 გვ.
2. ოთინაშვილი რამაზ, უშვერიძე ლილი, კონკურენცია ბიზნესში“, მონოგრაფია, თბილისი 2019. -230გვ.
3. *Fortune*, Global 500: Full List <http://fortune.com/global500/>
4. *Kefalas A.*, Global Business Strategy: A Systems Approach, Zurich, 2008, pages 63-70.
5. *Porter M.*, Competitive Strategy. Techniques for Analyzing Industries and Competitors, 2008.- 432 pg.

**Ramaz Otinashvili**

*Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University*

**Evgeni Baratashvili**

*Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University*

**Tamar Lagvilava**

*Doctor of Business Administration, Assistant Professor of Georgian Technical University Professor*

### TOPICAL ISSUES OF BUSINESS COMPETITIVENESS

#### Expanded Summary

As a business cannot exist without a market, it is also impossible to imagine a market without competition. The main subject in each competition is resources- information, finances,

technology, etc. However, the most important is the customer ("Client") itself, without whom competition could not exist.

Competitive strategy includes several factors that are essential for a business's success such as competitive pricing and quality, customer value for products (services), the professionalism of the employees and a well-established image, business experience and reputation, credit history and a relevant level of management culture, etc.

To be competitive, one would need relevant information and experience. Business development concept should be drafted - "comparative competitive strategy", related to the search and study of modern methods of business management and their implementation. This practice is called Benchmarking.

Any type of benchmarking means measuring competitor's metrics and business processes to draft the perfect model for your own business. The benchmarking process allows a company to focus on best practices from competitors and apply it to their business needs.

The first stage when entering a competitive market is the study of competitors. Who is the immediate competitor? Who is the indirect competitor (producer of substitute goods)? The best way to do this is to become competitors' client - buy their goods, use their services, experience the pros and cons.

Recommendations for monitoring competitors are as follows:

1. Always keep an up-to-date list of competitor companies. Make an additional list of which ones interest you the most. For example, you have a furniture business. The main focus for you is its realization;

2. Periodically collect information about the names of competitor companies. Also, if you stumble upon names and surnames of employees in top management, gather information about them as well;

3. Gather information on competitors' mailings;

4. Enroll in business forums where competitors participate;

5. Regularly monitor mass media, web portals and Facebook pages;

6. Fill out various forms of queries on competitors' websites, so you can keep track of their operations, service levels and quality of service.

Suppose the firm has identified key competitors, selected distribution channels and marketing plans for target audience. This is a strategy group that you should attack vigorously.

In the nineties of the 20th century, the famous Japanese firm Honda, a manufacturer of motorcycles and motorcycles, invested heavily in the construction of a new factory in the United States. Therefore, it temporarily reduced the output of the product to the local market. Its competitor, Yamaha, thought it was the perfect time to launch a new model series of motorcycles on the market, as well as an active advertising campaign.

Despite the difficult financial situation, Honda's top management responded immediately to this challenge. It reduced the amount of FDI, directed it to the local market and launched a new motorcycle model every month for a year. As a result, Yamaha was unable to withstand the competitive struggle and forced to leave this market segment.

To develop an effective competitive strategy, we need to get the most information about our competition. We need to continuously monitor our products/services, pricing dynamics, key incentive channels with competitors' similar products, identifying competitive advantages or disadvantages.

When identifying key competitors, marketers should find answers to the following questions: What is the competitor's goal? What is its behavior on the market? After that, the company must decide whether to attack or, on the contrary, protect the market segment. If a competitor adopts a new segment, this can be considered a good opportunity to launch an attack. And if you find that a competitor is trying to get into your segment, you should switch to a defensive strategy. "Whoever is informed - he is armed." Every market player responds in a unique way to the competitor's response. Some slowly and weakly, some immediately.

**ბიზნესგარემო, ინოვაცია და მწარმოებლურება გარდამავალი  
ეკონომიკების პირობებში: ანალიზი ფირმის დონეზე<sup>44</sup>**

**რეზიუმე.** სტატიაში წარმოდგენილია ემპირიული ხასიათის კვლევა, რომლის მთავარი მიზანია გაფართოებული ეკონომეტრიკული ე.წ. CDM მოდელის საფუძველზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პირობებში მოქმედი ფირმების დონეზე არსებული შესაბამისი სტრუქტურული ურთიერთობების შესწავლა ისეთ ფაქტორებს (ცვლადებს) შორის, როგორცაა:

- ბიზნესგარემო;
- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს)<sup>45</sup>;
- ინოვაციები;
- შრომის მწარმოებლურობა.

კვლევა ეყრდნობა გარდამავალი ეკონომიკის 28 ქვეყანაში 2012-2014 წლებში მსოფლიო ბანკის და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ ერთობლივად შესრულებული BEEPS<sup>46</sup>-ის მე-5 რაუნდის მონაცემებს, რომელიც ეხება ფირმის (მიკრო-) დონეს.

**საკვანძო სიტყვები:** გარდამავალი ეკონომიკა, ფირმა, ბიზნესგარემო, ინოვაცია, მწარმოებლურობა.

### შესავალი

როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ხაზგასმულია ინოვაციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა ფირმის, როგორც ეკონომიკური სისტემის ძირეული რგოლის, მწარმოებლურობისა და, შესაბამისად, ეფექტიანობის ამადლებაში.

ინოვაციები, ინოვაციური აქტიურობა და ინოვაციებზე ორიენტირებული სტრატეგიები განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც ფირმების წინაშე დღის წესრიგში დგას კონკურენტუნარიანობისა და კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების ამოცანა სხვადასხვა ბიზნესგარემოს პირობებში.

ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე პირობებში, შეინიშნება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმების ინოვაციური საქმიანობის სფეროში როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევების გააქტიურება. თუმცა გადაუჭრელი საკითხი ჯერ კიდევ ბევრი რჩება.

სტატიის ძირითადი მიზანია ბიზნესგარემოს როლის შესწავლა გარდამავალი ეკონომიკების პირობებში მოქმედი ფირმების საქმიანობის ისეთი მიმართულებების გაძლიერებაში, როგორცაა: სკსსს; ინოვაციები; შრომის მწარმოებლურობა.

<sup>44</sup> კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით [გრანტის ნომერი №YS-18-1304].

<sup>45</sup> სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს) = Research and Development (R&D) = Научно-исследовательские и опытно-конструкторские разработки (НИОКР).

<sup>46</sup> BEEPS – Business Environment and Enterprise Performance Survey (ბიზნესგარემოსა და საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლების გამოკვლევა) - <https://www.enterprisesurveys.org>.

ნაშრომში ვეყრდნობით შესაბამის აკადემიურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ გაგებას ბიზნესგარემოს შესახებ, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი ინსტიტუტისგან შედგება. ის, ერთი მხრივ, კონტროლს არ ექვემდებარება ფირმების მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ, ზეგავლენას ახდენს ფირმის დანახარჯებზე როგორც ვაჭრობის, ისე ბიზნესის კეთების სფეროში, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ფირმის მწარმოებლურობის ამადლებას და, ამასთან ერთად, ფირმას აძლევს სტიმულს, გაზარდოს თავისი აქტივობები ინოვაციური და საექსპორტო მიმართულებით [Carlin and Seabright, 2007; Iwanow and Kirpatrick, 2008; EBRD, 2014].

სტატია დაყოფილია ოთხ ნაწილად. პირველ ნაწილში ვასრულებთ შესაბამისი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვას. ამ უკანასკნელის შეჯამების საფუძველზე მეორე ნაწილში ვახდენთ შესაბამისი ჰიპოთეზების ფორმულირებას.

მესამე ნაწილში ჩამოვყალიბებთ ემპირიულ სტრატეგიას, სადაც აღვწერთ ჰიპოთეზების ტესტირებისთვის გამოყენებულ ეკონომეტრიკულ მოდელს, კვლევის შერჩევასა და შესაბამის მონაცემებს, ხოლო ბოლო ნაწილში წარმოვადგენთ კვლევის შედეგებს, ანუ გამოყენებული ეკონომეტრიკული მოდელის პარამეტრების შეფასების შედეგებსა და მის ინტერპრეტაციას.

## I. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში გამოვყავით როგორც თეორიული, ისე ემპირიული ხასიათის კვლევების ორი მიმართულება: 1. ლიტერატურა, რომელში აღწერილია დამოკიდებულება ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: ბიზნესგარემო და ეკონომიკური ევექტიანობა [Schumpeter, 1934; 1942; North, 1990, 1994; Dollar et al. 2005; Arnold, Javorcik and Matoo, 2006; Knack and Keefer, 1997; Zak and Knack, 2001; Allard, Martinez & Williams, 2012; Prajogo, 2016; Rialp-Criado, & Komochkova, 2017; Véganzonès-Varoudakis & Nguyen, 2018; Plane, Véganzonès-Varoudakis, 2019]; 2. ლიტერატურა, რომელში აღწერილია დამოკიდებულება ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: ფირმის დონეზე განხორციელებული სკსს, ინოვაციები და ფირმის (შრომის) მწარმოებლურობა [Griliches, 1979; Pakes and Griliches, 1980; Crepon, Duguet, and Mairesse, 1998; Loof et al., 2003; Janz et al., 2004; Mairesse et al., 2005; Griffith et al., 2006; Loof and Heshmati, 2006].

### ბიზნესგარემო და ეკონომიკური განვითარება

პირველ რიგში გვინდა გამოვყოთ და დავეყრდნოთ ცნობილი მეცნიერების ჯ. შუმპეტერისა და დ. ნორტის მოსაზრებებსა და შეხედულებებს იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა: ბიზნესგარემო, ინსტიტუტები, ინოვაციები და ეკონომიკური განვითარება.

პირველი აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის უმთავრესი წინაპირობაა ისეთი ფირმების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ სწავლა და ცოდნის ათვისება, მეწარმეობრივი აღმოჩენების კეთება და ინოვაციების დანერგვა, ბაზრებზე რყევების გამოწვევა და ზემოგების მიღება. მისი შეხედულებით, ინოვაციორთა არსებობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქვეყნის უნარზე, უზრუნველყოს სათანადო ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რომლის პირობებში ინოვაციორის ზემოგება საკმარისია ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯების დასაფარად [Schumpeter, 1934; 1942].

ამასთან, მეორე მიიხსენებდა, რომ განვითარებადი ქვეყნის წარმატება ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, საბოლოო ჯამში, აიხსნება ინსტიტუციური გარემოს შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს ხელსაყრელი სტიმულების (სამოტივაციო სტრუქტურის) ფორმირებას ინოვაციური ფირმებისთვის. ამასთან ერთად, მისი მოსაზრებით, განსხვავება, რომელიც არსებობს ქვეყნებს შორის

ეკონომიკური განვითარების დონის თვალსაზრისით, შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნების ინსტიტუციურ გარემოში არსებული განსხვავებებით [North, 1990; 1994].

### **ეკონომიკურ შედეგებზე ბიზნესგარემოს ზეგავლენის გზები**

ასევე, ნაშრომები, სადაც აღწერილი კვლევების შედეგების თანახმად გამოკვეთილია ბიზნესგარემოს მნიშვნელობა და მისი ზეგავლენის გზები წარმატებულ ეკონომიკურ შედეგებზე. სახელდობრ, სათანადოდ ფორმირებული, ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემო: საკუთრების უფლებათა დაცვით **ინოვაციურ საქმიანობაში** ახდენს ინვესტიციების სტიმულირებას [World Bank, 2001; 2002; 2004]; საერთო პრობლემების გადაჭრისა და პარტნიორობა შორის ურთიერთობების გაძლიერების ხელშეწყობით **სესსს-სა და ინოვაციებში** ახდენს ინვესტიციების სტიმულირებას ახდენს [Akcomak and ter Weel, 2009; Doh and Acs, 2010; Camps and Marques, 2014]; ტრანსაქციული ხარჯების შემცირებით და ე.წ. ოპორტუნისტული ქცევების შემსუბუქებით უზრუნველყოფს **სპეციფიკურ ინვესტიციებს და საუკეთესო სამმართველო სტრუქტურების** ჩამოყალიბებას [Zak and Knack, 2001; Dyer and Wujin Chu, 2003; Bjørnskov and Méon, 2010; Berulava, 2013]; მაღალხარისხიანი და იაფი მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით ხელს უწყობს სამრეწველო ფირმების (downstream manufacturing firms) **ხარჯების შემცირებასა და მწარმოებლურობის ამაღლებას** [Arnold, Javorcik and Matoo, 2006; Arnold, Matoo and Narciso, 2006; Eschenbach and Hoekman, 2006; Fernandes and Paunov, 2008]; ასრულებს მოდერაციულ როლს **ინოვაციასა და ბიზნეს-საქმიანობას შორის არსებულ დამოკიდებულებაში** [Prajogo, 2016; Allard, Martinez & Williams, 2012; Zhang et al., 2018; Jiao, Koo & Cui, 2015].

გარდა ამისა, აღსანიშნავია ბოლოდროინდელი კვლევები განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითებზე, სადაც გამოვლენილია ურთიერთდამოკიდებულება ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა, ერთი მხრივ, ბიზნესგარემო ან საინვესტიციო გარემო, ინსტიტუტები, სოციალური კაპიტალი, კონკურენცია, კორუფცია, ხოლო მეორე მხრივ - ფირმის საქმიანობა (მათ შორის ფირმის ინოვაციური საქმიანობა).

მოვიყვანო შესაბამისი ლიტერატურული წყაროების რამდენიმე მაგალითს.

ყურადღასაღებია კვლევა, რომელიც ეხება **საინვესტიციო კლიმატსა (investment climate) და ფირმის მწარმოებლურობას (productive performance)** შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენას. 70 განვითარებადი ქვეყნის და, შესაბამისად, 11 საწარმოო დარგის (manufacturing industries) მონაცემების საფუძველზე ჩატარებულმა ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა რომ ფირმებს რომლებიც ირჩევენ გარე ბაზრებზე ორიენტაციას აქვთ მწარმოებლურობის უფრო მაღალი დონე, თუმცა ამასთან ერთად, უფრო მგრძობიარენი არიან საინვესტიციო კლიმატის შეზღუდვების მიმართ [Véganzonès-Varoudakis M.A. & H. T. M. Nguyen, 2018].

ამასთან ერთად, ძალზე საინტერესოა კვლევა, რომლის მიხედვით გამოვლენილია **ბიზნესგარემოსა** (დინამიურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით) და **ფირმის სხვადასხვა ტიპის ინოვაციურ სტრატეგიებს** შორის არსებული კავშირები. ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის, კერძოდ, ავსტრალიის მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ, ერთი მხრივ, დინამიური ბიზნესგარემო აძლიერებს პროდუქტული ინოვაციების გავლენას ბიზნესშედეგაანობაზე, ხოლო მეორე მხრივ, კონკურენტუნარიანი გარემო ასუსტებს პროდუქტული ინოვაციების გავლენას, მაგრამ აძლიერებს პროცესული ინოვაციების ეფექტებს ბიზნესკეთების შედეგებზე [Prajogo, Daniel I., 2016].

აქვე აღსანიშნავია კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა **ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციებსა და ორგანიზაციის ინოვაციურ პოტენციალს** შორის არსებულ ურთიერთობაში **სოციალური კაპიტალის მედიაციური როლის დადგენა**.



კორეის მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს რომ სოციალური კაპიტალის ინტერპერსონალური და შემეცნებითი ასპექტები წარმოადგენს მნიშვნელოვან მედიატორს ორგანიზაციული ინოვაციების შესრულებაში [Ahn S.-Y. and So-Hyung Kim, 2017].

ასევე უნდა აღინიშნოს კვლევა, რომელიც ორიენტირებული იყო პროდუქტული ინოვაციების დანერგვაზე ბიზნესისა და პოლიტიკური კავშირების (business and political ties), შემეცნებითი კაპიტალისა (cognitive capital) და ინსტიტუციური მხარდაჭერის (institutional support) ერთობლივი ეფექტების გამოვლენაზე. ჩინეთისა და ინდოეთის მაგალითზე შესრულებული გამოკვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, შემეცნებითი კაპიტალი მედიაციურ როლს ასრულებს პროდუქტულ ინოვაციებზე ბიზნესკავშირების ეფექტების ფორმირებაში როგორც ჩინეთში, ისე ინდოეთში, ხოლო მეორე მხრივ, ინსტიტუციური მხარდაჭერა მედიაციურ როლს ასრულებს პროდუქტულ ინოვაციებზე ბიზნესისა და პოლიტიკური კავშირების ზემოქმედების პროცესში მხოლოდ ჩინეთში. კვლევამ ასევე დაადგინა, რომ პოლიტიკური კავშირები ზრდის ინსტიტუციურ მხარდაჭერას ინდოეთში, ხოლო პროდუქტული ინოვაციების დანერგვაზე შემეცნებითი კაპიტალის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა უფრო ძლიერია ინდოეთში, ვიდრე ჩინეთში [Zhang M. et al., 2018].

და ბოლოს, ამ კონტექსტში გვინდა გამოვყოთ კვლევა, რომლის ფარგლებში გამოვლენილია კორუფციის გავლენა ხარისხის სერტიფიკატებისა და პატენტების მიღებაზე მცირე და დიდი ზომის ფირმების მიერ. 48 განვითარებადი და ზრდადი ბაზრების ქვეყნების მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ კორუფცია ამცირებს ალბათობას შესაბამისი დარგის ფირმებმა მიიღონ ხარისხის სერტიფიკატები. გარდა ამისა, დასტურდება, რომ კორუფცია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს უფრო მცირე ზომის ფირმებზე, ხოლო არ ახდენს ზეგავლენას ექსპორტზე მომუშავე ფირმებზე ან ფირმებზე, რომლის კაპიტალი უცხოურ და საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს [Paunov, C., 2016].

ამასთან ერთად, აღვნიშნავთ ზემოთ მოყვანილი ფაქტორების დამოკიდებულების შესახებ რამდენიმე კვლევას, რომელიც ჩატარდა გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების მიმართ.

აქ აღსანიშნავია სლოვენიაში ჩატარებული კვლევა, რომელიც ავლენს ურთიერთკავშირს ბიზნესგარემოსა და ინოვაციებს შორის. კვლევაში მითითებულია რომ, თუ სლოვენიას სურს წარმატებული იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში, მხარდამჭერი ბიზნესგარემო არ შეიძლება და არც უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ მთავრობის ფინანსურ დახმარებებზე, არამედ უნდა შეიცავდეს ტექნოლოგიურ განვითარებაზე ზეგავლენის მომხდენ ისეთ ელემენტებსაც, როგორცაა: 1) ორგანიზაციული კულტურა, ღირებულებები, დაჯილდოვების სისტემა; 2) საკანონმდებლო რეგულაციები; 3) საგადასახადო და სოციალური შენატანები; 4) ბიუროკრატიული ბარიერები; 5) ადამიანისეული რესურსი; 6) ხელსაყრელი საბანკო სესხი, საბანკო გარანტიები, ვენჩურული კაპიტალი და ა.შ.) [Krapez J., Miha Skerlavaj, Ales Groznik, 2012].

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს კვლევა, რომელიც ეხება ე.წ. დამწვევი ეკონომიკების (catching-up economies) პირობებში ფირმის მწარმოებლურობის მამოძრავებელი ძალების (drivers) გამოვლენას სიახლეებსა და კონკურენციასთან მისი დამოკიდებულების ერთობლივი შეფასებით. კვლევა ჩატარდა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მსოფლიო ბანკისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ დაგროვებული ე.წ. BEEPS-ის მონაცემების გამოყენების საფუძველზე, რომლის შედეგებით დასტურდება სკსსსზე კონკურენციის ინვერსიული U-ფორმის ზეგავლენა. ამასთან ერთად, კვლევის

შედგების თანახმად, კონკურენცია და ინოვაცია ერთდროულად დადებით გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე როგორც ერთ დასაქმებულზე გაყიდვების ან დამატებითი ღირებულების, ისე უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლებისა და უცხოური საკუთრების მაღალი წილის თვალსაზრისით. ასევე, შრომის მწარმოებლურობაზე დადებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ფირმის ზომა, ექსპორტი ან მოსახლეობის სიმჭიდროვე, ხოლო ინოვაცია და უცხოური საკუთრება, როგორც ჩანს, მულტიფაქტორული მწარმოებლურობის უძლიერესი განმსაზღვრელი ხდება [Friesenbichler K. and Michael Peneder, 2016].

შეიძლება შევავჯამოთ ზემოთ აღნიშნული მიმართულებების შესახებ მიმოხილული ლიტერატურა და, შესაბამისად კვლევები, და გამოვიტანოთ დასკვნები, რომ ეს კვლევები:

- ადასტურებს ბიზნესგარემოს პოზიტიურ ეფექტებს ისეთ ეკონომიკურ შედეგებზე, როგორიცაა: სკსსს-ში ინვესტიციები, ინოვაცია და მწარმოებლურობა;
- აღიარებს ბიზნესგარემოს მოდერაციულ როლს ინოვაციასა და ფირმების ბიზნესსაქმიანობას შორის არსებულ დამოკიდებულებაზე;
- არ განიხილება ბიზნესგარემოსა და სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის ცვლადებს შორის არსებული სტრუქტურული ურთიერთკავშირები ერთდროულად ერთიანი მოდელის ფარგლებში;
- ძირითადი აქცენტი კეთდება ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე და ნაკლები ყურადღება ექცევა ვითარებას ფირმის დონეზე;
- ნაკლებად ფოკუსირდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე.

### **სკსსს, ინოვაციები და ფირმის (შრომის) მწარმოებლურობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში**

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, აკადემიურ ლიტერატურაში ინოვაცია აღიარებულია როგორც მწარმოებლურობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ფირმის ინოვაციურ საქმიანობასა და მის მწარმოებლურობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას საფუძვლიანად პირველად მიაქციეს ყურადღება ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან *გრილიჩისი* და *ფეიქსი* [Griliches, 1979; Pakes and Griliches, 1980]. მათ სანიმუშო კვლევებში, რომელიც გამიზნული იყო ფირმაში შესრულებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (R&D-ის) უკუგების შეფასებაზე, ავტორებმა განახორციელეს ტრადიციული *კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის* ჩარჩოს მოდიფიკაცია იმით, რომ მოდელში შემოიტანეს „*ცოდნის საწარმოო ფუნქცია*“. ამ მიდგომის მთავარი დაშვება გულისხმობს, რომ ინვესტიციები წარსულ და მიმდინარე ცოდნაში (ანუ R&D-ში) აუცილებელია ახალი ცოდნის (და შესაბამისად, ინოვაციების) წარმოსაქმნელად, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ფირმის შედეგების ზრდაზე.

კვლევის ეს ხაზი შემდგომ გააფართოვეს *ქრეპონმა, დიუგემ და მერესმა* [Crepon, Duguet, and Mairesse, 1998]. მათ მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა, რომელმაც შემდგომ მიიღო CDM<sup>47</sup>-ის სახელწოდება, ერთმანეთისაგან გამიჯნა ინოვაციური დანახარჯები (სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განხორციელებული ინვესტიციები) და ინოვაციური შედეგები (მიღებული ცოდნა). CDM-ი, როგორც სტრუქტურული რეკურსიული მოდელი, ხსნის ფირმის მწარმოებლურობას ისეთი ფაქტორით, როგორიცაა ცოდნა, ანუ ინოვაციური შედეგი და, თავის მხრივ, ინოვაციურ შედეგებს დ ინოვაციური დანახარჯებით, ანუ

<sup>47</sup> CDM – C – Crepon, D – Duguet, M – Mairesse.

ისეთი ფაქტორით, როგორცაა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განხორციელებული ინვესტიციები.

თავიდან CDM მოდელი შედგებოდა 4 განტოლებისგან: 1. ცოდნაში ინვესტირების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების არჩევანის განტოლება; 2. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში ინვესტირების ინტენსივობის განტოლება; 3. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციათა შორის კავშირის განტოლება; 4. ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის კავშირის განტოლება.

ეს განტოლებები ფასდებოდა ერთდროულად და თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ ეტაპობრივად.

ფრანგული საწარმოო ფირმების შერჩევის მიმართ ამ მოდელის გამოყენებით *ქრეპონმა, დიუგემ და მერესმა* აღმოაჩინეს, რომ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ინტენსივობა დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციურ შედეგზე (ვაზომილი ისეთი ორი ცვლადით, როგორცაა პატენტების რაოდენობა და ახალი პროდუქტის ბაზარზე გაყიდვების პროცენტული წილი). გარდა ამისა, ავტორებმა მიაკვლიეს, რომ ინოვაციური შედეგი, თავის მხრივ, არის ფირმის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი (პრედიქტორი).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა მკვლევარების მიერ ხდებოდა ტრადიციული CDM მოდელის გაფართოება, ძირითადად ისეთი ფაქტორების (და, შესაბამისად, განტოლებების) შემოღებით, როგორცაა: სივრცითი აგლომერაცია [Antonietti and Cainelli, 2011]; ექსპორტი [Masso and Vahter, 2012]; კორუფცია [Habiyaremyev and Raymond, 2013] და სხვ.

ზოგადად, CDM მოდელზე დაფუძნებულმა ბოლო კვლევებმა<sup>48</sup>, რომელიც მიზნად ისახავდა ურთიერთკავშირების დადგენას ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ინოვაცია და ფირმის მწარმოებლურობა, და დაადასტურა *ქრეპონის, დიუგესა და მერესის* მთავარი მიგნებები. ამ კვლევების უმრავლესობა განხორციელებული იყო განვითარებულ ქვეყნებში. მონაცემები კი, *ქრეპონის, დიუგესა და მერესის* კვლევის მსგავსად, აღებული იყო **ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის სხვადასხვა წლის მიმოხილვებიდან – ე.წ. Community Innovation Survey (CIS)**<sup>49</sup>.

გარდა ამისა, აქ ასევე აღსანიშნავია კვლევა, რომელიც ჩატარდა ერთ-ერთ წამყვან, ზრდადი ბაზრების ქვეყანაში, როგორცაა კორეა. უნიკალური მონაცემების გამოყენების საფუძველზე გამოვლინდა ინოვაციების მედიაციური როლი სკესს-სა და ფირმის მწარმოებლურობას შორის არსებულ დამოკიდებულებაში [Hong, Y.-P. et al., 2015].

### **ინოვაციები და ფირმის (შრომის) მწარმოებლურობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში**

რაც შეეხება ევრობანკის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს [EBRD, 2014], ვრცლად იქნა შესწავლილი ინოვაციასა და ფირმის მწარმოებლურობას შორის კავშირი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიხედვით. BEEPS V-ის მიმოხილვიდან აღებული 15000-ზე მეტი საწარმოს მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკვლეულ იქნა: ინოვაციების ტიპები; ინოვაციის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორები (მათ

<sup>48</sup> მაგალითად, იხ. *Loof et al., 2003; Janz et al., 2004; Mairesse et al., 2005; Griffith et al., 2006; Loof and Heshmati, 2006; Criscuolo, 2009; Johansson and Löf, 2009; Raymond et al., 2012; González, M.G. et al., 2016.*

<sup>49</sup> ქვეყნის სხვადასხვა სექტორსა და რეგიონში არსებულ ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებით ევროკავშირის, ნორვეგიისა და ისლანდიის ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მიერ განხორციელებული გამოკითხვები.

შორის, ერთი მხრივ, ფირმის დონეზე არსებული დრავივრები, როგორცაა ფირმის ზომა და ასაკი, საკუთრების ტიპი, კონკურენცია საერთაშორისო ბაზრებზე, სკსსს, ადამიანისეული კაპიტალი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია, ხოლო მეორე მხრივ, - ბიზნესგარემოს ისეთი ხელშემწყობი ან დამაბრკოლებელი ელემენტები, როგორცაა ფართოდ გავრცელებული კორუფცია, მართლმსაჯულების სუსტი სისტემა და ა.შ.); რამდენად ინოვაციურია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (მათ შორის ისეთი ფაქტორები, როგორცაა პატენტის ხარისხი, არსებული ტექნოლოგიის დანერგვა, ექსპორტისა და პატენტების ინოვაციური ინტენსივობა); ფირმის მწარმოებლურობაზე ინოვაციების ზეგავლენა; ფინანსების როლი ფირმების ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობაში გარდამავალი ეკონომიკის პირობებში; ინოვაციური აქტივობების მხარდამჭერი პოლიტიკები და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული კვლევის თანახმად [EBRD, 2014] CDM მოდელის გამოყენებით გამოვლინდა ფირმის მწარმოებლურობაზე ტექნოლოგიური (პროცესული და პროდუქტული) და არატექნოლოგიური (ორგანიზაციული და მარკეტინგული) ინოვაციების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ინოვაციური შედეგის მნიშვნელოვან დეტერმინანტებად გამოვლინდა ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ფირმის ზომა და ასაკი, ფირმის კაპიტალში უცხოელ მესაკუთრეთა წილი, ფირმაში დასაქმებულთა განათლების დონე, კომუნიკაციების გამოყენება და ფინანსების ხელმისაწვდომობა.

CDM მოდელზე დაფუძნებული გარდამავალ ეკონომიკის სხვადასხვა ქვეყანაში „ინოვაცია-მწარმოებლურობის“ კავშირის გამოსავლენად განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლინდა: ფირმის მწარმოებლურობაზე ტექნოლოგიური ინოვაციის შესაძლო ეფექტი (ესტონეთის მაგალითზე) [Masso and Vahter, 2008]; „ინოვაცია-მწარმოებლურობის“ ურთიერთკავშირის განსხვავებული ხარისხის სიძლიერე მომსახურების სექტორის სხვადასხვა ქვედარგის მიხედვით (ესტონეთის მაგალითზე) [Masso and Vahter, 2012]; საწარმოო ფირმების „სკსსს-ის დანახარჯები-ინოვაცია-მწარმოებლურობის“ კავშირზე სახელმწიფო მხარდაჭერის ზეგავლენა (უკრაინის მაგალითზე) [Vakhitova and Pavlenko, 2010]; ფირმის ინოვაციური მიმართულებით ქცევებსა და შედეგიანობაზე ტრანსნაციონალური კორუფციის ეფექტები [Habiyaemyev and Raymond, 2013]; ფირმის მწარმოებლურობის დამოკიდებულება ინოვაციებისა და კონკურენციის მიმართ [Friesenbichler and Peneder, 2016]; „სკსსს-ინოვაცია-ფირმის მწარმოებლურობის“ კავშირები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბულგარეთსა და რუმინეთში ისეთი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანასთან შედარებით, როგორცაა გერმანია [Tevdovski D. et al., 2017].

## II. საკვლევი ჰიპოთეზების ფორმულირება

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პირობებში მოქმედი ფირმების დონეზე არსებული შესაბამისი სტრუქტურული ურთიერთობების შესწავლა ისეთ ფაქტორებს (ცვლადებს) შორის როგორცაა:

- ბიზნესგარემო;
- სკსსს;
- ინოვაციები;
- შრომის მწარმოებლურობა.

არსებული მიზნის მიღწევას ჩვენ ვაპირებთ გაფართოებული ეკონომეტრიკული ე.წ. CDM მოდელის გამოყენებით.

შესაბამისად, ამისათვის, ვგეგმავთ გავაფართოვოთ ტრადიციული სტრუქტურული მოდელი (ანუ მოვახდინოთ ტრადიციული CDM მოდელის მოდიფიკაციას)

მასში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული დამატებითი (ახალი) განტოლების შემოტანით და განვახორციელებთ ბიზნესგარემოს ეფექტის შეფასებას მოდელის ყოველ საფეხურზე.

ზემოთ განხორციელებული შესაბამისი თეორიული და ემპირიული ლიტერატურის მიმოხილვის დაჯამების საფუძველზე ჩვენ გავქვს მოლოდინი, რომ გამოვაკლენთ ბიზნესგარემოს სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტებს CDM მოდელის ყოველ საფეხურზე და რომ სკსსს-ისა და ინოვაციების ეფექტებიც გვიჩვენებს მოსალოდნელ შედეგებს.

კერძოდ, ვვარაუდობთ და, შესაბამისად, ვახდენთ შემდეგი ჰიპოთეზების ფორმულირებას:

**H<sub>1</sub>.** ბიზნესგარემო ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას სკსსს-ზე;

**H<sub>2</sub>.** ბიზნესგარემო ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ინოვაციებზე;

**H<sub>3</sub>.** ბიზნესგარემო ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას შრომის მწარმოებლურობაზე;

**H<sub>4</sub>.** სკსსს-ი ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ინოვაციებზე;

**H<sub>5</sub>.** ინოვაცია ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას შრომის მწარმოებლურობაზე.

### III. ემპირიული სტრატეგია

აქ აღვწერთ ჯერ ეკონომეტრიკულ მოდელს ჰიპოთეზების ტესტირებისთვის და, შესაბამისად, ამ მოდელის საზომ – დამოკიდებულ (ენდოგენურ) და დამოუკიდებელ (ეგზოგენურ) - ცვლადებს, ხოლო შემდეგ – გამოყენებულ შერჩევასა და მონაცემებს.

#### ეკონომეტრიკული მოდელი

კლასიკური ეკონომეტრიკული CDM მოდელი ერთმანეთთან აკავშირებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს), ინოვაციები და მწარმოებლურობა. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს, ეს მოდელი ითვალისწინებს ფირმის ეფექტიანობაზე ისეთი ფაქტორების შესაძლო ზეგავლენას, როგორცაა ფირმის ზომა და ასაკი, საწარმოო პერსონალის კვალიფიკაცია, კონკურენციის ხარისხი, დარგი და ა.შ.

კვლევაში ვიყენებთ მოდელის გაფართოებულ (მოდელიცირებულ) ვერსიას იმისათვის, რომ ფირმის ღონეზე შევისწავლოთ სტრუქტურული ურთიერთკავშირები ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა ბიზნესგარემო, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ინოვაციები და მწარმოებლურობა. მოდელი ასახავს ოთხსაფეხურიან რეკურსიულ სისტემას, რომელშიც ყოველი წინა საფეხური მოდელირებულია როგორც მომდევნო საფეხურის დეტერმინანტი.

მოდელის მოდიფიკაცია მოხდა მასში ახალი განტოლების შემოყვანით, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, ერთი მხრივ, ბიზნესგარემოს ფუნქციონირების იდენტიფიკაციის გათვალისწინება, ხოლო მეორე მხრივ - მოდელის ყოველ მომდევნო საფეხურზე შევძლებთ, განვახორციელოთ შესაბამის ცვლადებზე ბიზნესგარემოს გავლენის ტესტირება.

მოდელის წარდგენა, როგორც ოთხ განტოლებათა სისტემა, შემდეგ სახეს იღებს:

$$\begin{cases} y_{1i} = x_{1i}\beta_1 + \varepsilon_{i1} \\ y_{2i} = \alpha_2 y_{1i} + x_{2i}\beta_2 + \varepsilon_{i2} \\ y_{3i} = \alpha_3 y_{1i} + \gamma_3 y_{2i} + x_{3i}\beta_3 + \varepsilon_{i3} \\ y_{4i} = \alpha_4 y_{1i} + \delta_4 y_{3i} + x_{4i}\beta_4 + \varepsilon_{i4} \end{cases} \quad (1)$$

სადაც  $i = 1, \dots, n$  არის დაკვირვებადი ფირმების ინდექსი;

$y_{ki}$  - ენდოგენური (დამოკიდებული) ცვლადები, კერძოდ:  $y_1$  არის ბიზნესგარემოს ინდექსი, გამომწვევად გამოანგარიშებული როგორც ფაქტორული ქულა (as a factor score);  $y_2$  - სკსს-ში ინვესტირების ინტენსიური ზღვარი (ამ კვლევაში ჩვენ ვიყენებთ *ორსაფეხურიან პეკმანის მოდელს*, რომ მოვასხდინოთ ამ ცვლადისთვის შერჩევის გადახრის (selection bias) კორექტირება);  $y_3$  - ინოვაცია (ინოვაციური შედეგი, რომელიც წარმოდგენილია როგორც პროდუქტული და პროცესული ინოვაციების შერეული, გაერთიანებული ცვლადი);  $y_4$  - მწარმოებლურობა (ცვლადი, რომელიც წარმოდგენილია როგორც შრომის მწარმოებლურობის ლოგარითმი);

$x_{ki}$  (სადაც  $k = 1, \dots, 4$ ) არის ამხსნელი, ეგზოგენური (დამოუკიდებელი) ცვლადების ვექტორი;

$b_k$  (სადაც  $k = 1, \dots, 4$ ) - პარამეტრების ვექტორი;

$a_2, a_3, a_4, y_3$  და  $\delta_4$  - შესაფასებელი პარამეტრები;

$\varepsilon_{ki}$  (სადაც  $k = 1, \dots, 4$ ) - შეცდომის წევრები (error terms).

### საზომი ცვლადები

#### ენდოგენური ცვლადები

**1. ბიზნესგარემოს ინდექსი (BE index)** შექმნილია ფირმების სუბიექტური შეფასებების ბაზაზე სუბიექტიური სკალის საფუძველზე (0-დან 4-მდე, სადაც 0 ნიშნავს „არანაირი დაბრკოლება არ არსებობს“ და 4 დ „არსებობს ძალზე სერიოზული დაბრკოლება“) იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეზღუდულად განიხილავენ ისინი თავიანთ ბიზნესსაქმიანობას ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორცაა: მიწის, ფინანსების, ელექტროენერჯის, ტელეკომუნიკაციების ხელმისაწვდომობა, საგადასახადო ტარიფები და ბიზნესგარემოს სხვა ფაქტორები<sup>50</sup>.

ბიზნესგარემოს საერთო ინდექსის გასაანგარიშებლად ვიყენებთ შეჯამებული სკალის მიდგომას (summated scales approach) (ფაქტორში გაერთიანებული, საშუალოდ შეწონილი მნიშვნელობის ცვლადებს). მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები არაერთ კვლევაში გამოიყენება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიზნესგარემოს პირველადი სუბიექტური მაჩვენებლების გამოყენებამ შეიძლება ენდოგენურობის პრობლემა წარმოქმნას და გამოიწვიოს „ბიზნესგარემო-ინოვაცია-მწარმოებლურობის“ ცვლადების მიკერძოებული (არაობიექტური) შეფასება. უფრო მეტიც, ეს მაჩვენებლები ასახავს მხოლოდ სუბიექტურ შეფასებებს ბიზნესგარემოში არსებული დაბრკოლებების შესახებ, რომელთა წინაშე დგას ნებისმიერი კონკრეტული ფირმა. ცხადია, ფირმები, რომლებიც ინოვაციური ან საექსპორტო საქმიანობით არიან დაკავებულნი, უფრო მეტ დაბრკოლებას განიცდიან, ვიდრე ის, ვინც არ არის ჩართული ამ აღნიშნული ტიპის საქმიანობაში [EBRD, 2014]. ამრიგად, კარგი ბიზნესგარემო იქნება ის, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ერთი და იგივე ლოკაციაზე (ადგილმდებარეობაზე) მოქმედი ინოვაციური და არაინოვაციური ფირმებისთვის, აღქმული დაბრკოლებების თვალსაზრისით. ამ მოსაზრებების

<sup>50</sup> ელექტროენერჯია, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, სამომხმარებლო და სავაჭრო რეგულაციები, მიწის ხელმისაწვდომობა, კრიმინოგენური მდგომარეობა, ქურდობა და უწესრიგობა, ფინანსების ხელმისაწვდომობა, საგადასახადო ტარიფები, საგადასახადო ადმინისტრირება, ბიზნესის ლიცენზირება და ნებართვები, პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფცია, სასამართლო, შრომითი რეგულაციები, დაბალკვალიფიციური მუშახელი (Electricity, telecommunications, transport, customs and trade regulations, access to land, crime, theft and disorder, access to finance, tax rates, tax administration, business licensing and permits, political instability, corruption, courts, labor regulation, inadequately educated workforce).

გათვალისწინებით, ვიანგარიშებთ ბიზნესგარემოს ინდექსს, როგორც სხვაობა აგრეგირებულ (ქვეყნის და ადგილმდებარეობის ზომის მიხედვით) ქულებს შორის ინოვაციური და არაინოვაციური ფირმებისთვის. ამრიგად, რაც უფრო ნაკლებია მათ შორის სხვაობა, მით უფრო მეტია იმ ფირმების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ სტიმული, განახორციელონ ინვესტიციები ინოვაციებში.

**2. სკსსს-ს (R&D) ცვლადი** გამოიანგარიშება როგორც თანაფარდობა (ratio) საერთო სკსსს-ს დანახარჯებსა (თანხა, რომელიც იხარჯება შიდა სკსსს-სა და გარე ცოდნის შექმნაზე) და ყოველწლიურ გაყიდვებს შორის.

*Friesenbichler and Peneder* (2016) მიხედვით ჩვენ შევქმენით რიგითი სკალა (1-დან 4-მდე), სადაც: ნიშანი „1“ მინიჭებულია იმ ფირმებისთვის, რომლებსაც ხარჯები არა აქვთ გაწეული სკსსს-ზე; „2“ - იმ ფირმებისთვის, სადაც სკსსს-სა და გაყიდვებს შორის თანაფარდობა არის 1.5%-ზე დაბალი; „3“ - იმ ფირმებისთვის, სადაც აღნიშნული თანაფარდობა არის 1.5%-დან 5%-მდე; „4“ - იმ ფირმებისთვის, სადაც ეს თანაფარდობა არის 5%-ზე ზევით.

**3. ინოვაციის (Innovation) ცვლადის** გასაანგარიშებლად ჩვენ გამოვიყენეთ *ფრიზენბიხლერისა და ფენედერის* მიერ [Friesenbichler and Peneder, 2016] შემუშავებული ოთხელემენტისანი რიგითი სკალა ფირმების საინოვაციო საქმიანობის გასაზომად. ფირმას ენიჭება: ნიშანი „1“, თუ ის არ არის ჩართული არც პროდუქტული და არც პროცესული ინოვაციების დანერგვის პროცესში (ადაპტირებადი ფირმის I ტიპი); ნიშანი „2“, თუ ის ნერგავს თავის საქმიანობაში ისეთ პროდუქტულ ან პროცესულ ინოვაციას, ან ორივეს ერთად, რომელიც ახალია ამ ფირმისთვის, მაგრამ არ არის ახალი ბაზრისთვის (ადაპტირებადი ფირმის II ტიპი); ნიშანი „3“, თუ ის ნერგავს თავის საქმიანობაში ამ აღნიშნული ტიპის ინოვაციებს, რომელიც ახალია ბაზრისთვის, მაგრამ ამ პროცესში მთავარი წვლილი შეაქვს გარე პარტნიორებს (შემოქმედებითი ფირმის I ტიპი); ნიშანი „4“, თუ ის ნერგავს თავის საქმიანობაში საკუთარი ძალებით შექმნილ, აღნიშნული ტიპის ინოვაციებს, რომელიც ახალია ბაზრისთვის (შემოქმედებითი ფირმის II ტიპი).

**4. შრომის მწარმოებლურობის (Labour Productivity) ცვლადი** გაზომილია როგორც საერთო გაყიდვებსა და დასაქმებულთა რიცხვს შორის არსებული თანაფარდობის ლოგარითმი.

*ეკ ზოგენური ცვლადები*

**უმაღლესი განათლება (Univeristy\_degree)** – უმაღლესი განათლების მქონე, სრული დატვირთვით დასაქმებულების პროცენტი, რომელიც ასახავს ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანისეული კაპიტალის ხარისხს;

**ფირმის ზომა (Size)** – ფირმის ზომა, რომელიც მოიცავს 3 ფიქტიურ ცვლადს (dummy variables): მცირე (6-19 დასაქმებული), საშუალო (20-99 დასაქმებული), მსხვილი (100-ზე მეტი დასაქმებული);

**ფირმის ასაკი (Age)** – ორგანიზაციის ასაკის ლოგარითმი წლებში;

**უცხოური საკუთრება (Foreign Ownership)** – უცხოური საკუთრების ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს საერთო კაპიტალში უცხოელების მეტ წილს;

**სახელმწიფო საკუთრება (State Ownership)** – სახელმწიფო საკუთრების ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს აჩვენებს საერთო კაპიტალში სახელმწიფოს მეტ წილს;

**პირდაპირი ექსპორტი (Direct export)** – ექსპორტის ფიქტიური ცვლადი;

**ძირითადი ბაზარი (Main Market)** – ძირითადი ბაზარი (მოიცავს 3 ფიქტიურ ცვლადს: ლოკალური ბაზარი, ეროვნული ბაზარი, საერთაშორისო ბაზარი), რომელიც აჩვენებს, რომ ფირმის მთავარი პროდუქცია იყიდება ლოკალურ, ეროვნულ თუ საერთაშორისო ბაზრებზე;

**ელ. ფოსტა (Email)** – ელ. ფოსტის ფიქტიური ცვლადი, რომელიც აჩვენებს, ფირმები რამდენად იყენებენ ელექტრონულ ფოსტას ბიზნესპარტნიორებთან კომუნიკაციისთვის;

**სუბსიდია (Subsidy)** – რომელიც აჩვენებს, ფირმამ მიიღო თუ არა სუბსიდიები ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობიდან ან ევროკავშირიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში;

**მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (GDP-per-capita)** – იზომება როგორც ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ლოგარითმი, რომელიც ასახავს ეკონომიკური განვითარების ეროვნულ დონეს;

**სახელმწიფო მართვის ხარისხის ინდიკატორი (WGI<sup>51</sup>)** – ქვეყნის სახელმწიფო მართვის ხარისხის ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს, რამდენად კარგია ბიზნეს-რეგულაციები და ბიზნესგარემო ქვეყანაში;

**ქვეყნის და ინდუსტრიის (დარგის) ფიქტიური ცვლადები (Country and Industry dummies)** – შესაბამისად ასახავს ქვეყნის და ინდუსტრიის (დარგის) ფიქსირებულ ეფექტებს.

ერთდროულობის პრობლემის გადასაწყვეტად ვიყენებთ გამორიცხვის შეზღუდვების შემდეგ ინსტრუმენტულ ცვლადებს:

**ბიზნესგარემოს ინდექსი 2009 წლისთვის** – გამოანგარიშებულია ბიზნეს-გარემოს ინდექსის მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ გამოყენებულია BEEPS IV რაუნდის მონაცემთა ბაზა;

**შესაძლებლობის პირობები (Opportunity conditions)** – კლასიფიკაცია ეფუძნება 4 რიგით კატეგორიას, რომელიც ასახავს ფირმების დამახასიათებელ განაწილებას სკსსს-ზე მათ მიერ გაწეულ ხარჯებზე დაყრდნობით დანერგილი ინოვაციებისთვის სავარაუდო შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

**ცოდნის კუმულაცია (Cumulateness of knowledge)** – კლასიფიკაცია ეფუძნება 3 რიგით კატეგორიას, რომელიც ასახავს ფირმების დამახასიათებელ განაწილებას ცოდნის წარმოებიდან მიღებული უკუგების (შემოსავლების) ზრდასთან დაკავშირებით.

აქ ბოლო 2 ცვლადი ადაპტირებულია *პენედერის* მიერ განხორციელებული [Peneder, 2010] კვლევიდან. სკსსს-სა და ინოვაციის ფაქტორების მიმართ როგორც კარგი ინსტრუმენტული ცვლადების მათი გამოყენება დასაბუთებულია სხვა ემპირიულ კვლევებშიც [მაგალითად, *Friesenbichler and Peneder, 2016*].

განტოლებათა სისტემა (1) წარმოადგენს ერთდროულ განტოლებათა ტიპის რეკურსიულ მოდელს, უკუკავშირის ეფექტების გარეშე.

ბიზნესგარემოს, სკსსს და ინოვაციის პოტენციური ენდოგენურობა გათვალისწინებულია ყველა განტოლების ერთდროული შეფასებით და კორელაციების მეშვეობით შეცდომის წევრებში (in the error terms). გამორიცხვის შეზღუდვების ინსტრუმენტული ცვლადები, რომელიც უზრუნველყოფს იდენტიფიკაციას, წარმოდგენილია ყველა განტოლებაში (გარდა ბოლო განტოლებისა). შეცდომის წევრები, სავარაუდოდ, ხასიათდება ნორმალური განაწილებით, საშუალო მნიშვნელობით (mean) - ნული და ვარიაციული მატრიცით (covariance matrix)  $\Sigma$ :

$$\Sigma = \begin{pmatrix} 1 & & & & \\ \rho_{12} & 1 & & & \\ \rho_{13} & \rho_{23} & 1 & & \\ \rho_{14} & \rho_{24} & \rho_{34} & 1 & \\ & & & & 1 \end{pmatrix} \quad (2),$$

სადაც  $\rho_{12}, \rho_{13}, \rho_{14}, \rho_{23}, \rho_{24}, \rho_{34}$  არის კორელაციები შეცდომის წევრებს (error terms) შორის, რომელიც ასევე უნდა იყონ შეფასებული.

**ვალდ ტესტის (Wald test)** გამოყენებით, სკსსს-სა და ინოვაციის ცვლადების ეგზოგენურობა (the exogeneity) შეიძლება იყოს განსაზღვრული ნულოვანი ჰიპოთეზის (hypothesis  $H_0$ ) ერთობლივი ტესტირებით:  $\rho_{12}=\rho_{13}=\rho_{14}=\rho_{23}=\rho_{24}=\rho_{34}=0$ .

<sup>51</sup> წყარო: <http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home>; მეთოდოლოგიის შესახებ იხ. Kaufmann et al. (2010).



სისტემა (1) შეფასებულია ერთდროულად იმიტირებული მაქსიმალური დასაჯერებლობის შეფასების ტექნიკით (by Simulated Maximum Likelihood estimation technique). შეფასებული პარამეტრების იგნორირებით დასაჯერებლობის ლოგარითმული ფუნქცია იღებს შემდეგ სახეს:

$$\ln L = \ln L(y_1, y_2, y_3, y_4 | x_1, x_2, x_3, x_4) = \\ = l_1(y_1 | x_1) * l_2(y_2 | x_2, y_1) * l_3(y_3 | x_2, y_2, y_1) * l_4(y_4 | x_2, y_3, y_2, y_1) \quad (3)$$

დასაჯერებლობის ფუნქცია (3) მოიცავს ორ წრფივ (1-ლი და მე-4 განტოლება) და ორ პირველი ტიპის ე.წ. ტობიტ (Type I Tobit) მოდელს (მე-2 და მე-3 განტოლება).

დასაჯერებლობის ლოგარითმული ფუნქცია მაქსიმიზებულია პირობითი შერეული პროცესის პროგრამის (Conditional Mixed Process program) მეშვეობით [Roodman, 2011], რომელიც იყენებს ე.წ. GHK-ტიპის (Geweke-Hajivassiliou-Keane) რიცხვით იმიტირებულ ალგორითმს.

### შერჩევა და მონაცემების აღწერა

ჩვენი კვლევა ძირითადად დაეყრდნო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 2012-2014 წლებში მსოფლიო ბანკის და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ ერთობლივად შესრულებული ე.წ. BEEPS-ის მე-5 რაუნდის მონაცემებს<sup>52</sup>, რომელიც ეხება ეკონომიკის ფირმის (მიკრო-) დონეს.

BEEPS-ის ანგარიში ემყარება შესაბამისი მეთოდოლოგიით ევროპისა და ცენტრალური აზიის 28 ქვეყნის 11082 ფირმაში ჩატარებული გამოკითხვებით მოპოვებულ მონაცემებს. გენერალური ერთობლიობიდან გაკეთდა შემთხვევითი სტრატეფიცირებული შერჩევა. ყველა ქვეყანაში სტრატეფიცირების სამი დონე იქნა გამოყენებული: დარგი (industry), ორგანიზაციის ზომა (establishment size) და რეგიონი. შერჩევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ გამოცემაში – the Sampling Manual<sup>53</sup>.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 1) მოცემულია იმ ცვლადების დესკრიპტიული სტატისტიკა, რომელიც გამოყენებულია მოდელის სხვადასხვა განტოლებაში. ცხრილი აგებულია Stata<sup>54</sup> კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით BEEPS-ის მონაცემების გამოყენებით და აღწერს შესაბამისი მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობებს და სტანდარტულ გადახრებს გაწმენდილი შერჩევისთვის (9868 ორგანიზაცია).

### ცხრილი 1

დესკრიპტიული სტატისტიკა გაწმენდილი შერჩევისთვის (საშუალო მნიშვნელობა და სტანდარტული გადახრა)

| ცვლადები                      | დაკვირვებ. რაოდენობა | საშუალო მნიშვნელობა | სტანდარტული გადახრა |
|-------------------------------|----------------------|---------------------|---------------------|
| ბიზნესგარემოს ინდექსი         | 9,868                | 0.189               | 0.151               |
| სკსსს (ფიქსირებული ცვლადი)    | 9,868                | 0.071               | 0.257               |
| სკსსს (რიგითი ცვლადი)         | 9,868                | 1.121               | 0.488               |
| ინოვაცია (ფიქსირებული ცვლადი) | 9,842                | 0.276               | 0.447               |

<sup>52</sup> <https://www.enterprisesurveys.org/>

<sup>53</sup> [http://www.enterprisesurveys.org/~media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Methodology/Sampling\\_Note.pdf](http://www.enterprisesurveys.org/~media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Methodology/Sampling_Note.pdf)

<sup>54</sup> Stata (Statistics და Data სიტყვების მარცვლოვანი აბრევიატურა) – მონაცემების სტატისტიკური დამუშავების კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევების ჩატარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა ეკონომიკა, მედიცინა, ბიოლოგია, სოციოლოგია და სხვ.

|                                 |       |        |        |
|---------------------------------|-------|--------|--------|
| ინოვაცია (რიგითი ცვლადი)        | 9,859 | 1.702  | 1.083  |
| გამოშვება ერთ დასაქმებულზე (Ln) | 9,868 | 10.037 | 2.157  |
| ფირმის ზომა                     | 9,868 | 63.4   | 280.4  |
| უმაღლესი განათლება (%)          | 9,868 | 34.2   | 31.04  |
| ფირმის ასაკი                    | 9,868 | 23.3   | 134.2  |
| პირდაპირი ექსპორტი              | 9,868 | 0.213  | 0.409  |
| უცხოური საკუთრება               | 9,868 | 0.075  | 0.263  |
| სახელმწიფო საკუთრება            | 9,868 | 0.020  | 0.141  |
| სუბსიდია (ფიქსირებული ცვლადი)   | 9,813 | 0.087  | 0.282  |
| ელ. ფოსტა (ფიქსირებული ცვლადი)  | 9,851 | 0.869  | 0.337  |
| ძირითადი ბაზარი (საერთაშორისო)  | 9,820 | 0.075  | 0.2631 |

ცხრილის მიხედვით, საშუალოდ, ფირმების 7% ინვესტიციას დებენ სკსსს-ში, ხოლო იმ ფირმების წილი, რომლებიც განახორციელებს პროდუქტული ან პროცესული ინოვაციები, თითქმის ოთხჯერ მეტს შეადგენს - 27.6%-ს.

ფირმაში საშუალოდ დასაქმებულია 63 მუშაკი, ხოლო დასაქმებულთა 34% -ს აქვს უმაღლესი განათლება.

ფირმების საშუალო ასაკი 23 წელს შეადგენს.

შერჩევაში ფირმების 7.5% უცხოელებს ეკუთვნის, ხოლო 2% - სახელმწიფოს.

შერჩევაში ფირმების უმრავლესობა (86.9%) იყენებს ელ.ფოსტს პარტნიორებთან კომუნიკაციისთვის, ხოლო მხოლოდ 9 პროცენტი იღებს სუბსიდიებს მთავრობიდან ან ევროკავშირისგან.

კომპანიების 21 პროცენტი თავისი პროდუქციის პირდაპირ ექსპორტს ეწევა.

ამასთან, საერთაშორისო ბაზარი არის მთავარი ბაზარი მხოლოდ 7.5% ფირმისთვის.

#### IV. კვლევის შედეგები

რეკურსიული სისტემის (1) მაქსიმალური დასაჯერებლობის შეფასების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 2). რეკურსიული სისტემა (1) შედგება თანმიმდევრულად შეფასებული ოთხი განტოლებისგან:

1. ბიზნეს გარემოს განტოლება;
2. სკსსს-ის განტოლება;
3. ინოვაციის განტოლება;
4. შრომის მწარმოებლურობის განტოლება.

ცხრილი 2

გაფართოებული CDM მოდელის  
მაქსიმალური დასაჯერებლობის შეფასება

| ცვლადები              | ბიზნესგარემოს ინდექსის განტოლება | სკსსს განტოლება    | ინოვაციის განტოლება  | მწარმოებლურობის განტოლება |
|-----------------------|----------------------------------|--------------------|----------------------|---------------------------|
| ბიზნესგარემოს ინდექსი | -                                | -0.107*<br>(0.055) | -0.330***<br>(0.114) | -0.297***<br>(0.099)      |
| სკსსს                 | -                                | -                  | 1.154***<br>(0.177)  | -                         |
| ინოვაცია              | -                                | -                  | -                    | 0.062***<br>(0.023)       |
| ფირმის ზომა           | 0.0009                           | 0.018***           | 0.113***             | 0.029**                   |

|  | (0.001)               | (0.006)                  | (0.014)             | (0.013)               |
|--|-----------------------|--------------------------|---------------------|-----------------------|
| უმაღლესი განათლება (%)                 | 0.0002***<br>(0.000)  | 0.0015***<br>(0.0002)    | 0.0012*<br>(0.0006) | 0.0046***<br>(0.0005) |
| ფირმის ასაკი                           | 0.00001<br>(0.000)    | -0.00007***<br>(0.00001) | 0.0002*<br>(0.0001) | -0.00007<br>(0.0001)  |
| პირდაპირი ექსპორტი                     | -0.0053<br>(.003)     | 0.139***<br>(0.021)      | -0.025<br>(.046)    | 0.269***<br>(0.041)   |
| უცხოური საკუთრება                      | -0.029***<br>(0.006)  | -0.006<br>(0.029)        | -0.001<br>(0.054)   | 0.341***<br>(0.053)   |
| სახელმწიფო საკუთრება                   | -0.041***<br>(0.007)  | -0.0226<br>(0.047)       | 0.059<br>(0.111)    | 0.063<br>(0.096)      |
| ბიზნესგარემოს ინდექსი 2009             | 0.096***<br>(0.007)   | -                        | -                   | -                     |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე                  | -0.0099***<br>(0.002) | -                        | -                   | -                     |
| სახელმწიფო მართვის ხარისხის ინდიკატორი | -0.050***<br>(0.003)  | -                        | -                   | -                     |
| შესაძლებლობის პირობები                 | -                     | 0.079***<br>(0.008)      | -                   | -                     |
| სუბსიდია                               | -                     | 0.141***<br>(0.029)      | -                   | -                     |
| ცოდნის კუმულაცია                       | -                     | -                        | 0.056***<br>(0.012) | -                     |
| ელ. ფოსტა                              | -                     | -                        | 0.206***<br>(0.046) | -                     |
| მთავარი ბაზარი (საერთაშორისო)          | -                     | -                        | -                   | -0.198***<br>(0.060)  |
| ქვეყანა (ფიქტიური ცვლადი)              | არა                   | კი                       | კი                  | კი                    |
| დარგი (ფიქტიური ცვლადი)                | არა                   | არა                      | არა                 | კი                    |
| დაკვირვებების რაოდენობა                |                       |                          |                     | 9,868                 |
| Wald $\chi^2$ (11)                     |                       |                          |                     | 1979.26<br>(0.000)    |

*შენიშვნები:* რობასტული (Robust) სტანდარტული შეცდომები მოთავსებულია ფრჩხილებში;  
 \*\*\* - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია  $p < 0.01$  დონეზე;  
 \*\* - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია  $p < 0.05$  დონეზე;  
 \* - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია  $p < 0.1$  დონეზე.

**1. ბიზნესგარემოს ინდექსის განტოლება.** თეორიისა და არსებული ემპირიული კვლევების შესაბამისად, ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ, ზოგადად, ბიზნესგარემო უფრო უკეთესად და უფრო კარგად მოქმედებს უფრო მდიდარ და უკეთესი მმართველობის მქონე ქვეყნებში. ზემოთ მოყვანილი ცხრილის თანახმად, ბიზნესგარემოს ინდექსზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან (1%-იანი მნიშვნელობის დონეზე) გავლენას ახდენენ ისეთი ცვლადები, როგორცა: მშპ ერთ სულ მოსახლეზე და ქვეყნის სახელმწიფო მართვის ხარისხის ინდიკატორი.

**2. სკსსს-ის განტოლება.** ამ განტოლების შეფასებების შედეგების მიხედვით ეპოულობთ  $H_1$  ჰიპოთეზის მხარდაჭერას. ბიზნესგარემოს ინდექსის გავლენა სკსსს-ის ცვლადზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე.

განტოლებაში სხვა ცვლადებმა, ზოგადად, აჩვენეს მოსალოდნელი შედეგები. აქ აღმოვაჩინეთ, რომ ფირმის ზომა სტატისტიკურად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სკსსს-ზე. ასევე, ჩვენი მოლოდინების შესაბამისად, ისეთი ცვლა-

დები, როგორცაა შესაძლებლობების პირობები, უმაღლესი განათლება, პირდაპირი საექსპორტო საქმიანობა და სუბსიდიების არსებობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფირმაში სკსსს-ის ინტენსივობაზე.

**3. ინოვაციის განტოლება.** ამ განტოლების შეფასების შედეგებმა დაადასტურეს **H<sub>2</sub> ჰიპოთეზა**. აქ ფიქსირდება ბიზნესგარემოს ინდექსის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა 1%-იან დონეზე.

გარდა ამისა, CDM მოდელის გამოყენების საფუძველზე ჩატარებული წინა ემპირიული კვლევების შედეგების მსგავსად, ჩვენს მიერ გამოვლენილია სკსსს-ის ინტენსივობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ინოვაციის ცვლადზე. ამრიგად, დადასტურდა **H<sub>4</sub> ჰიპოთეზაც**. ამ განტოლების მიხედვით, ინოვაციის სხვა მნიშვნელოვან პრედიქტორად გვევლინება ისეთი ცვლადები, როგორცაა: ფირმის ზომა, მისი ადამიანისეული კაპიტალი (დასაქმებულების უმაღლესი განათლება), ცოდნის კუმულაცია და პარტნიორებთან ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციები.

**4. შრომის მწარმოებლურობის განტოლება.** მოდელის შეფასებიდან მიღებული და, შესაბამისად, ცხრილში ასახული მონაცემების მიხედვით, დასტურდება **H<sub>3</sub> ჰიპოთეზაც**. კერძოდ, ბიზნესგარემოს ინდექსი გარდამავალ ეკონომიკებში ფირმაში შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ამ განტოლების მიხედვით გამოვლინდა, რომ ინოვაციების დანერგვა უფრო მაღალი ინტენსივობით ფირმაში მწარმოებლურობის ამაღლებას იწვევს. ამრიგად, წინა კვლევების შედეგების მსგავსად, **H<sub>5</sub> ჰიპოთეზა** მტკიცედ არის მხარდაჭერილი ჩვენს მიერ შეფასებულ მოდელშიც.

ამასთან, მოდელის პარამეტრების შეფასების შედეგების მიხედვით, შრომის მწარმოებლურობის სხვა მნიშვნელოვან პრედიქტორებად გვევლინება ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ადამიანისეული კაპიტალი, ფირმაში უცხოური საკუთრება და პირდაპირი ექსპორტი.

#### დასკვნა

- კვლევის შედეგების მიხედვით ყალიბდება ახალი ემპირიული ხედვა გარდამავალი ეკონომიკების პირობებში მოქმედი ფირმების დონეზე, მიზეზობრივი კავშირების მიმართ ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა: ბიზნესგარემო, სკსსს, ინოვაცია და შრომის მწარმოებლურობა.

- კვლევის შედეგად აღმოჩენილია ძლიერი მხარდაჭერა იმ მოსაზრების მიმართ, რომლის მიხედვით, ბიზნესგარემოს ინდექსი სტატისტიკურად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს როგორც სკსსს-ის ინტენსივობასა და ინოვაციებზე, ისე შრომის მწარმოებლურობაზე (დადასტურდა **H<sub>1</sub>, H<sub>2</sub> და H<sub>3</sub> ჰიპოთეზა**).

- კვლევა ადასტურებს ადრინდელი კვლევებით გაკეთებულ მიგნებებს, რომლის თანახმად, სკსსს არის ინოვაციის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი (ე.წ. დეტერმინანტი), ხოლო ინოვაცია შრომის მწარმოებლურობის მამოძრავებელ ძალას (ე.წ. დრაივერს) წარმოადგენს (დადასტურდა **H<sub>4</sub> და H<sub>5</sub> ჰიპოთეზა**).

- კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიზნესგარემოს შეუძლია შრომის მწარმოებლურობაზე მოახდინოს დადებითი ზეგავლენა როგორც პირდაპირ (ტრანსაქციული ხარჯების შემცირებით და უკეთესი სპეციფიკაციისა და მმართველობითი სტრუქტურების უზრუნველყოფით), ასევე ირიბად (ფირმის სკსსს-სა და ინოვაციური აქტივობების სტიმულირებით).

- ზოგადად, კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარდამავალ ეკონომიკებში ბიზნესგარემო, რომელიც უზრუნველყოფს სტიმულირებას როგორც ცოდნაში ინვესტირების, ისე ინოვაციური აქტივობებისა და მწარმოებლურობის ამაღლების მიმართულებით, წარმოადგენს ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს ფირმის განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akcomak and ter Weel (2009). "Social Capital, Innovation and Growth: Evidence from Europe". *European Economic Review*, vol. 53, issue 5, 544-567.
2. Ahn S.-Y. and So-Hyung Kim, (2017). "What Makes Firms Innovative? The Role of Social Capital in Corporate Innovation", *Sustainability*, 2017, 9, 1564; doi:10.3390/su9091564.
3. Allard, G., Martinez, C. A., & Williams, C. (2012). "Political Instability, Pro-Business Market Reforms and Their Impacts on National Systems of Innovation". *Research Policy*, 41(3), 638–651. doi:10.1016/j.respol.2011.12.00.
4. Antonietti, Roberto and Giulio Cainelli (2011). "The Role of Spatial Agglomeration in a Structural Model of Innovation, Productivity and Export: A Firm-Level Analysis," *Annual Regional Science*, vol. 46, pp. 577-600.
5. Arnold, J.M., Javorcik B. and Mattoo A. (2011) "Does Services Liberalization Benefit Manufacturing Firms: Evidence from the Czech Republic", *Journal of International Economics*. 85, 1: 136-146.
6. Arnold, J. M., Mattoo, A. & Narciso, G. (2008). "Services inputs and firm productivity in Sub-Saharan Africa: Evidence from firm-level data". *Journal of African Economies*, Centre for the Study of African Economies (CSAE), 17(4), 578-599.
7. Berulava, G. (2013). "Do Trust-Based Relations Improve Firm's Performance? Evidence from Transition Economies," MPRA Paper 48430, University Library of Munich, Germany.
8. Berulava, G., & Gogokhia, T., (2016). "On the role of in-house R&D and external knowledge acquisition in firm's choice for innovation strategy: Evidence from transition economies". *Moambe, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 10 (3), 150-158.
9. Berulava, G., & Gogokhia, T., (2018). "Complementarities of Innovation Strategies: Evidence from Transition Economies." In: Bilgin M., Danis H., Demir E., Can U. (eds) *Eurasian Economic Perspectives. Eurasian Studies in Business and Economics*, vol 8/2. Springer, Cham, 169-192, [https://doi.org/10.1007/978-3-319-67916-7\\_11](https://doi.org/10.1007/978-3-319-67916-7_11)
10. Bjørnskov, Christian & Pierre-Guillaume Méon (2010). "The Productivity of Trust," *Working Papers CEB* 10-042, ULB - Université Libre de Bruxelles.
11. Boermans M.A. & Hein Roelfsema, (2015). "The Effects of Internationalization on Innovation: Firm-Level Evidence for Transition Economies", *Open Econ Rev*, 26:333–350; Doi 10.1007/s11079-014-9334-8.
12. Camps, S., Marques, P. (2014). "Exploring How Social Capital Facilitates Innovation: The Role of Innovation Enablers, Technological Forecasting and Social Change", *Business Management Journal*, 88.325-348.
13. Carlin, W. and Seabright, P., (2007). "Bring Me Sunshine: Which parts of the business climate should public policy try to fix?" *Paper presented at the Annual Bank Conference on Development Economics*, Bled Slovenia.
14. Crepon, B., Duguet, E., and Mairesse, J., (1998). "Research, Innovation and Productivity: An Econometric Analysis at the Firm Level," *Economics of Innovation and New Technology*, 7(2), pp.115-158.
15. Criscuolo, C., (2009). "Innovation and Productivity: Estimating the Core Model across 18 Countries," In: *OECD, Innovation in Firms: A Microeconomic Perspective*. Paris: OECD Publishing. Ch.3.
16. Doh S. and Z.J. Acs (2010). "Innovation and Social Capital: A Cross-Country Investigation". *Industry and Innovation*, Vol. 17 (Issue 3): 241-262. DOI: 10.1080/13662711003790569.
17. Dollar, D., Hallward-Driemeier, M., & Mengistae, T. (2005). "Investment Climate and Firm Performance in Developing Economies". *Economic Development and Cultural Change*, 54(1), 1–31. <https://doi.org/10.1086/431262>

18. Dyer, J. H. and W. Chu (2003). “The Role of Trustworthiness in Reducing Transaction Costs and Improving Performance: Empirical Evidence from the United States, Japan and Korea.” *Organization Science*. Jan/Feb, Vol. 14 Issue 1, pp: 57-68.
19. EBRD (2014). “*EBRD Transition Report 2014: Innovation in Transition*”, European Bank for Reconstruction and Development. Available at: <http://www.ebrd.com/downloads/research/transition/tr14.pdf>
20. Eschenbach F. and B. Hoekman (2006). “Services policy reform and economic growth in transition economies”, *Review of World Economics*. 142, 4: 746-764.
21. Fernandes A.M. and C. Paunov (2012). “Foreign Direct Investment in Services And Manufacturing Productivity Growth: Evidence for Chile”, *Journal of Development Economics*. 97, 2: 305-321.
22. Friesenbichler K. and Michael Peneder, (2016). “Innovation, Competition And Productivity. Firm-Level Evidence for Eastern Europe and Central Asia”, *Economics of Transition*, Volume 24(3), 535–580; DOI: 10.1111/ecot.12100.
23. González, M.G., Alonso, M.V., Tato, M.G., (2016). “Innovation, Productive Capacity, Training and Productivity”, *Cuadernos de Gestión*, Vol. 16 - Nº 2, pp. 77-92.
24. Griffith, R., Huergo, E., Mairesse, J., and Peters, B., (2006). “Innovation and Productivity Across Four European Countries,” *Oxford Review of Economic Policy*, 22(4), pp.483-498.
25. Griliches, Zvi. (1979), “Issues in Assessing the Contribution of Research and Development to Productivity Growth”, *Bell Journal of Economics*, 10(1), pp. 92-116.
26. Habiaryemye, A. and Raymond, W., (2013). “Transnational Corruption and Innovation in Transition Economies”. *UNU-MERIT Working Papers*, #2013-050, ISSN 1871-9872, 18 September.
27. Hong, Y.-P., Kim Y.J., and Cin B.C., (2015). “Product-Service System and Firm Performance: The Mediating Role of Product and Process Technological Innovation”, *Emerging Markets Finance & Trade*, 51: 975–984; DOI: 10.1080/1540496X.2015.1061388.
28. Iwanow, Tomasz and Kirkpatrick, Colin, (2008). “Trade Facilitation and Manufactured Exports: Is Africa Different?” *World Development* 37(6):1039-50.
29. Janz, N., Loof, H., and Peters, B., (2004). “Firm Level Innovation and Productivity – Is There a Common Story across Countries,” *Problems and Perspectives in Management*, 2, pp.184-204.
30. Jiao, H., Koo C.K., Cui Y.K. (2015). “Legal Environment, Government Effectiveness and Firms' Innovation in China: Examining The Moderating Influence of Government Ownership”. *Technological Forecasting and Social Change* 96. DOI: [10.1016/j.techfore.2015.01.008](https://doi.org/10.1016/j.techfore.2015.01.008).
31. Johansson, B. and Löf, H., (2009). “Innovation, R&D and Productivity – Assessing Alternative Specifications of CDM-Models”, *CESIS Electronic Working Paper Series*, Paper No. 159, January.
32. Kaufmann, D., Kraay, A., & Mastruzzi, M. (2010). “The worldwide governance indicators: A summary of methodology, data and analytical issues”. *World Bank Policy Research Working Paper No. 5430*. Available at: [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1682130](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1682130). Accessed 15 May 2019.
33. Knack, S., Keefer, P. (1997). “Does Social Capital Have an Economic Payoff? A Cross-Country Investigation”. *Quarterly Journal of Economics*, 112 (4): 1251-1288.
34. Krapez J., Miha Skerlavaj, Ales Groznik, (2012). “Contextual Variables of Open Innovation Paradigm in The Business Environment of Slovenian Companies”, *Economic and Business Review*, Vol.14, No. 1, pp. 17-38.
35. Loof, H. and Heshmati, A., (2006). “On the Relationship between Innovation and Performance: A Sensitivity Analysis,” *Economics of Innovation and New Technology*, 15(4/5), pp. 317-344.
36. Loof, H., Heshmati, A., Apslund, R., and Naas, S-O., (2003). “Innovation and Performance in Manufacturing Industries: A Comparison of the Nordic Countries,” *International Journal of Management Research*, 2, pp. 5-36.

37. Mairesse J., Mohnen P., Zhao Y., Zhen F., (2012). “Globalization, Innovation and Productivity in Manufacturing Firms: A Study of Four Sectors of China”, *ERIA Discussion Paper Series*, ERIA-DP-2012-10, June.
38. Mairesse, J. and Robin, S., (2010). “Innovation and productivity: A firm-level analysis for French Manufacturing and Services (1998-2000 and 2002-2004),” CREST-ENSAE, Paris.
39. Mairesse, J., Mohnen, P., and Kremp, E., (2005). “The Importance of R&D and Innovation for Productivity: A Reexamination in Light of the 2000 French Innovation Survey,” *Annales d’Economie et de Statistique*, 79/80, pp.489-529.
40. Masso, J. and P. Vahter, (2008). “Innovation and Firm Performance in a Catching-up Economy.” *European Journal of Development Research*, Vol. 20, No. 2, pp. 240-261.
41. Masso, J. and P. Vahter, (2012). “The Link Between Innovation and Productivity in Estonia's Services Sector,” *The Service Industries Journal*, Vol. 32(16) December, pp. 2527-2541.
42. North, D. C. (1990). “*Institutions, Institutional Change and Economic Performance*”, Cambridge University Press.
43. North, D. C., 1994. “Institutional Change: A Framework Of Analysis,” *Economic History* 9412001, University Library of Munich, Germany.
44. Pakes, Ariel and Griliches, Zvi, (1980). "Patents and R&D at the Firm Level: A First Report", *Economics Letter*, No. 5, pp. 377-381.
45. Paunov, C., (2016). “Corruption's Asymmetric Impacts on Firm Innovation”, *Journal of Development Economics*, 118, pp. 216–231; <http://dx.doi.org/10.1016/j.jdeveco.2015.07.006>.
46. Peneder, M. (2010). “Technological Regimes and The Variety of Innovation Behavior: Creating Integrated Taxonomies of Firms and Sectors”, *Research Policy*, 39, pp. 323–334.
47. Plane P., Végonzonnès-Varoudakis M.-A., (2019). “Innovation, Productivity, Exports And The Investment Climate: A Study Based On Indian Manufacturing Firm-Level Data”, *Études et Documents*, n° 1, CERDI.
48. Prajogo, D. I. (2016). The Strategic Fit Between Innovation Strategies and Business Environment in Delivering Business Performance. *International Journal of Production Economics*, 171, 241-249, <http://dx.doi.org/10.1016/j.ijpe.2015.07.037>
49. Rialp-Criado, A., Komochkova K., (2017). “Innovation Strategy and Export Intensity of Chinese SMEs: The Moderating Role of The Home-Country Business Environment”, *Asian Bus Manage*; DOI 10.1057/s41291-017-0018-2.
50. Raymond, W., Mairesse, J., Mohnen, P., and Palm, F., (2012). “Dynamic Models of R&D, Innovation and Productivity: Panel Data Evidence for Dutch and French Manufacturing.” In: *EEA & ESEM, 27th Annual Congress of the European Economic Association & 66<sup>th</sup> European Meeting of the Econometric Society*. Malaga, Spain, 27-31 August.
51. Roodman, D. (2011). “Fitting Fully Observed Recursive Mixed-Process Models with CMP,” *the Stata Journal*, vol. 11 (November 2), pp. 159-206.
52. Schumpeter, J. A. (1934). “*The Theory of Economic Development*”. Cambridge, MA: Harvard University Press.
53. Schumpeter, J. A. (1942). “*Capitalism, socialism and democracy*”. New York: Harper.
54. Tevdovski D., Katerina Tosevska-Trpcevska and Elena Makrevska Disoska, (2017). “What is the Role of Innovation in Productivity Growth in Central and Eastern European Countries?”, *Economics of Transition*, Volume 25(3), pp. 527–551; DOI: 10.1111/ecot.12121.
55. Vakhitova, G. and Pavlenko T., (2010). “Innovation and Productivity: a Firm Level Study of Ukrainian Manufacturing Sector”, *Discussion Papers* 01, Kyiv School of Economics.
56. Végonzonnès-Varoudakis M.A. & H. T. M. Nguyen, (2018). “Investment Climate, Outward Orientation And Manufacturing Firm Productivity: New Empirical Evidence”, *Applied Economics*, DOI: 10.1080/00036846.2018.1488065.
57. World Bank (2001). “*World Development Report 2002: Building Institutions for Markets*”. The World Bank, Washington DC.

58. World Bank (2002). *“Transition – The First Ten Years: Analysis and Lessons for Eastern Europe and the Former Soviet Union”*. The World Bank, Washington DC.
59. World Bank (2004). *“World Development Report 2005: A Better Investment Climate for Everyone”*. The World Bank and Oxford University Press, Washington, D.C.
60. Zak, P.J. and S. Knack (1998). “Trust and Growth”. *IRIS*, University of Maryland, mimeo
61. Zhang M., Yinan Qi, Zhiqiang Wang, Xiande Zhao, Kulwant S. Pawar, (2018). “Effects of Business and Political Ties on Product Innovation Performance: Evidence from China and India”, *Technovation*; <https://doi.org/10.1016/j.technovation.2018.12.002>.

**Teimuraz Gogokhia**

*PhD in Business Administration*

**BUSINESS ENVIRONMENT, INNOVATION AND PRODUCTIVITY  
IN TRANSITION ECONOMIES: A FIRM-LEVEL ANALYSIS<sup>55</sup>**

**Expanded Summary**

Research purpose of the given work, using a large sample of firm-level data from the *Business Environment and Enterprise Performance Survey* (BEEPS V round) across 28 transition economies, is to explore the role of business environment in transition economies in enhancing firm’s performance:

- R&D activity;
- innovation;
- labour productivity.

Research objective is to study of the structural relationship

- between Business Environment – Research & Development – Innovations –

Labor productivity

- at the individual firm level
- in transition economies,
- applying augmented CDM model.

Research novelty is that we modify traditional CDM model by incorporating additional equation for the business environment performance and estimating the effect of BE at each stage of the model.

The main contribution of this study is that it provides new empirical insights into the causal link between Business Environment-Research&Development-Innovation-Labor Productivity for individual firms in transition economies.

We found strong support of the impact of the Business Environment index on the intensity of R&D and innovation as well as on labor productivity.

The study supports early findings that R&D is important determinant of innovation, and that innovation is a driver of labor productivity.

The study results suggest that business environment can influence labor productivity both indirectly through firm’s R&D-innovation activity and directly reducing transaction cost and ensuring better specialization and governance structures.

The study results, generally, imply that in transition economies, business environment, providing incentives for investing in knowledge, innovation activity and productivity enhancement, represents an important factor for firm’s development.

Direction for further research is to explore the casual links between Business Environment and business performance, employing:

- various alternative proxies for Business Environment;
- dynamic perspective rather cross-section research.

---

<sup>55</sup> This research was supported by „Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia“ („SRNSFG“) [grant number №YS-18-1304].



**Gurbanov Tariyel Musallim oglu**

*PhD of Economics, Assistant Professor of the  
Institute of Economy of ANAS/Azerbaijan National Academy of Sciences, leading  
researcher, Baku, Azerbaijan;*

**Mustafayev Asif Mirlazim oglu**

*PhD of Economics, Assistant Professor of the  
Institute of Economy of ANAS/Azerbaijan National Academy of Sciences, leading  
researcher, Baku, Azerbaijan*

## EVALUATION OF THE USE OF BUDGETARY COSTS TO IMPROVE THE ECONOMIC ROLE OF THE STATE

**Summary.** *Over the last years, the position of the Country concerning the development of national economy of Azerbaijan has been assessed positively in several international rankings on the background of measurements performed by the government. It should be noted that the orders and decrees adopted by the President of the Republic of Azerbaijan in this direction should be emphasized. So, as an example we can show the Decree "On additional measures to improve the business environment in the Republic of Azerbaijan and further improvement of our country's position in international rankings", issued on July 13, 2016 and the Decree "On national economy and strategic roadmaps for 11 sectors of economy", issued on December 6, 2016. The targets have been determined in regard to decrease in oil dependence of the economy of the country, development of small and medium-sized businesses to make the national economy more competitive and appropriate steps are being taken. In particular, the measures taken to improve the business and investment climate should be assessed positively. The aforementioned processes will undoubtedly improve the country's economy in international rankings on various development indicators.*

*Among the measures to be taken, the state's role in economic processes should be more effective, especially the fiscal policy. It should be taken into consideration that the main force here falls on government spending. Optimization of expenditure and improved efficiency in use will result in improved positioning of country's economy in various ratings, including economic freedom ratings.*

*It is stated in the Strategic Roadmap that the budgetary requirements will be linked to clearly defined objectives as well as performance indicators to ensure efficiency in government spending [2, p.46]. Undoubtedly, the definition of the "golden rule" in the use of oil revenues has made actual optimization of government spending in this regard. Here, both the public debt management and the achievement of the dynamics in budget revenues have identified the "necessary fiscal framework" as the primary goal. These issues are considered as the key provisions in the Strategic Roadmap, and it is important to ensure efficiency in government spending in the context of more active budget management and alignment of its results with budgetary organization [2, p.55].*

**Keywords:** *Fiscal policy, government spending, budgetary costs, forecasting, GDP, correlation, dependency, Eviews application.*

**Introduction.** Government spending is considered to be an economic tool that has a strong impact on macroeconomic processes. In addition to the economic content of government spending, plays an important role in the realization of social, political, socio-cultural and etc. processes. A commonly accepted case is that the government spending should be directed to the most efficient and profitable sectors. However, the events occurring in the socio-economic, socio-political and natural environment of the country result in a sharp rise in government spending, which in turn leads to serious economic consequences. That is why, it is very

important to use government spending and determine its size as accurately as possible. In this aspect, international rating agencies around the world conduct certain calculations and determine the indices.

The general approach states that the assessment of government spending is of relative character. So while the government spending on economic freedom seems minimal, it has more negative consequences, or, conversely, a greater proportion of government spending in GDP than 30%, which aggravates its position on economic freedom. It is therefore advisable to establish an acceptable “interval limit” for government spending .

The following formula is used in the calculation of government spending :

$$DX_i = 100 - \alpha (\text{costs}_i)^2$$


Here:

- $DX_i$ - Cost of government spending in  $i$  country;
- $\text{costs}_i$  - the percentage of average government spending in GDP over the last 3 years;
- $\alpha$ - is a coefficient equal to 0.03 [4].

**Main part.** Since 2015, as with a number of economic indicators, there has been a decline in budget spending. The decline in oil revenues, resulting in a reduction in budget transfers, has in turn led to a significant reduction in spending structure. Thus, the budgetary costs in 2014 were 18.7 billion manat, while in 2017 the minimum level was 17.5 billion manat. In 2015 and 2016, it was 17.7 billion manat, respectively. In 2018, the highest level of the last 5 years was recorded, which amounted to 23.1 billion manat. Undoubtedly, the stability in manat exchange rate, positive dynamics of macroeconomic indicators and measures for development of non-oil sector should be emphasized in this aspect. Besides, the increase in budget spending with the expansion of structural reforms is one of the key points that draw attention.

The static situation in the structure of budgetary costs for 2014-2017 is presented in Chart 1 (see Chart 1).

**Chart 1**




Source: [8]

As can be seen from the Chart that there has been a significant increase in budget spending for 2018. The key provision for this factor is that 2018 was a major breakthrough in key sectors of the national economy. Accordingly, budgetary costs were 97.7 percent compared to the beginning of 2014, 95.0 percent in 2015, 99.8 percent in 2016, 99.1 percent in 2017 and 131.3% in 2018, respectively.

It becomes clear when considering the specific weight of budgetary costs in relation to GDP, that the change of level of GDB in the last 5 years on the background of non-linear fluctuation formed a non-linear chart (see Chart 2).

**Dynamics of budget expenditures.**


**Chart 2**



Source: [8]

It was 31.7 percent in 2014, 32.7 percent in 2015, 29.4 percent in 2016, 25.1 percent in 2017 and 30.0 percent in 2018, respectively. However, the share of budgetary costs in GDP for the next years is forecasted to decline. The main reason for this factor is structural reforms in the country. Thus, according to the Decree of the President of the Republic of Azerbaijan dated January 14, 2019 "On Additional Measures on Improvement of the State Governance in the Republic of Azerbaijan", a number of budget-financed organizations have been identified as self-financing and public-sector activities. This means a satisfactory saving of budgetary costs [6].

**Chart 3**



Source: [5]

As it is seen from the presented Chart, it is forecasted by international rating agencies that budgetary costs will not rise significantly in relation to GDP. Thus, it is forecasted from 25.1 percent-level (for 2017) to 26.1 percent-level (in 2020). It becomes clear when compared to GDP forecasting that in 2017, the growth was 1.8% compared to 2016 - a 2.8% increase compared to the previous year was forecasted in 2020 compared to previous year for 1.4% compared to 2017. By using the statistics of GDP and budgetary costs for statistical figures on 18 years, we will determine the level of dependence between both indicators.

Budgetary costs on GDP and budgetary costs (in million manats)

**Table 1**


| Years | GDP (in million manats)-y | Budget costs (in million manats)-x |
|-------|---------------------------|------------------------------------|
| 2000  | 4118,1                    | 764,0                              |
| 2001  | 5315,6                    | 807,5                              |
| 2002  | 6062,5                    | 931,8                              |
| 2003  | 7146,5                    | 1234,5                             |

|      |         |         |
|------|---------|---------|
| 2004 | 8530,2  | 1502,1  |
| 2005 | 12522,5 | 2140,7  |
| 2006 | 18746,2 | 3790,1  |
| 2007 | 28360,5 | 6086,2  |
| 2008 | 40137,2 | 10774,2 |
| 2009 | 35601,5 | 10503,9 |
| 2010 | 42465,0 | 11765,9 |
| 2011 | 52082,0 | 15397,5 |
| 2012 | 54743,7 | 17416,5 |
| 2013 | 58182,0 | 19143,5 |
| 2014 | 59014,1 | 18709,0 |
| 2015 | 54380,0 | 17784,5 |
| 2016 | 60425,2 | 17751,3 |
| 2017 | 70337,8 | 17594,5 |
| 2018 | 79797,3 | 22723,2 |

Source: [8]

The following chart can be created using the table data.

Chart 4



Note: The chart was drawn up by the authors.

As can be seen from the graph, there is a high correlation between budget expenditure and GDP, with the regression equation below  $y = 0.3114x - 1082$  (1) below.  $R^2 = 0.9735$

Since there is a high correlation between the dependent variables included in the model (1) and the correlation matrix in the MS Excel application software, as shown in Table (1), we have the following table:

Table 2

|   | Y        | X |
|---|----------|---|
| Y | 1        |   |
| X | 0,986657 | 1 |

As can be seen from the table, there is a very high direct correlation between the variables Y and X ( $R = 0.986$ ).


Based on this correlation equation, we can conclude that a single increase in the factor (X), which represents the budget expenditure, it causes to a 0.31 unit increase of GDP.

Presence of aggregate correlation coefficient  $R = 0.98$  indicates a very high correlation between the Y-dependent variable representing the total gain and the arbitrary variable (X) included in the model. Presence of determination coefficient  $R^2 = 0.9735$  means that the


corresponding regression equation is explained by 97.3% dispersion result indicators and 2.7% by the impact of other factors. Presence of high deterministic coefficient indicates that the regression equation is better represented by the initial data and that the greater part of the causal factor (97.3%) is explained by the factors included in the model.

**Schedule of GDP and budget expenditure change.**

**Chart 5**




The following chart shows the dynamics of the Fitted and obtained (Actual) prices, as well as the residuals (Residual), based on the regression equation of the built-in model according to the Eviews application package application.



Source. The Eviews application was developed by the authors based on the software package.

The following chart shows the values and standard errors in GDP with the regression equation derived from the Eviews software package, as well as a number of characteristics for using the equation for forecasting purposes.

**Chart 7**



Forecast: YF  
 Actual: Y  
 Forecast sample: 2000 2018  
 Included observations: 19  
 Root Mean Squared Error 3928.290  
 Mean Absolute Error 2991.755  
 Mean Abs. Percent Error 13.01081  
 Theil Inequality Coefficient 0.044780  
 Bias Proportion 0.000000  
 Variance Proportion 0.006716  
 Covariance Proportion 0.993284

Source. The Eviews application was developed by the authors based on the software package.

By using this chart, it is also possible to estimate the forecasted prices of GDP in Azerbaijan.

Dependent Variable: Y  
 Method: Least Squares  
 Date: 09/23/19 Time: 14:57  
 Sample: 2000-2018  
 Included observations: 19

| Variable | Coefficient | Std. Error | t-Statistic | Prob.  |
|----------|-------------|------------|-------------|--------|
| X        | 3.125729    | 0.1250     | 24.986      | 0.0000 |
| C        | 4355.740    | 1608.4     | 2.7080      | 0.0149 |

|                       |           |                   |          |
|-----------------------|-----------|-------------------|----------|
| R-squared             | 0.973492  | Mean dependent    | 36735.15 |
| Adjusted R-squared    | 0.971933  | S.D. dependent is | 24788.84 |
| S.E. of regression    | 4152.942  | Akaike info       | 19.60032 |
| Sum squared residual. | 2.93E+08  | Schwarz criterion | 19.69974 |
| Log likelihood        | -184.2031 | Hannan-Quinn      | 19.61715 |
| F-statistic           | 624.3175  | Durbin-Watson     | 0.887703 |
| Prob(F-statistic)     | 0.000000  | stat              |          |

Estimation Command:

```
=====
LS Y X C
Estimation Equation:
=====
Y = C (1)*X + C (2)
Substituted Coefficients:
=====
Y = 3.12572921326*X + 4355.74016258
```

The dependence is quite high. The dependence between GDP and budgetary costs in the Republic of Azerbaijan is very high when using mathematical software packages - Eviews, which are ready for regression analysis.  $R^2=0,973492$

R-squared                      0.973492

The analysis and calculations showed that the dependence between GDP and budget spending is quite high. Even the increase in budgetary costs directly impacts on GDP growth. Therefore, in terms of improving our position on the index of economic freedom, the approach should not be unequivocal “in the case of approaching the issue of reducing the budget expenditures”.

**Result.** The Government of Azerbaijan has not yet chosen the goal of reducing the government spending to improve its position on the Index of Economic Freedom as a priority.

The assessment showed that the dependence on GDP and budget spending is quite high. Even the increase in budgetary costs directly impact on GDP growth. Therefore, in terms of improving our position on the index of economic freedom, the approach should not be unequivocal “in the case of approaching the issue of reducing the budget expenditures”. For the period examined in Azerbaijan's position on the Index of Economic Freedom, we can say that the possibilities of impact of the dynamics of change in government spending has been very weak.

## References

1. Order of the President of the Republic of Azerbaijan “On additional measures to improve the business environment in the Republic of Azerbaijan and further improvement of the position of our country in international rankings”. July 13, 2016
2. “Strategic Roadmap for the Future of National Economy of the Republic of Azerbaijan”, approved by the Decree of the President of the Republic of Azerbaijan. December 6, 2016.
3. <https://gtmarket.ru/ratings/index-of-economic-freedom/index-of-economic-freedom-info>
4. <https://azranking.az/az/ratings/>
5. <https://ru.tradingeconomics.com>
6. The Decree of the President of the Republic of Azerbaijan “On additional measures for improvement of public administration in the Republic of Azerbaijan”. January 14, 2019.
7. <https://knoema.ru/atlas/topics/Economy/Financial-sector-Governmental-finance/General-expenses>
8. <https://www.stat.gov.az/source/finance/>

*გურბანოვი ტარიელ მუსალიმ ოღლი,*  
ეკონომიკის დოქტორი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია  
ეკონომიკის ინსტიტუტის ახისტენტ-პროფესორი,  
წამყვანი მეცნიერთანამშრომელი, ბაქო, აზერბაიჯანი;  
*მუსტაფაევი ასიფ მირლა ზიმ ოღლი,*  
ეკონომიკის დოქტორი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია  
ეკონომიკის ინსტიტუტის ახისტენტ-პროფესორი,  
წამყვანი მეცნიერთანამშრომელი, ბაქო, აზერბაიჯანი

**საბიუჯეტო ხარჯების გამოყენების შეფასება სახელმწიფოს ეკონომიკური  
როლის განსაზღვრულობის  
რეზიუმე**

ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ის პოზიცია, რომელიც ეხება აზერბაიჯანის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, შეფასდა დადებითად მრავალი საერთაშორისო კლასიფიკაციით მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ფონზე. უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ბრძანებულებები. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ დადგენილება „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბიზნესგარემოს განსაუმჯობესებლად მიღებული დამატებითი ღონისძიებების და საერთაშორისო რეიტინგში ჩვენი ქვეყნის პოზიციის შემდგომი განვითარების შესახებ“ (2016, ივლისი) და დადგენილება „ეროვნული ეკონომიკა და სტრატეგიული საგზაო რუკები ეკონომიკის 11 სექტორისთვის“ (2016, დეკემბერი).

სამიზნეები დადგენილია ქვეყნის ეკონომიკის ნავთობზე დამოკიდებულების შემცირებასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული ეკონომიკა უფრო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო და გადადგმულიყო შესაბამისი ნაბიჯები. კერძოდ, დადებითად უნდა შეფასდეს ზომები ბიზნესის და საინვესტიციო კლიმატის განსაუმჯობესებლად. ზემოაღნიშნული პროცესები, უდავოდ, გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკას საერთაშორისო რანგში, განვითარების სხვადასხვა ინდიკატორზე.

გასატარებელ ღონისძიებებს შორის, სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ პროცესებში უნდა იყოს უფრო ეფექტური, განსაკუთრებით ფისკალური პოლიტიკა. გასათვალისწინებელია, რომ აქ მთავარი ძალა მთავრობის ხარჯზე მოდის. ხარჯების ოპტიმიზაცია და გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესება გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის პოზიციონირებას სხვადასხვა რეიტინგებში, მათ შორის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგებში.

სტრატეგიული გზის რუკაში ნათქვამია, რომ საბიუჯეტო მოთხოვნები უკავშირდება მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებს და შესრულების ინდიკატორებს მთავრობის ხარჯვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად [2, გვ.46]. ეჭვგარეშეა, რომ “ოქროს წესის” განმარტება ნავთობის შემოსავლის გამოყენებასთან დაკავშირებით, ამ მხრივ სახელმწიფო ხარჯების ფაქტობრივ ოპტიმიზაციას ახდენს. აქ, როგორც სახელმწიფო ვალის მენეჯმენტმა, ასევე საბიუჯეტო შემოსავლებში დინამიკის მიღწევამ, “აუცილებელი ფისკალური სტრუქტურა” დაასახელა, როგორც უპირველესი მიზანი. ეს საკითხები განიხილება, როგორც სტრატეგიული გზის რუკის მთავარ დებულებებად და მნიშვნელოვანია მთავრობის ხარჯების ეფექტურობის უზრუნველყოფა ბიუჯეტის უფრო აქტიური მენეჯმენტის კონტექსტში და მისი შედეგების მისადაგება საბიუჯეტო ორგანიზაციასთან [2, გვ. 55].



**მურმან კვარაცხელია**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.*

**ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი საქართველოში**

**რეზიუმე.** საბაზრო ურთიერთობების განვითარების გამოცდილება მოწმობს, რომ მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ამაღლება. ეს ერთ-ერთ არსებით ფაქტორად გვევლინება არჩევანის თავისუფლების კუთხითაც. საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა სრული დასაქმება, ფასების სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების მიღწევა და, რაც მთავარია, სიღარიბის დაძლევა, პრაქტიკულად, შეუძლებელია ეკონომიკური თავისუფლების გარეშე. ამ მხრივ განვითარებულ და განვითარებადი ქვეყნების სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება თავის ასახვას პოულობს ეკონომიკურ თავისუფლებაში. რაც გამოიხატება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში. აღსანიშნავია, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა ეკონომიკური თავისუფლების მხრივ ბევრად უწრებს განვითარებულ ქვეყნებს. მათ რიცხვშია საქართველოც.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური თავისუფლება; ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი; ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტები

**შესავალი**

ღია ეკონომიკის პირობებში დღი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით ქვეყნების კატეგორიების დადგენას. ეს გაიანგარიშება ინდექსის საშუალებით, რომელიც მსოფლიოში რეგიონების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მთავარი იდეა სწორედ არჩევანის თავისუფლებაში გამოიხატება.

ამ თვალსაზრისით მსოფლიოში ქვეყნები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად, ყველაზე თავისუფალი და ყველაზე დახურული ეკონომიკის ქვეყნებად. ყველაზე თავისუფალი ეკონომიკების პირველი ხუთეულში შედის ჰონკონგი - 89,8 ქულა, სინგაპური - 88,6 ქულა, ახალი ზელანდია - 83,7 ქულა, შვეიცარია - 81,5 ქულა და ავსტრალია - 81 ქულა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით ზრდადი ტენდენციით ხასიათდება<sup>56</sup>.

საინტერესოა, ასევე, ყველაზე დახურული ეკონომიკის ხუთეულის ქვეყნების მაჩვენებლები, რომელიც ასე გამოიყურება: ჩრდილოეთ კორეა - 4,9 ქულა; ვენესუელა - 27 ქულა, კუბა - 33,9 ქულა, კონგოს რესპუბლიკა - 40 ქულა და ერიტრეა - 42,2 ქულა<sup>57</sup>. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში ძირითადად კლების ტენდენცია შეინიშნება.

მსოფლიო მასშტაბით ჩამოყალიბებული საერთო ტენდენციების მიხედვით ირკვევა, რომ 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსმა 103 ქვეყანაში, რომლებიც ნაკლებად განვითარებულნი ან განვითარებადნი არიან, ეს მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. აქედან 49 ქვეყანაში მიადწია უმაღლეს დონეს. მათ რიცხვში აღმოჩნდა რუსეთის ფედერაცია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა<sup>58</sup>.

\* \* \* \*

<sup>56</sup> 2019 Index of Economic Freedom. <http://www.heritage.org/index/book/chapter-1>  
<sup>57</sup> 2019 Index of Economic Freedom. <http://www.heritage.org/index/>  
<sup>58</sup> 2019 Index of Economic Freedom. <http://www.heritage.org/index/book/chapter-1>

ეკონომიკურ თავისუფლებას ექსპერტ-ეკონომისტები ზოგადად 12 რაოდენობრივი და თვისებრივი ფაქტორების საფუძველზე აფასებენ. მათი დაჯგუფება შეიძლება ოთხ სხვადასხვა კატეგორიად. ესენია:

ა) კანონის უზენაესობა, რომელშიც შედის საკუთრების უფლებები და მისი დაცვა, ქვეყნის მთავრობის ერთიან პლატფორმაზე დგომა და სასამართლოს ეფექტურობა.

ბ) მთავრობის ზომა, სადაც „მცირე მთავრობის“ კონცეფციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქ საყურადღებოა მთავრობის ხარჯების მოცულობა, საგადასახადო ტვირთის სიმძიმე, რეალურად არსებული ფისკალური მდგომარეობა.

გ) ეფექტიანი რეგულირების კრიტერიუმები, რაც გულისხმობს ბიზნესის, შრომისა და ფულად თავისუფლებას.

ე) ღია ბაზრების არსებობის მაღალი დონე, რაც გულისხმობს ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ფინანსურ თავისუფლებას.

აღამიანის თავისუფლებასთან ერთად ეკონომიკური თავისუფლებაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა საკუთარი შრომისა და საკუთრების გაკონტროლებისათვის. საზოგადოებაში ადამიანები თავისუფლები არიან მუშაობაში, წარმოების პროცესში, ინვესტიციების მოხმარებასა და მის განხორციელებაში მათი სურვილის შესაბამისად. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში თავისუფლად უნდა იმოძრაოს შრომამ, კაპიტალმა და საქონელმა, რაც ადამიანთა კეთილდღეობის საწინდარიც არის. აქედან გამომდინარე ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ასახავს პოზიტიურ კავშირს ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს შორის. ზოგადი პარამეტრებით თუ ვიმსჯელებთ, თვით ეკონომიკური თავისუფლების იდეა გულისხმობს ჯანსაღი საზოგადოების არსებობას, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, ერთ სულ მოსახლეზე კაპიტალის რაოდენობის ზრდას, დემოკრატიის განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრას.

ეკონომიკური თავისუფლება იზომება 12 რაოდენობრივი და თვისებრივი ფაქტორების საფუძველზე. ინდექსის გამომდინარეებისათვის საჭიროა ქვეყნების მიხედვით ამ ფაქტორების შეფასება სათანადო ქულებით. ეკონომიკური თავისუფლებისგან სარგებლის მისაღებად ყველა კომპონენტი მნიშვნელოვანია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებული არიან მუდმივ განვითარებაზე და ხშირად ახორციელებენ სხვადასხვა სახის რეფორმებს, შანსი ეძლევათ ქულების მიხედვით რომელი მაჩვენებლები საჭიროებენ გაუმჯობესებას. ეს არის გარკვეული ორიენტირი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ინსტრუმენტი მეტად ფართოა მისი გათვითცნობიერების თვალსაზრისით. ის მიზნობრივი ინსტრუმენტი მსოფლიოს 200-მდე ქვეყნის ეკონომიკის გასაანალიზებლად. ის 12 ინსტრუმენტი და მისი ისტორიული, წარსული პერიოდის მონაცემები იძლევა პრინციპებისა და ფაქტების სრულყოფილ პაკეტს, რაც წმინდა საფუძველს ქმნის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის საფუძველების გასაცნობიერებლად. აქედან ცხადია, რომ ეს მაჩვენებელი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის ფუნდამენტური შეფასების პროცესში.

საინტერესოა იმ ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლები, რომლებიც პირველ ხუთეულში იმყოფებიან. ამ მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილს ბოლო ორი წლის განმავლობაში ინარჩუნებს ჰონ-კონგი. მისი ინდექსია 90.2. ამ მაჩვენებლის ასეთი სტაბილურობა განაპირობა იმან, რომ გაიზარდა ვაჭრობის თავისუფლების, ფულადი თავისუფლებისა და მთავრობის მთლიანობის მაჩვენებლები. უნდა აღინიშნოს, რომ აზია და წყნარი ოკეანის რეგიონების 43 ქვეყანას შორის ჰონ-კონგი პირველ ადგილზეა და მისი საერთო ქულა აჭარბებს რეგიონულ და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებს. ამ ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი მოქნილი ეკონომიკა გააჩნია. მთავარია, რომ აქ მოქმედი

მაღალი სამართლებრივი ჩარხო უზრუნველყოფს საკუთრების უფლების ეფექტურ დაცვას და იცავს კანონის უზენაესობას. ამასთან ერთად, მთავრობის მთლიანობის ხარისხიც მაღალია.

როგორც ანალიზიდან ირკვევა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა სინგაპური. ამასთან ეს მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. აქ სწრაფად იზრდება ვაჭრობის თავისუფლებისა და მთავრობის მთლიანობის მაჩვენებლები. მთავარი, რაც დამახასიათებელია ამ ქვეყნისთვის ის არის, რომ მთავრობა განაგრძობს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს ფისკალურ სტიმულს, ზრდის სახელმწიფო ინვესტიციებს, ხელს უწყობს უცხოელი ინვესტორების მიმზიდველობას. საკუთრების უფლების დაცვის ხარისხი მაღალია, რაც მეწარმეობის ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის ამაღლების კვალობაზე.

ჩვენთვის საინტერესოა თუ როგორ და რა მაჩვენებლებით აღწევნ ეს მოწინავე ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ქულებს. ამ მხრივ მსოფლიოში მესამე ადგილზეა ახალი ზელანდია, რომლის მაჩვენებელია 84,4 ქულა<sup>59</sup>. ამ შემთხვევაში მისი ზრდადი ტენდენცია განაპირობა ვაჭრობის თავისუფლებისა და შრომის თავისუფლების დონის ამაღლებამ, რაც ბევრად აღემატებოდა სასამართლო პროცესების ეფექტურობასა და ფულადი თავისუფლების ვარდნას. ამ ქვეყნის ქულა ბევრად მეტია რეგიონული და მსოფლიო საშუალო მაჩვენებლებზე. აქ მთავარია აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ეს ქვეყანა მიჰყვება გრძელვადიან ბაზარზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ეს შეიძლება ბევრი ქვეყნისთვის გამოდგეს მოქმედების მაგალითად.

ახლა გავეცნოთ თუ რა მდგომარეობაა საქართველოში. ამ მხრივ საინტერესოა ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობა და მისი პირდაპირი თუ ირიბი ზეგავლენა სიღარიბის დაძლევაზე, რაც ქვეყნისთვის მეტად მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, ბოლო 2019 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოში მე-16 და ევროპაში კი მე-8 ადგილზეა<sup>60</sup>.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ქულის შემცირება ამ პერიოდში 0,3-ით ძირითადად გამოწვეულია სასამართლო ეფექტურობის მკვეთრი ვარდნით. საინტერესო მაჩვენებლებით ხასიათდება ეს მონაცემები ცალკეული კომპონენტების მიხედვით. ასე, საკუთრების უფლებები - 65,9-ია, მთავრობის მთლიანობა - 58,8, სასამართლო ეფექტურობა - 54,6, ბიზნესის თავისუფლება-85,8, შრომის თავისუფლება - 76,6, მონეტარული თავისუფლება - 76, მთავრობის ხარჯები - 73,6, საგადასახადო ტვირთი - 87,1, ფისკალური მდგომარეობა - 93,9, ვაჭრობის თავისუფლება - 88,6, ინვესტიციის თავისუფლება - 80, ფინანსური თავისუფლება - 70<sup>61</sup>.

მეტად საინტერესო ანალიზის საშუალებას იძლევა 1 და 2 ცხრილი, სადაც მოცემულია საქართველოს რეიტინგი 2012-2019 წლებში და ქულები კომპონენტების მიხედვით.

1-ლი ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2012 წელს საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 34-ე პოზიციაზე იმყოფებოდა, ხოლო შვიდი წლის შემდეგ მე-16-ზე გადმოვიდა ანუ 18 პოზიციით წინ წაიწია. ამ მაჩვენებლის ასეთი სწრაფი ცვლილება გამოწვეულია სათანადო კომპონენტების გაუმჯობესებით, რომელიც მოცემულია მე-2 ცხრილში. უნდა აღინიშნოს, რომ

<sup>59</sup> სემინარი ეკონომიკური თავისუფლება, რეფორმები და ზრდა. 2015.

<sup>60</sup> <http://www.doingbusiness.org/>

<sup>61</sup> <http://www.doingbusiness.org/>

რეიტინგის მიხედვით ქვეყნები მთლიანად იყოფა ოთხ ნაწილად, ესენია: თავისუფალი -100-80, უმეტესად თავისუფალი - 79,9-70, ზომიერად თავისუფალი - 69,9 -60 და უმეტესად შეზღუდული -59,9-50. ამ კრიტერიუმების მიხედვით საქართველო უმეტესად თავისუფალ ზონაში იმყოფება, რაც უდაოდ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის ახალი სამთავრობო პროგრამა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლებს, რაც თავის ასახვას პოულობს ქვეყნის საერთო რეიტინგზე.

ცხრილი 1


**ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი**

**საქართველოს რეიტინგი**

- ❖ საქართველო 2019 წელს მე-16 პოზიციაზეა 180 ქვეყანას შორის **75.9 ქულით**
- ❖ 2012 წელს საქართველოს 34-ე პოზიციაზე იმყოფებოდა
- ❖ 2019 წელს საქართველო რჩება უმეტესად თავისუფალ ჯგუფში



- ❖ 2019 წელს საქართველომ წინა წელთან შედარებით ევროპის რეგიონში პოზიცია 1 ადგილით გაიმჯობნა და **მე-8 ადგილი** დაიკავა რეგიონში 44 ქვეყანას შორის
- ❖ საქართველოს საშუალო ქულა (**75.9**) **7.3 ქულით** ადვანტაჟს ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (68.6), ხოლო მსოფლიოს საშუალო ქულას (60.8) - **15.1 ქულით**




წყარო: 2019 Index of Economic Freedom. <http://www.heritage.org/index/book/chapter-1>

ცხრილი 2

**ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი**

- ❖ წინა წელთან შედარებით, 2019 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა 12 ინდიკატორიდან შემდეგ 5 ინდიკატორში გაუმჯობესდა

  - საკუთრების უფლება (45-ე ადგილი) – 65.9 ქულა (გაუმჯობესდა 3.1 პუნქტით);
  - გადასახადების ტვირთი (38-ე ადგილი) – 87.1 ქულა (გაუმჯობესდა 0.1 პუნქტით);
  - მთავრობის დანახარჯები (78-ე ადგილი) – 73.6 ქულა (გაუმჯობესდა 0.3 პუნქტით)
  - ფისკალური სიჯანსაღე (35-ე ადგილი) – 93.9 ქულა (გაუმჯობესდა 2.1 პუნქტით პოზიციით);
  - ფინანსური თავისუფლება (მე-17 ადგილი) – 70-ე ქულა (გაუმჯობესდა 10 პუნქტით);



წყარო: 2019 Index of Economic Freedom. <http://www.heritage.org/index/book/chapter-1>

მე-2 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს თუ როგორ შეიცვალა კომპონენტების მიხედვით ქულები 2018-2019 წლებში საქართველოში. აქედან ნათლად ჩანს, რომ მათი მიხედვით თავისუფლების ინდექსი გაიზარდა. ესენია: საკუთრების უფლება, გადასახადების ტვირთი, მთავრობის დანახარჯები, ფისკალური სიჯანსაღე, საინვესტიციო გარემოს თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში ამ ინდექსის გაუმჯობესების ტენდენცია გვაქვს ქვეყანაში, რაც თავის ასახვას პოულობს სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტაშიც.

თუ გადავხედავთ ცხოვრების დონის მაჩვენებლებს ვნახავთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში მისი დინამიკა ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა. ასე, მაგალითად, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2017 წელს თუ იყო საქართველოში 21,9 %, 2018 წელს -20,1%-მდე დაიწია [Kim A. B., Miller T., 2013]. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 2010 წელს იყო - 37,3%, რაც გამოწვეული იყო 2008 წლის ცნობილი მოვლენების შედეგებით.

ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოში 2017 წელს იყო 22,3%, ხოლო 2018 წელს - 20,5 %. რაც შეეხება მედიანური მოხმარების 40%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილს, შესაბამისად შეადგენდა - 8,5 % და 7,6 %-ს [Kim A. B., Miller T., 2013].

Производство мяса на душу населения в Грузии отставало от среднесоюзного уровня на 38,3 кг, а от Литвы, республики имеющей наилучший показатель по Союзу – в 4,4 раза (на 137,6 кг). По молоку соответствующее отставание составляло: от СССР – на 255,2 кг и 3,1 раз, а от Литвы – на 730,4 литра и в 7,0 раза; по яйцам: от СССР – на 143

штук и в 2,0 раза, а от Эстонии (имеющей наилучший показатель по Союзу) – на 206 штук и в 2,5 раза.

Диаграмма 6

**Производство мяса, молока и яиц в СССР и входящим в него союзным республикам в 1990 году в среднем на душу населения**  
(в процентах к среднесоюзному уровню; СССР = 100)



Следует отметить, что в СССР в общем объеме производства мяса на долю промышленного производства приходилось почти 2/3 (64,7%), в Грузии же – значительно меньше (45,3%) [8, сс. 503, 520], что также можно считать косвенным подтверждением экономического отставания Грузии.

Несмотря на такое отставание Грузии, практически мало что предпринималось для развития животноводческой базы и исправления положения. Так, закупочные цены пшеницы в Грузии отставали от среднесоюзных цен (на каждую тонну) на 63 рубля (на 20,1%); были эти цены ниже и по сравнению с находящимися практически в одинаковых с Грузией природно-климатических условиях Азербайджана (на 14 рублей, или на 5,3%) и Армении (на 97 рублей, или на 27,1%) [8, с. 162].

Вместе с тем, из-за низкой производительности труда животноводческий сектор Грузии был наименее рентабельным и низкоэффективным во всем Советском Союзе: **на каждый центнер привеса животноводческой продукции среди 15 республик СССР затраты человеко-часов в Грузии были наиболее высокими** – они превышали среднесоюзный уровень примерно в 2,5-2,7 раза [8, с. 457].

#### **Потребление продуктов питания в среднем на душу населения**


Закономерностью можно считать то, что отставание от среднесоюзного уровня по производству продукции животноводства накладывало свой отпечаток на уровень их среднедушевого потребления в республике. Почти по всем видам основных продово-

льственных продуктов (за исключением хлеба и хлебопродуктов) она находилась в нижней строке среди 15 республик. Так, по потреблению на душу населения молока и молочных продуктов, а также сахара Грузия занимала **VIII место**, рыбы и рыбопродуктов – **IX место**, мяса и мясопродуктов, а также овощей – **X место**, картофеля и яиц – **XI место**, растительного масла – **XIII место**. Грузия опережала среднесоюзный уровень потребления лишь по хлебу и хлебопродуктов, а также сахара. По всем остальным продовольственным продуктам отставание было весьма существенным. **В годовом исчислении каждый житель Грузии потреблял меньше по сравнению с «усредненным» гражданином СССР: картофель – на 55 кг, овощей, а также мяса и мясопродуктов – по 15-15 кг по каждой из них, мяса и мясопродуктов – на 19 кг, яиц – на 112 штук, рыбы и рыбопродуктов – на 8,9 кг, растительное масло - на 4,0 кг [12, с. 22-30]. В среднем на душу населения, на каждый килограмм потребления хлеба и хлебопродуктов приходилось потребление мяса и мясопродуктов: в среднем по СССР – 466 граммов, в Эстонии – 967 граммов, а в Грузии – всего лишь 239 граммов.** Поэтому можно с высокой долей вероятности предположить, что распространенное мнение о якобы сверхдоходах и сверхпотреблении грузин – только миф и нечего общего не имеет с действительностью. Скорей, наоборот: **превалирование темы застолья и трапезничества в фольклоре и песнях представляли определенную сублимацию и аллегорию неудовлетворенной потребности по ним в реальной жизни.**

Еще более масштабным было отставание от Российской Федерации, которое по всем позициям (за исключением хлеба и хлебопродуктов) превосходило размеры отставания от среднесоюзного уровня.

Диаграмма 7

**Отношение среднедушевого потребления основных продуктов питания в Грузии к соответствующим показателям СССР и РСФСР (процент)**




**Энергетические мощности в сельском хозяйстве**

В 1990 году по использованным энергетическим мощностям в сельском хозяйстве Грузия находилась на последнем, 15-ом месте как в среднем на душу населения, так и на каждого работника, занятого в аграрном секторе экономики: энергетические мощности в сельском хозяйстве на душу населения составляли всего лишь 0,59 квт.-часов (в среднем по СССР – 2,02 квт.-часов), на одного занятого же в аграрном секторе – 7,6 квт.-часов (по СССР – 28,8 квт.-часов), то есть, по этим показателям в Грузии приходилось лишь 29% и 26% от соответствующих показателей СССР [8, сс. 441-442].

Куда более существенным было отставание на фоне других республик, что особенно рельефно отражено на нижеприведенной диаграмме (см. диаграмма 8).

Диаграмма 8

**Энергетическая мощность в сельском хозяйстве по союзным республикам на конец 1990 года (в процентах к среднесоюзному уровню; СССР = 100)**



**Ввод в эксплуатацию жилой площади**


Российские эксперты, которые стараются представить уровень благосостояния населения Грузии выше среднесоюзного уровня, нередко апеллируют жилой площадью на душу населения и средним размером жилья, построенного за свой счет населением [3, с. 67].

Действительно, по этим позициям Грузия в советское время занимала ведущую позицию. Грузия опережала СССР соответственно: по средней площади на душу населения – на 30%, по средней площади построенных квартир за свой счет – на 33,8%, а по площади возведенных индивидуальных квартир за свой счет – на 26,2% [8, сс. 183-184]. Однако, при этом следует учесть следующие два обстоятельства: во-первых, индивидуальное жилищное строительство в СССР было «добровольным» выбором населения: к такому выбору они прибегали в основном при острой нужде в улучшении



жилищных условий, когда перспектива скорого получения бесплатного жилья от государства в обозримом будущем практически отсутствовала. В таких случаях семьи перераспределяли свои средства для удовлетворения более насущных потребностей в жилье, то есть сужали или вообще отказывались от удовлетворения других, не менее важных потребностей; во-вторых, жилая площадь за счет индивидуального жилищного строительства и введенная таким способом в строй жилье (абсолютно и на душу населения) указывает на ограниченную возможность решения данной проблемы за счет централизованных государственных средств. **Перед распадом СССР на душу населения, Грузия занимала последнее, 15-е место<sup>72</sup> по количеству построенных квартир на одинаковую численность населения** - что «не слишком» увязывается с реноме республики, имеющей, по вышеприведенным российским источникам, четырехкратное превышение потребления экономических благ по сравнению с их производством (см. нижеприведенную диаграмму 9).

Диаграмма 9  
Количество построенных квартир всего и за свой счет населением за 1986-1990 годы в расчете на одинаковую численность населения (процент; в среднем по СССР = 100)



Стоимость жилищного строительства (ввод в эксплуатацию 1 кв. м жилья) в Грузии обходился на 8 процентов дешевле. Несмотря на это, в последние годы существования СССР ввод в действие жилой площади (на душу населения) отставала от среднесоюзного уровня почти в 1,5 раза (соответственно, 1,41 кв.м и 2,19 кв. м). по этому показателю Грузия среди союзных республик занимала предпоследнее, 14-е место

<sup>72</sup> Так, для наглядности сравним показатели Таджикистана и Эстонии. На одинаковую численность населения, в 1986-1990 годах населением за свой счет в Таджикистане было построено 7 раз больше квартир, нежели в Эстонии. Тем не менее, по обеспеченности жильем каждого своего жителя Эстония опережала Таджикистан почти в 1,6 раза (соответственно, 11 кв. м и 7 кв. м).

(хуже нее дело обстояли лишь в к уже охваченной к тому времени гражданской войной Таджикистане) [8, сс. 177, 187].

Грузия значительно отставала от общесоюзного уровня и по объему **капитального строительства** в расчете на душу населения: в среднегодовом исчислении за 1986-1990 годы отставание было на 223,3 рублей (на 29,9%) [1, с. 553]. С учетом того, что не менее 30% указанных капитальных вложений в Грузию приходилось на строительство государственной дачи Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева в Мюссера (Абхазская АССР), размер отставания показателя по Грузии следовало бы увеличить, по крайней мере, в 1,4 раза.

#### **Обеспеченность дошкольными учреждениями, легковыми автомобилями, телевизорами**

В советский период рождаемость в Грузии находился на среднесоюзном уровне: общий коэффициент в 1980 году (численность рождения на каждые 1000 жителей) в Грузии составил 17,6, по СССР – 18,3; в 1990 году, соответственно, 17,0 и 16,8 [8, с. 89]<sup>73</sup>. Тем не менее, **обеспеченность детей дошкольными учреждениями** в Грузии была на 1/4 ниже общесоюзного уровня. Охват детей соответствующего возраста дошкольными учреждениями по СССР составлял 55%, в Грузии же – только 42% [8, с. 211].

Грузия, по количеству **автомобилей** на каждые 100 домашних хозяйств, хотя опережала среднесоюзный уровень, однако заметно отставала от прибалтийских республик (соответственно: СССР – 23, Грузия - 32, Эстония – 40<sup>74</sup>). В то же время, Грузия существенно отставала от среднесоюзного уровня по количеству телевизоров (на каждые 1000 жителей приходилось телевизоров: по СССР - 1035, в Грузии - 690, т.е., в 1,5 раза меньше [8, с. 634].

В целом, как подтверждает вышеприведенная информация, **как по макроэкономическим индикаторам, так и по другим статистическим показателям, Грузия не являлась не привилегированным, ни состоящей на иждивении Центра республика**. Ее производство и потребление максимально соответствовали друг другу, а само это «производство-потребление» существенно отставало от среднесоюзного уровня (в среднем, более чем на 1/4).

#### **Кто виноват в отставании в экономическом развитии Грузии в постсоветский период**

Естественно, возникает вопрос: отставание Грузии от среднего показателя по сравнению с данными по постсоветскому пространству насколько является «заслугой» внутренних и насколько – внешних факторов?

Для Грузии, также как и для всех постсоциалистических и постсоветских стран, переходной период не протекал гладко: имело место существенное сужение экономики, массовая безработица, падение жизненного уровня, массовая эмиграция населения в относительно благополучные и развитые страны. Хотя этот процесс для Грузии протекал особенно драматично и по большому счету, трагично: сокращение населения Грузии за последние три десятилетия составило 32 процента, **экономика Грузии при переходе на рыночную экономику в режиме «свободного падения» находилась почти 6 лет (71 месяц) – с четвертого квартала 1988 года до августа 1994 года**. В целом, за переходный период страна перенесла не одно внутреннее военное противостояние и конфликт, а также навязанные Россией необъявленную (1992-1993 гг.) и объявленную (2008 г.) войны. Во многом именно вследствие этого экономика Грузии еще не достигла

<sup>73</sup>. Общий коэффициент рождаемости в 1980 году составлял: в Грузии – 17,6, Азербайджане – 25,2, в Армении – 23,0. Спустя 10 лет эти пропорции если и изменились, то не в пользу Грузии: вышеуказанный показатель в Грузии снизился (17,0), а в Азербайджане (26,4) и Армении (24,0) – увеличился.

<sup>74</sup> По последним данным, в настоящее время на каждые 1000 жителей количество автомобилей составляет: в России – 290, Эстонии – 534, Грузии – 322.

объема предреформенного (1988 г.) периода, хотя по размеру производства добавленной стоимости на душу населения уже превзошла его.

Знаменательно, что не одна страна, в отношении которого Россия осуществила акт(ы) агрессии и стимулировала сецессионные процессы, не достигла предреформенного (1989 г.) уровня (см. диаграмму 10).

Диаграмма 10




Когда осуществляем сравнение экономик нынешней с предреформенной периодов, должно быть учтено то обстоятельство, что по действующей в СССР методике, важнейшим макроэкономическим показателем являлся национальный доход, а не валовой внутренний продукт.

Фактически, ВВП Грузии в 2018 году достиг всего лишь 85,1% от уровня 1989 года (для сравнения – общий объем ВВП всего СНГ в 2018 году увеличился по сравнению с 1989 годом на 17,3%). Однако, из-за существенного сокращения населения страны за этот период (-32%), ВВП на душу населения в 2018 году составил 125,3% уровня 1989 года (за тот же период население СНГ не только не сократилось, но и несколько увеличилось (на 2,1%) (см. диаграмму 11).

Диаграмма 11

**Динамика населения и экономик Грузии и СНГ за 1989-2018 гг. (процент; 1989 г. = 100)**



Самый большой спад грузинская экономика протерпела за 1989-1994 годы, когда ВВП упал со 100% в 1989 году до 23,4% (в среднем по СНГ за тот же период – до 60,5% [12, 80]). За указанный период масштаб падения экономики в Грузии почти в два раза превысил масштаб его падения в СНГ (соответственно, 76,6 п.п. и 39,5 п.п.).

**Если ВВП Грузии в своей динамике в последующие три десятилетия после распада СССР имел бы такую же траекторию роста, какая имела в среднем по странам СНГ, она (Грузия) за этот период могла бы произвести больше добавленной стоимости, по сравнению с фактическим, на 384 млрд. долларов (в сопоставимых ценах, по ППС).**

Российская сторона старается дело представить так, будто в период существования СССР, Центр, Россия «содержали» Грузию, а после обретения самостоятельности дело пошло самотеком, что и предопределил экономический спад. Грузинская сторона же имеет совершенно противоположное мнение: **экономический спад в Грузии имел место во многом из-за «стараний» России – ее агрессивной, враждебной политики к Грузии.** И что 1,5 млн. граждан Грузии, как «облитые кипятком», ретировались из страны из-за падения экономики, а также внешней агрессии, не вина безалаберности грузин, «неспособности» мыслить и действовать адекватно законам рыночной экономики, а в значительной степени «заслуга» «заклятого соседа» Грузии<sup>75</sup>. Россия ревностно относится ко всем международным проектам, особенно в сфере энергетики, в которых вовлечена Грузия и для которых ее территория используется в качестве транзита. [11, с. 73]. В течении более 6 лет для агропромышленных товаров российский рынок был практически закрыт, из-за чего экономика Грузии и ее бизнес-структуры понесли многомиллионные потери. А участие российских вооруженных сил в конфликте в Абхазии 1992-1993 годов, были видны невооруженным глазом как ослиные уши у легендарного фригийского царя Мидаса<sup>76</sup>. Вследствие, была этническая чистка грузинского населения в Абхазии и потеря крова и источников дохода для многих сотен тысяч жителей (не только грузин!) этого региона. Были заблокированы железная дорога и автомобильное сообщение в сторону России через Абхазию, что в кратном размере уменьшили экономические связи Грузии и России.

Такой же враждебный «алгоритм» был применен Россией в отношении «Южной Осетии». Именно, столь недружелюбный военно-политический подход России к Грузии является определяющим фактором образования 37-процентной «ножницы» по темпам роста ВВП за почти тридцатилетний период (1989-2018 гг.) между СНГ и Грузией

<sup>75</sup> О масштабах экономического падения представление дают сравнительные показатели Грузии и ее южнокавказских соседей: в 1988 году ВВП Грузии составлял 88,8 процентов от уровня Азербайджана, а в 2018 году – лишь 23,8 процентов. За это время население Азербайджана увеличилось на 37 процентов, а население Грузии – сократилось на 32 процента. Оппоненты могут возразить, что это не совсем корректное сравнение, ибо рост Азербайджанской экономики зиждется, мол, на резкий рост добычи и экспорте энергоносителей. Но вот, если сравнить Грузию с Арменией, которая не располагает столь щедрыми природными богатствами и в практически зажата в клещах экономической блокады с двух сторон Азербайджаном и Турцией. За последние 30 лет (1988-2018 гг.) отношение ВВП Армении к соответствующему показателю Грузии выросло с 48% до 68,7%, а ВВП на душу населения, соответственно, с 75,0% до 84,9%.

<sup>76</sup> Любая война, военный конфликт имеет экономический аспект, стоимостное выражение. Так вот, если весь абхазский этнос во время войны 1992-1993 годов все свои денежные доходы, сбережения, все богатство и имущество, конвертировало бы в ликвидные средства и положила бы на алтарь войны, то с учетом стоимости военной техники, вооружения и боеприпасов, этих средств хватило бы для ведения военных действий всего лишь максимум на 18-20 дней, в то время как война длилась 409 дней – 13 месяцев и 13 дней (с 14 августа 1992 г. по 30 сентября 1993 г.). Вскармливание и поддержка сепаратистов была и остается государственной политикой России [2, сс. 15-16]. В академической форме такую же мысль развивает академик АН Грузии профессор В.Папава, который пишет, что Москва «с самого начала поддерживала сепаратистские движения не только в Грузии, но и в других бывших советских республиках» [11, с. 72].

(117,3% против 85,1%), фактором, из-за которого Грузия из «одной из самых благополучных, образованных и процветающих республик» СССР [3, с. 69], за три десятилетия после обретения независимости существенно отстала от усредненного среднедушевого уровня СНГ: от 79% в 1988 году (по отношению к СССР) до 54% (по отношению к СНГ) в 2018 году.

### Заклучение

Вышеприведенные данные подтверждают, что в советский период Грузия в экономическом развитии не входила в лидирующий состав республик СССР, тем более - с экономической точки зрения, не представляла «краем», как ее преподносят иные авторы и медиа-средства. По производству национального дохода и валового внутреннего продукта она отставала от среднесоюзного уровня, соответственно, почти на 25 и 15 процентов. При этом уровень ее потребления примерно соответствовала объему производства на ее территории, то есть говорить об «ижживении» республики за счет субсидирования и дотации Центра, не имеет под собой никакой почвы.

Переходной период от административной системы к рыночной экономике в Грузии протекал наиболее драматично, болезненно, ибо во времени совпадал, с одной стороны, на институциональную трансформацию всей экономики, а с другой стороны, на отстаивание территориальной целостности страны, где сепаратистам в Абхазии и цхинвальском регионе всякую помощь оказывала и вскармливала Россия. В виду этого падение экономики Грузии за первые годы после развала СССР почти в два раза превышал аналогичный показатель СНГ. Последствия столь масштабного падения экономики Грузии не преодолены по сегодняшний день. Из-за враждебной политики России по отношению к Грузии достижения у независимой Грузии куда скромнее, чем имелись бы при политике ее северного соседа не то что дружественной, а хотя бы нейтральной. Убытки экономики Грузии от такой политики России имеет вполне осязаемые экономические контуры и они измеряются в десятки миллионов долларов США. Многозначительно, что в абсолютном размере ВВП именно тех стран не достигли предреформенного уровня (конца 1980-х-начала 1990-х годов), у которых не без «помощи» России имеются территориальные проблемы (Грузия, Украина, Молдова).

Грузия не ставит вопрос о компенсации российской стороной причиненной ей ущерба, но оставляет за собой право сделать международным публичным достоянием величину этого ущерба и апеллировать им соответствующим образом.

### Использованная литература:

1. Арчвадзе. И. Роль и значение аграрного сектора в экономике современной Грузии. «Экономический профиль», №17, 2017.
2. Арчвадзе И. «Если забуду тебя, Абхазия!...». Тбилиси, 2004 (на грузинском языке).
3. М. Григорьев, В. А. Павлюшина, Н. М.-А. Кулаева, Е. Э. Музыченко Экономика Грузии: хрупкая устойчивость роста. «Вопросы экономики», №10, 2019, сс.64-84.
4. Грузия: особенности экономического роста. Бюллетень о текущих тенденциях мировой экономики. Аналитический центр при Правительстве Российской Федерации. №46, Июль 2019 г.
5. Жизнь за отца народов. – Lenta.ru, 4.08.2019, [https://lenta.ru/articles/2019/08/04/stalina\\_stalina/](https://lenta.ru/articles/2019/08/04/stalina_stalina/)
6. Калабеков И.Г. СССР и страны мира в цифрах. Справочное издание. М., 2019, 359 с. <http://su90.ru/su465.pdf>
7. Мачарашвили Г.. Совершенствование управления процессов производства и распределения электроэнергии с использованием компьютерных систем. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата технических наук. Тбилиси, 2006. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000138/Disertacia.pdf>
8. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991.

9. Народное хозяйство Грузинской ССР в 1988 году. Статистический ежегодник. Тбилиси, 1990.
10. Основные показатели роста доходов и благосостояния населения Грузинской ССР. Статистический сборник. Тбилиси, 1988, с. 16.
11. Папава В., Экономическая составляющая российско-грузинского конфликта. – Кавказ и глобализация. Том 6, выпуск 1, 2012.
12. Потребление продуктов питания в Грузинской ССР. – ЦСУ Грузинской ССР, Тбилиси, 1986 г.
13. Согласно законов гостеприимства. Апп.ру. 27.06.2019.
14. «СССР.Империя наоборот. Грузия». Документальный фильм. - <https://www.youtube.com/watch?v=1DveyLefMYk>.
15. Статистический бюллетень Госкомстата СССР, 17.12.1990.
16. А. Чубайс. Миссия России в XXI веке. – «Независимая газета», 1.10.2003.
17. Economic Survey of Europe, 2004, N2.
18. Soviet Economic History and Statistics. - <https://carleton.ca/vpopov/wp-content/uploads/Econ-historystat.pdf>.
19. Maddison Project Database 2018. Groning Growth and Development centre Faculty of Economics and Business. <https://www.rug.nl/ggdc/historicaldevelopment/maddison/releases/maddison-project-database-2018>.
20. Evolution of GDP per capita in USSR versus over developed countries <https://timvlandas.com/2016/01/15/evolution-of-gdp-per-capita-in-ussr-versus-over-developed-countries/>
21. A Comparison of Soviet and US Gross National Products. – W., 1999. [https://www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC\\_0000498181.pdf](https://www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC_0000498181.pdf)

*Joseph Archvadze*

*Ph.D (Economy), Professor of Kutaisi University*

**GEORGIA BEFORE THE COLLAPSE OF THE USSR: A COMPARATIVE ASPECT  
(Was welfare in Georgia higher than the USSR average?)  
Expanded Summary**

After the collapse of the USSR, the republics that gained independence began to take an independent path of development. The problems that they face along this path, the Russian Federation, as the successor of the USSR, are completely attributed to them, while the “contribution” of Russia itself to the problems that arise is by no means insignificant. In particular, the goal of such a policy towards Georgia is to present the situation in such a way that Georgia lived at the expense of other republics, in particular, at the expense of Russia in the Soviet period, and, secondly, to explain the difficult economic situation of Georgia in the post-Soviet period as the exceptional “merit” of Georgia itself and the result of the fact that Russia no longer contains it. The purpose of this position is to generate nostalgia for the USSR population in Georgia, which fully fits into the Chubais concept of a liberal empire.

One of the most biased theses, circulated by the Russian media, is that in Soviet times per capita consumption in Georgia was almost four times higher than production (\$ 41.9 thousand and \$ 10.6 thousand, respectively). In fact, in that year, per capita GDP was: in the USSR - 7563 dollars, in the Georgian SSR - 6420 US dollars, and in the USA itself - 24045 US dollars. Only 13 years after the collapse of the USSR - in 2004 - did the USA reach the 41.9-thousandth level of consumption.

In fact, real consumption in Georgia corresponded to the value produced on its territory, and the cost of products imported and exported to the republic was almost equal to half of

the Georgian economy. At the same time, the standard of living in Georgia, the welfare of the population (GDP per capita) was lower than the USSR average - about 1/4 and occupied the ninth and tenth place among 15 republics. In terms of production and consumption of national income, Georgia lagged significantly behind the Russian Federation - by 33.1% and 33.6%, respectively, and from the Estonian SSR in first place - by 37.4% and 47.2%, respectively.

In Georgia, wages lagged significantly behind the corresponding average union indicators. Georgia among the 15 republics of the USSR occupied only the 13th place in the average monthly wage of workers and employees (77.9% of the average union indicator), in terms of the level of remuneration of workers of state farms - XII (69.8%) and in the remuneration of collective farmers - XIth place (96.8%).

Per capita income in 1990 in the USSR amounted to 2262.0 rubles, in the Russian Federation, respectively, 2216.1 rubles, in Georgia - 2216.1 rubles, or 98.0 percent of the level of the USSR and 85.8 percent of the level of the Russian Federation .

Georgia lagged behind the levels of the Soviet Union and Russia not only in cash incomes, but also in their commodity coverage. For every 100 rubles, commodity coverage in Georgia was only 64.5 rubles, while in the USSR it was on average 76.2 rubles. Georgia occupied the penultimate, 14th place in this indicator. The remaining financial resources flowed out of Georgia to purchase scarce durable goods (furniture, cars, etc.) in those regions of the USSR where the degree of coverage was higher compared to Georgia. However, the funds exported for the above purposes had a purchasing power of 1.5-2.0 times lower than the purchasing power of the local population.

In the Soviet period, there were about 1.3 million people in Georgia. The population received more than half a billion rubles a year from the production of southern, subtropical crops (tea, citrus fruits) (on average per capita - 32 rubles per month).

Georgia occupied the penultimate, 14th place in the production of electricity per capita.

There was a significant backlog of Georgia in agriculture. In terms of meat production per capita, Georgia ranked X among 15 republics, in eggs, respectively, XI place, in milk production - divided XIII-XIV places. Georgia was in first place in terms of the cost of gaining each centner of livestock products, surpassing the average level of the USSR by 2.5-2.7 times.

This lag also affected per capita food consumption. Each resident of Georgia consumed less than the average Union level: potatoes - 55 kg, vegetables and meat - 15-15 kg each, fish - 9 kg, vegetable oil - 4.0 kg. Meat consumption per 1 kg of the population was: in Georgia - 239 grams, in the USSR - 466 grams, in Estonia - 967 grams.

Despite this fall, in the last years of the existence of the USSR in the so-called The All-Union Fund from Georgia supplied 21.9% of the produced citrus fruits, 34.8% - potatoes, 20% - fruits and berries and 11.1% - vegetables.

Georgia was in last place by the number of apartments built per capita.

The transition to a market economy in Georgia proceeded according to the most dramatic scenario. By 1994, production fell almost four times compared to 1988. Both in Georgia and those countries that have problems with territorial integrity (Ukraine, Moldova), in the post-Soviet period the economy did not reach the pre-reform level. Due to the occupation of Georgian territories and the hostile policy of Russia towards Georgia, it has not been able to produce about 400 billion dollars of GDP during its independence.

*იოსებ არჩვაძე*  
ეკონომიკის დოქტორი,  
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

### **საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის დაშლის წინ: შეფარებითი ასპექტი**

(იყო თუ არა კეთილდღეობა საქართველოში უფრო მაღალი, ვიდრე საშუალოდ სსრკ-ში?)

#### **რეზიუმე**

სსრკ-ის დაშლის შემდეგ მის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნები განვითარების დამოუკიდებელ გზას დაადგნენ. პრობლემებს, რომლებსაც დამოუკიდებლობის გზაზე ყოფილი რესპუბლიკები აწყდებიან, რუსეთის ფედერაცია, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრე, მთლიანად მათ აკისრებს, მაშინ როდესაც რუსეთის „წვლილი“ წარმოქმნილ პრობლემებში, არც თუ უმნიშვნელოა.

ბოლო წლებში საქართველოსთან მიმართებაში რუსეთმა გააძლიერა პროპაგანდა საბჭოთა პერიოდის იდეალიზაციის მიმართულებით. ამგვარი პოლიტიკის მიზანია, ჯერ ერთი, საქმე წარმოაჩინოს, თითქოს საბჭოთა პერიოდში საქართველო ცხოვრობდა სხვა რესპუბლიკების, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის ხარჯზე და მეორე, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მიმე ეკონომიკური მდგომარეობა წარმოაჩინოს ისე, თითქოს ეს მხოლოდ ქართველთა „დამსახურებაა“ და იმის შედეგია, რომ რუსეთი საქართველოს აღარ ინახავს. აღნიშნული პოზიციის მიზანია გაუჩინოს საქართველოს მოსახლეობას ნოსტალგია სსრკ-სადმი, რაც მთლიანად ეწერება ლიბერალური იმპერიის ჩუბაისისეულ კონცეფციასში.

ერთერთი ყველაზე არასწორი თეზისი, რომელიც ვრცელდება რუსული მედია-საშუალებებით, არის ის, თითქოს საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში მოხმარება თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა წარმოებას (შესაბამისად, 41,9 ათასი აშშ დოლარი და 10,6 ათასი დოლარი). რეალურად კი იმ წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა: სსრკ-ში - 7563 აშშ დოლარს, საქართველოს სსრ-ში - 6420 აშშ დოლარს, ხოლო აშშ-ში - 24045 აშშ დოლარს. მოხმარების 41,9-ათასიან დონეზე თვით აშშ-მა მიაღწია სსრკ-ის დაშლიდან მხოლოდ 13 წლის შემდეგ - 2004 წელს.

რეალურად, საქართველოში ფაქტობრივი მოხმარება შეესაბამებოდა იმ დოვლათის ღირებულებას, რომელსაც ის აწარმოებდა, რესპუბლიკაში შემოტანილი და გატანილი პროდუქციის ღირებულება თითქმის ტოლი იყო და საქართველოს ეკონომიკის დაახლოებით იყო. ამავე დროს, საქართველოში ცხოვრების დონე, მოსახლეობის კეთილდღეობა (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე) სსრკ-ის საშუალო დონეზე უფრო დაბალი იყო - დაახლოებით 1/4-ით, ხოლო 15 რესპუბლიკას შორის მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავლის მიხედვით ეკავა, შესაბამისად, მეცხრე და მეათე ადგილი. ეროვნული შემოსავლის წარმოებით და მოხმარებით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რუსეთის ფედერაციას - შესაბამისად, 33,1%-ით და 33,6%-ით, ხოლო ეკონომიკური განვითარებით პირველ ადგილზე მყოფ ესტონეთის სსრ-ს - 37,4%-ით და 47,1%-ით.

საქართველოში შრომის ანაზღაურება ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. სსრკ 15 რესპუბლიკას შორის საქართველო იმყოფებოდა: მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასით - XIII ადგილზე (საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 77,9%), საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების სიდიდით - XII ადგილზე (69,8%) და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებით - XI ადგილზე (96,8%).



საშუალო სულადობრივი ფულადი შემოსავლები 1990 წელს შეადგენდნენ სსრკ-ში 2262,0 მანეთს, რუსეთის ფედერაციაში - 2581,4 მანეთს, საქართველოში - 2216,1 მანეთს, ანუ სსრკ-ის დონის 98,0 პროცენტსა და რუსეთის ფედერაციის 85,8 პროცენტს. საქართველო ჩამორჩებოდა საკავშირო და რუსეთის დონეებს არა მარტო ერთ სულზე ფულადი შემოსავლებით, არამედ ყოველი ერთი მანეთის დასაქონლიანებით. ყოველ 100 მანეთ შემოსავლზე მოდიოდა მხოლოდ 64,5 მანეთის საქონლისა და მომსახურების შექმნა, მაშინ როდესაც სსრკ-ში საშუალოდ - 76,2 მანეთი. ამ მაჩვენებლით საქართველოს უკანასკნელის წინა, 14-ე ადგილი ეკავა. დარჩენილი ფულადი რესურსები გადიოდა საქართველოდან ხანგრძლივი მოხმარების, დეფიციტური საქონლის (ავეჯი, ავტომობილები) შესაძენად. აღნიშნული მიზეზებით საქართველოდან გატანილი ფულადი რესურსების ყოველი ერთი მანეთის მყიდველობითი უნარიანობა, როგორც წესი, 1,5-2,0-ჯერ უფრო დაბალი იყო ადგილობრივი მოსახლეობის შესაბამისი რაოდენობის ფულის მყიდველობით უნარიანობაზე.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს დაახლოებით 13 მლნ. მოსახლეობა სამხრეთული სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსები) წარმოებიდან ყოველწლიურად ღებულობდა ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტ შემოსავალს (მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით თვეში - 32 მანეთი).

საქართველო ბოლოს წინა, მე-14 ადგილზე იმყოფებოდა მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის წარმოებით.

ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობაში. მოსახლეობის ერთ სულზე ხორცის წარმოებით საქართველოს 15 რესპუბლიკას შორის ეკავა X ადგილი, კვერცხის - შესაბამისად, XI ადგილი, რძის წარმოებით - XIII-XIV ადგილი. მეცხოველეობის პროდუქციის ყოველ ერთ ცენტნერ ნამატზე კაც-საათების დანახარჯებით საქართველო პირველ ადგილზე იყო, უსწრებდა რა ამ მაჩვენებლით საშუალო საკავშირო დონეს 2,5-2,7-ჯერ.

აღნიშნული ჩამორჩენა ასახვას ჰპოვებდა სურსათის საშუალო სულადობრივ მოხმარებაშიც. საქართველოს თითოეული მცხოვრები მოიხმარდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე ნაკლებს: კარტოფილს - 55 კგ-ით, ბოსტნეულსა და ხორცს - 15-15 კგ-ით თითოეულს, თევზეულს - 9კგ-ით, მცენარეულ ხეთს - 4,0 კგ-ით ნაკლებს. მოსახლეობის მოხმარებულ ყოველ 1კგ პურზე ხორცის მოხმარება შეადგენდა: საქართველოში - 239 გრამს, სსრკ-ში - 466 გრამს, ესტონეთში - 967 გრამს.

მიუხედავად ამგვარი ჩამორჩენისა, საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში ე.წ. საკავშირო ფონდს საქართველოდან მიეწოდებოდა წარმოებული ციტრუსების 21,9%, კარტოფილის 34,8%, ხილისა და კენკრის 20% და ბოსტეულის 11,1%.

მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო ბოლო ადგილზე იდგა აშენებული ბინების რაოდენობის მიხედვით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი საქართველოში ყველაზე დრამატულად წარიმართა. 1994 წლისთვის 1988 წელთან შედარებით წარმოება თითქმის 4-ჯერ დაეცა. საქართველოს მსგავსად, პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან ეკონომიკის მდგომარეობას არ მიუღწევია რეფორმამდელი დონისათვის იმ ქვეყნებს, რომლებსაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აქვს (უკრაინა, მოლდოვა).

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და მტრული პოლიტიკის გამო საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან გავლილ პერიოდში ვერ აწარმოა დაახლოებით 400 მლრდ. აშშ დოლარის მშპ.

**სოფლის მეურნეობა – AGRICULTURE**

**პაატა კოლუაშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

**ნიკო ჩიხლაძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

**„სოფლად ნუ ჩაბლავ სიცოცხლეს, ძალაში წაბიზღვებო“**

**რეზიუმე.** უკანასკნელ წლებში ქართული სოფელი გატარებული არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო უაღრესად დაკნინებულია. ასეთ პირობებში აგროსექტორის კრიზისიდან გამოსვლა და განვითარება გარედან დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. აუცილებელია აღდგეს სოფლის ადმინისტრაციული ორგანო, როგორც მუნიციპალურ თვითმმართველობაში სასოფლო თემის მონაწილეობისა და ჩართულობის ეფექტიანი ინსტრუმენტი. არსებულ პირობებში მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია გარდაუვალია. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში არც სოფლის მეურნეობა გვექნება, და არც სოფელიც.

**საკვანძო სიტყვები:** გლეხკაცი, თემი, სოფლის განვითარება, აგრარული პოლიტიკა, ტერიტორიული ერთეული.

**შესავალი**

ფსიქოლოგიურად და კულტურულად სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. გლეხკაცი, ძალიან ხშირად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლად მიანჩნიათ, თუმცა, მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტიც, გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდაქმნელია. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება. სიტყვა „გლეხიკ არ არის სინონიმი არც „უსწავლელის“, არც „ტლუხის“, არც „დაბალი ღობისა“. იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფესვისა და რეზერვისა“.

გლეხკაცი, განსაკუთრებით საქართველოში, ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის დ იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. გლეხკაცის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს მარცვლეული, მწვანილი, ხილი თუ ყურძენი. მისი პირველი მოწოდებაა დ იყოს ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვებავი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი და საქართველოს მიწის ყოველი გოჯის შემნახავი ასიათასობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ.

ქართული სოფელი უკანასკნელ წლებში გატარებული არასწორი სოციალურ-ეკონომიკური (მ.შ. აგრარული და სოფლის განვითარების) პოლიტიკის გამო უაღრესად დაკნინებულია. ასეთ პირობებში სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციის შეჩერება და აგროსექტორის კრიზისიდან გამოსვლა და შემდგომი განვითარება შესაბამისი დაცვითი (მარეგულირებელი) მექანიზმებისა და გარედან დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.[კოლუაშვილი და ზარდიაშვილი, 2016:23]

**გვეტირდება სოფლის განვითარების პოლიტიკა**

სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დრო-

ში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ადამიანთა რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლება.

საქართველოს მოსახლეობის 41,3% სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს. ბოლო წლებში კლების ტენდენციით გამოირჩევა მშპ-ში სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, ნადირობისა და თევზჭერის ხვედრითი წილის დინამიკა: თუ იგი 2015 წელს 9,1%-ს შეადგენდა, 2018 წელს კიდევ უფრო შემცირდა და 7,7%-ს მიაღწია. [საქართველოს სოფლის...2019:17]

როგორც წესი, სახელმწიფო რეგულირებით უნდა განხორციელდეს ის ფუნქციები, რომლებიც არაა უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ აგროპროდუქციის წარმოების სფერო, იმყოფება რა სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობის ქვეშ და ფინანსდება მიზნობრივი პროგრამებით, ქმნის ფერმერული მეურნეობებისა და მათი კოოპერაციული გაერთიანებებისთვის მდგრადი განვითარების პირობას.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. ეს პროცესი ყველაზე სახელმწიფოს აქტიური მათრეინტერბელი, მათრეანიზებული როლითა და ხელშეწყობით წარიმართა.

სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის საზოგადოების ეკონომიკური დედაბოძი ყოველთვის გლახკაცი იქნება, მისთვის სრულფასოვანი საცხოვრებელი არეალის შექმნა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის ფორმირება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, სხვა ყველა ამოცანასთან ერთად (მიწასთან მარადიული ურთიერთობა, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და სხვ.), არის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირების პოლიტიკაც [კოლუაშვილი, 2016:45]. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში - ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. მათ იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო და სოფლის განვითარების პოლიტიკა აქვს. ამიტომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და ამოქმედდეს სოფლის განვითარების პოლიტიკაც. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე *სოფლის მეურნეობის განვითარება*. მისი მიზანია სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისა და აგროპროდუქციის წარმოების გადიდებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ეს ამოცანა, თავისით, რა თქმა უნდა, არ შესრულდება. ამ მიზნით საჭიროა განისაზღვროს და შემუშავდეს:

1. საქართველოს ძირითადი მიზანი და ამოცანა სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს ორი მიმართულების: პირველი, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის შენარჩუნება-განვითარება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვა) და მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფილი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

2. პრინციპულად ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგია (რომელიც მოიცავს სისტემას, სტრუქტურას, სტრატეგიას, ტაქტიკას, კადრების ნებას, კადრების სწავ-

ლებას), რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და აგრარული შრომის მოტივაციის ამაღლებას უკავშირდება.

ამჟამად სასოფლო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ღრმად დეპრესიულია და სრული დაცლის საფრთხე - პრაქტიკულად უკვე გარდაუვალი. სოფლად მოსახლეობის (1990 წლის 2424.7 ათასიდან 2016 წლის 1591.9 ათასამდე, ანუ 34.7 პროცენტით) შემცირებას თან სდევს მისი ეკონომიკური და დემოგრაფიული ხარისხობრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება. მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ საქართველოში დააფიქსირა 223 გაუკაცრიელებული სოფელი - ეს 61 სოფლით მეტია 2002 წლის აღწერით დაფიქსირებული გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობასთან შედარებით.<sup>77</sup> სოფლად მცხოვრები ეკონომიკურად აქტიურ ასაკში მყოფი მოსახლეობის დიდი ნაწილი ზემოხსენებული მიზეზების გამო მასობრივად ტოვებს თავის საცხოვრისს და უკეთესი პირობების საძიებლად მიემართება ქალაქებში ან უცხოეთში, ყველაზე დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად.

უფლებაყრილი და, შესაბამისად, ვალდებულებებისგანაც დაცლილი სოფელი, რომელსაც სამართლებრივად თავისი ადმინისტრაციული ორგანოც კი აღარ შერჩენია, დე იურეცა და დე ფაქტოც - მოკლებულია საკუთარ სამკვიდროს: სოფლის სასიცოცხლო სივრცე - სათემო მიწა (თუნდაც საძოვარი და სათიბი მაინც, მაგრამ - არა მარტო), სათემო ტყე, წყალი, ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ბუნებრივი რესურსები, საერთო სარგებლობის სამეურნეო თუ კომუნალური ინფრასტრუქტურა და სხვ. და სხვ. რაც თემის საერთო მფლობელობასა და სარგებლობაში უნდა იყოს, უმრავლეს შემთხვევაში მუნიციპალურ საკუთრებაშიც კი არ არის. ტრადიციული ქართული სამართლის თვალსაზრისით, სოფლის დღევანდელი მაცხოვრებელი, ვინაიდან მას ყოველგვარი სათემო უფლება აყრილი აქვს, საკუთარი ბედის გამომჭვადავი სოფლის ქედმოუხრელი და ამაყი მკვიდრი გლეხკაცი კი არა, არამედ ოდენ სხვისი ხელის შემეყურე, და ბეჩავი, ამიტომაც, უპასუხისმგებლო - ხიზანია!

სასოფლო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ღრმად დეპრესიულია და სრული დაცლის საფრთხე - პრაქტიკულად უკვე გარდაუვალი! დღევანდელი ამოცანა და სასოფლო პოლიტიკის მთავარი მიზანია, თუკი საბოლოოდ არ ვამბობთ უარს სოფელსა და სასოფლო პოლიტიკაზე, ჯერ მისი ხიზნობიდან, ანუ სამოქალაქო სიკვდილისგან დახსნა! რაიმე განვითარება სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნება, თუკი სოფელი, როგორც უფლებრივი და ამავდროულად, რაც ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეკონომიკური და სამეურნეო სუბიექტიც, ფაქტობრივად მკედრეთით არ აღსდგა!

### **სოფლის განვითარების პოლიტიკის ძირითადი ამოცანები**

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ისევე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია, საქართველოშიც ჩამოყალიბდეს სისტემური მიდგომა ზოგადად ტერიტორიების და განსაკუთრებით, სასოფლო ტერიტორიების მიმართ, რაც შესაბამისი პოლიტიკის კონცეპტუალურ, პროგრამულ თუ სამართლებრივ უზრუნველყოფას უნდა დაეყრდნოს. [კოდუაშვილი, 2013:65]

როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური სასოფლო პოლიტიკის საწარმოებლად არსებითია, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და სწორად შევაფასოთ: ამ სავალდლო მდგომარეობაში სასოფლო პოლიტიკის მიზანი ჯერ „განვითარება“ კი არა, არამედ სოფლის გადარჩენა უნდა იყოს!

სოფლის გადასარჩენად უპირველესი ამოცანა ამ ეტაპზე სასოფლო თემის, როგორც სრულფასოვანი სამართალსუბიექტის, აღდგენაა. სოფელში ჯერ 2005

<sup>77</sup> „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018“ გვ.34 სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, <https://www.geostat.ge/media/27214/demograpia-2018.pdf>

წელს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობა გაუქმდა, ხოლო 2013 წლის „თვითმმართველობის კოდექსით“ - მას უკვე საკუთარი ადმინისტრაციული ორგანოც კი აღარ ჰყავს; მდგომარეობა კუროსხული და უპრეცედენტოა - სოფელი ფორმალურად შენარჩუნებულია, როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, მაგრამ თავისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და კიდევ უარესი - საერთოდ საკუთრივ სოფლის ადმინისტრაციული ორგანოს გარეშე. ეს კუროსხული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. [ჩიხლაძე და ჭიჭინაძე, 2013:55]

უწინარეს ყოვლისა, სოფელში უნდა აღდგეს სოფლის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც მუნიციპალურ თვითმმართველობაში სასოფლო თემის მონაწილეობისა და ჩართულობის ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება. საზვასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გამსხვილებით, მისი მუნიციპალიტეტის (ყოფილი რაიონის) დონეზე „ატანით“ არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი იყო სოფლის, როგორც მუნიციპალურ თვითმმართველობაში მოქალაქეთა და თემის მონაწილეობითი პირველადი ადმინისტრაციული დონის, შენარჩუნება და ამ პირველადი ადმინისტრაციული, დონის არათუ ფაქტობრივი გაუქმება, არამედ პირიქით - მისი გაძლიერება.

კარგი და მისაბაძი მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ლიეტუვა, სადაც ასევე მართვის ეფექტიანობის მიზნით ანალოგიურად გამსხვილდა ადგილობრივი თვითმმართველობა. მაგრამ იქ სასოფლო თემი („სოლნცესტო“) მუნიციპალური თვითმმართველობის ადმინისტრაციულად მკაფიოდ გაფორმებული მონაწილეობითი დონეა და სოფლის ადმინისტრაცია არა მხოლოდ მუნიციპალური თვითმმართველობის, არამედ უშუალოდ მოსახლეობის, ადგილობრივი თემის წინაშე ანგარიშვალდებული.

ჩვენში კი, სასოფლო თემი მთლიანად უფლებააყრილია და რაიმე სამოქალაქო ურთიერთობაში. გამონაკლისია - ე.წ. *სოფლის მხარდაჭერის პროგრამა*, რომელიც იმდენად ფრაგმენტული და მცირე მასშტაბისაა, რომ სავალალო მდგომარეობას ვერ შეცვლის) სუბიექტს დიდი ხანია, აღარ წარმოადგენს;

გარდა ამისა, ამ სამართალსუბიექტმა - სასოფლო თემმა, აუცილებლად უნდა დაიბრუნოს უპირობო და წარუვალადი უფლება საკუთარ სამკვიდროზე; ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ საერთო, სათემო სარგებლობის მიწა - საძოვარი, სათიბი, სათემო ტყე, წყლის ფონდის მიწა, ტყის ფონდის მიწა იურიდიულად უნდა დაბრუნდეს თემის მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობასა და სარგებლობაში. დღეს ამ თვალსაზრისით მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სოფლის ტერიტორიული საზღვრებიც კი სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველია. ეს მიწა არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალური საკუთრებისა უნდა იყოს და თემის, რომელიც მისი ერთადერთი ლეგიტიმური მფლობელი და მოსარგებლეა, დაუკითხავად შეუძლებელი უნდა გახდეს ამ მიწის, ე.ი. სოფლის სამკვიდროს, სამართლიანი და ეფექტიანი მართვა - მისი განკარგვა, რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამურნეო წარმოების თუ მიწის, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალების გამოყენებით სოფლის ტერიტორიაზე სხვა ეკონომიკური საქმიანობის სწორედ ორგანიზება, საბოლოო ანგარიშით - სასოფლო სამკვიდროს დაცვა და სოფლის გადარჩენის შემდეგ მის განვითარებაზე ზრუნვა;

მუნიციპალური თვითმმართველობის ეფექტიანობა არსებითად, სასიცოცხლოდ არის დამოკიდებული მოქალაქეთა და ადგილობრივი თემის უშუალო, პირდაპირ მონაწილეობაზე. ასეთი, თანამედროვეობის შესაბამისი მონაწილეობითი ინსტრუმენტები მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა ადგილობრივ სასოფლო თემში აუცილებლად უნდა შეიქმნას და სწრაფად განვითარდეს;

ამ თვალსაზრისით უმიშვნელოვანესია, რომ თავად თემს, პირდაპირი, უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით მიეცეს შესაძლებლობა, მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემაჯავლი ადგილობრივი მნიშვნელობის სასოფლო საკითხები თავადვე გადაწყვიტოს და ამ მიზნით ძირითად ინსტრუმენტად გამოი-

ყენოს მის წინაშე ანგარიშვალდებული სასოფლო ადმინისტრაცია; სასოფლო თემი, როგორც სრულფასოვანი სუბიექტი, რომელიც უფლებებს დაიბრუნებს და ამ გზით თავადვე გახდება უმთავრესი პასუხისმგებელი საკუთარ განვითარებაზე. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მუნიციპალური თვითმმართველობა და სახელმწიფო სოფლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას მოიხსნის, პირიქით - მათი ვალდებულებაა სუბსიდიარობის დაცვით სოფლის განვითარების სწორად დაგეგმვა და, რაც ყველაზე მთავარია, ეფექტიანი ინსტრუმენტების შექმნა, თავად თემის ეკონომიკური თუ სოციალური აქტივობისათვის.

სასოფლო თემის ეკონომიკური გამოცოცხლების, დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანის, ხოლო შემდგომ მისი ეკონომიკური განვითარებისა და აქტივობის გასაძლიერებლად საუკეთესო (შესაძლოა, ამჟამად ერთადერთიც!) გზაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყოველმხრივი წახალისება, მხარდაჭერა და სწრაფი განვითარება. ასევე, უმნიშვნელოვანესი იქნება სოციალური დახმარებებისა და ე.წ. საარსებო შემწევობების პოლიტიკის კარდინალური გადასინჯვა. ეს პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლად, ამჟამად პირდაპირ მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური დეპრესიის კიდევ უფრო გაღრმავებისა და სიღატაკის წახალისებისკენ [კოლუაშვილი და ჩიხლაძე, 2017:72].

თემის სოციალური აქტივობისათვის სათანადო ინსტრუმენტების შესაქმნელად წარმატებული საწყისი გამოცდილება საქართველოში უკვე არსებობს და ესაა სოფლებში „საზოგადოებრივი ცენტრების“ შექმნა და განვითარება. ასეთი ცენტრი ამჟამად სულ 50-მდე მოქმედებს. იგი წარმოადგენს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით საუკეთესოდ აღჭურვილ, პროფესიულად განსწავლული პერსონალით დაკომპლექტებულ მაღალტექნოლოგიურ ოფისს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო და მუნიციპალურ მომსახურებებს; მისი მეშვეობით შესაძლებელია როგორც უშუალო, პირდაპირი ჩართვა და მონაწილეობა მუნიციპალურ თვითმმართველობაში, ასევე სათემო ეკონომიკური, სამოქალაქო თუ თემზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივების მაღალი ეფექტიანობით განხორციელება. სწორედ სახელმწიფოს ვალია, რომ ეტაპობრივად, ყველა მუნიციპალურ ადმინისტრაციულ ერთეულს (და არა მხოლოდ მათ მცირე ნაწილს) შეექმნას ეს თანამედროვე შესაძლებლობა.

### დასკვნა

სოფლის განვითარება არის მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი, მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართულობით მოქმედი პროცესი და ეს ყოველივე მიუთითებს მის სირთულეზე, შესაბამისად, არ არსებობს მკაფიოდ შემოსაზღვრული პარადიგმა ამ თემაში.

ბუნებრივია, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოცკულტურული და ეკონომიკური მდგომარეობა დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში განსახორციელებელ ეკონომიკურ (მ.შ. აგრარულ) და სოფლის განვითარების პოლიტიკაზე, მიწის კონსოლიდაციაზე, სათემო კოოპერაციის სტიმულირებაზე, სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა აუცილებელი პროექტების განხორციელებაზე (მ.შ. სპეციალიზებული კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნაზე).

სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების გარეშე, ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლუაშვილი პ., ზარდიაშვილი დ., 2016, ქართული სოფლის სტატუსის შესახებ. უ: „სოციალური ეკონომიკა დ XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, 5, გვ.23.

2. კოლუაშვილი პ., 2016, ქართული სოფელი მარადიულია. უ: „ეკონომიკა“, 11-12, გვ. 45.
3. კოლუაშვილი პ., 2013, რა ემართება და რა ჰმართებს ქართულ სოფელს. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, 11, თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 65.
4. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., 2017, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - სამეწარმეო მობილიზაციის ეფექტური ფორმა. უ: „ბიზნეს ინჟინერინგი“, ზ3, გვ. 72.  
URL: <https://drive.google.com/file/d/1DaMoBMpC4lqEC9dGrO87ERCpII4WXZuX/view>
5. „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018“, 2019, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ. 17. URL: [https://www.geostat.ge/media/24487/soflis-meurneoba\\_2018.pdf](https://www.geostat.ge/media/24487/soflis-meurneoba_2018.pdf)
6. ჩიხლაძე ნ., ჭიჭინაძე ბ., 2013, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თანამედროვე პრობლემები საქართველოში. უ: „ახალი ეკონომისტი“, N4, გვ. 55. URL: [http://loi.ge/media/pdf/eko-2013-4\\_jllys9f.pdf](http://loi.ge/media/pdf/eko-2013-4_jllys9f.pdf)

*Paata Koguashvili*

*Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University,*

<sup>93</sup>აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ყურადღება გამახვილებულია ჯამური ინფორმაციის ამოღების სირთულის შეფასებაზე. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, განხილვის მიღმაა შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის მომხმარებელი დაინტერესებულია ერთი (ან რამდენიმე) კონკრეტული საწარმოს ინფორმაციის მოპოვებითა და გაანალიზებით.



ინფორმაცია) მოცემულია თავად ვებ-საიტზე, ნაწილი კი (ფინანსური ანგარიშგებები) მოცემულია pdf დოკუმენტის ფორმატის დოკუმენტში.

2. ხელოვნური ინტელექტის ტექნიკის გამოყენებით და პროგრამირების ენის (მაგალითად Python-ის) დახმარებით "რეპორტალის" საიტიდან შესაძლებელია შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების pdf ფორმატში გადმოწერა და ამ დოკუმენტების წაკითხვა/ანალიზი. ფინანსური ანგარიშგებების გადმოწერის შემდეგ, რადგან გადმოწერილი ინფორმაცია არის პდფ ფორმატში, მათ გადაამუშავებას სჭირდება ან ხელთ თითოეული რიცხვის ამოწერა ან პდფ დოკუმენტის ექსელის ფორმატში გარდაქმნა ისეთი პროგრამირების ენით, როგორცაა Python. ამ გზით ინფორმაციის ამოღების დადებითი მხარე გახლავთ ის, რომ პროგრამირების ენა გვეხმარება ხელთ გასაკეთებელი შრომატევადი პროცესი დროული, მარტივი და მექანიკური შეცდომებისგან თავისუფალი გახდეს. ამ გზით ინფორმაციის ამოღების უარყოფითი მხარე გახლავთ ის, რომ ფინანსური ანგარიშგებები მოცემულია ქართულ ენაზე და შესაბამისი ლექსიკონის არ არსებობის პირობებში პროგრამის უჭირს ქართულ ენაზე მუშაობა. ასევე, პროცესის ეფექტიანობას აფერხებს ის ფაქტიც, რომ საწარმოთა ანგარიშგებები ნაკლებად სტანდარტიზებულია და ერთი და იგივე კომპონენტის გამოსახატავად სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება. პროგრამის მუშაობას ასევე პრობლემურს ხდის ირეპორტალისკ საიტის მხრიდან მომხმარებლის ავტორიზაციის საჭიროება.

3. ინფორმაციის სისტემატიზებული სახით ამოღების შესაძლებლობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობის სამინისტროს მხრიდან ინიცირებულ იქნა საწარმოებს ცალკე შეევსოთ თავიანთი ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია. ფინანსური ინფორმაცია მოიცავს ოთხ ძირითად ანგარიშგებას: მოგება-ზარალის ანგარიში, ბალანსი, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში. არა-ფინანსური ინფორმაცია მოიცავს კომპანიის სახელს, საიდენტიფიკაციო კოდს, სდპ სტატუსს, საანგარიშგებო პერიოდს, სტატუსს აქციების სავაჭროდ დაშვების თაობაზე, აქტივების, შემოსავლებისა და დასაქმებულთა ოდენობას, მშობელი/შვილობილი საწარმოს სტატუსს, აუდიტორ ფირმას, საკონტაქტო ინფორმაციას და სხვა. შედეგად, ბიზნეს ერთეულების ფინანსური ინფორმაცია სისტემატიზებული სახით ექსელის დოკუმენტის ფორმატში შეიძლება ოფიციალური წერილის მეშვეობით გამოთხოვილ იქნეს ზედამხედველობის სამსახურიდან. ფინანსური ინფორმაციის ოფიციალურ წერილზე დაყრდნობით ზედამხედველობის სამსახურიდან გამოთხოვა შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს: 1) წერილის გამზადება და ამობეჭდვა; 2) ინსტიტუტის სახელით ხელმოწერა და ბეჭდის დასმა; 3) ფინანსთა სამინისტროში ამობეჭდილი ეგზემპლარის დატოვება; 4) ფინანსთა სამინისტროში ამობეჭდილი ეგზემპლარის დატოვება; 5) დალოდება; 6) მიიღილი ინფორმაციის მიღება. ამ ხერხით ინფორმაციის მიღების დადებითი მხარეა ის, რომ ფინანსური ინფორმაცია სისტემატიურ ხასიათს ატარებს. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა მარტივად გადაამუშავდეს და გაანალიზდეს ამა თუ იმ სტატისტიკურ პროგრამაში. დადებითი მხარეა ასევე ისიც, რომ მიუხედავად აღნიშნული რესურსის ჩართულობისა, ინფორმაციის მიღება შედარებით მარტივი და დროულია. აღნიშნული ხერხის უარყოფითი მხარე კი ის გახლავთ, რომ მოცემული ფინანსური ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ რაოდენობრივ ნაწილს (ოთხ ფინანსურ ანგარიშგებას) და იკარგება ფინანსური ანგარიშგების ტექსტური ნაწილი. ამასთან, ონლაინ პლატფორმაზე ინფორმაციის შეყვანისას საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილს დაშვებული აქვს ტექნიკური შეცდომები (მაგ. ხარვეზებითაა გამოკვეთილი ფინანსური ინფორმაციის მასშტაბი - მნიშვნელობები მოცემულია ერთეულ თუ ათასეულ ლარში. ხარვეზი ეხება საწარმოთ დაახლოებით 10%-ს, რაც მთლიანობაში დაკვირვების ობიექტს გასაანალიზებლად არავალიდურს ხდის. იხ. [Pirveli and Papava forthcoming]. ინფორმაციის ფინანსთა სამინისტროდან გამოთხოვის შემთხვევაში ტექნიკური ხარვეზების ქონის აღბათობას ზრდის ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტე/ხარისხი არ მოწმდება აუდიტორის მიერ და

მის სიზუსტეს პირდაპირ ზედამხედველობის სამსახური ადასტურებს. რაც შეეხება არაფინანსურ ინფორმაციას, მოცემულ ცვლადთა ოდენობა საკმაოდ ფართოა. თუმცა, ვერ ვხედავთ კატეგორიის განმსაზღვრელ ცვლადს. ვაწყდებით იმ სამ კრიტერიუმს, რომელზე დაყრდნობითაც კატეგორიის განსაზღვრა ხდება, თუმცა არაფინანსური ინფორმაციის მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ეს ინფორმაცია თითქმის შეუვსებელია. მაგ., აქტივების ზომის ცვლადი, მოწოდებული პირველი წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2,423 საწარმოს ინფორმაციიდან შევსებული აქვს 902-ს (27%), მათ შორის კი 233 საწარმოს შემთხვევაში მისი სიდიდედ 0-ია დაფიქსირებული (26%). რომ შევაჯამოთ, არა-ფინანსური ინფორმაცია არ არის სრული. შესაბამისად, ეს ხერხი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფინანსური ინფორმაციის მოპოვების კუთხით, თუმცა საჭიროა არაფინანსური ინფორმაციის მოპოვების დამატებითი გზის შემუშავება.

4. ბიზნეს ერთეულების არაფინანსური ინფორმაცია - ინფორმაცია აუდიტორებზე, მფლობელებზე, საქმიანობის სფეროზე, სამართლებრივ ფორმაზე, რეგისტრაციის წელსა და სხვა - შესაძლოა ხელგონი ინტელექტის ტექნიკის მეშვეობით გადმოწერილ იქნეს ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურის პორტალიდან. მაგალითად, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს “ლინკ კლიფერისა” (Link Klipper) და “სკრეიფსტორმის” (ScrapeStorm) ტექნიკები. სკრეიფსტორმი არის კომპიუტერული პროგრამა, სადაც ბრძანებათა კოდის აწყოებით შეგვიძლია ავტომატურად გადმოწეროთ ამა თუ იმ ინტერნეტ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ირეპორტალისკ ვებსაიტს გააჩნია ის თავისებურება, რომ მონაცემები მონაცემთა ბაზიდან ყოველ ჯერზე იკითხება ე.წ. „Postback“-ით. ასეთ შემთხვევაში, პროგრამა სკრეიფსტორმივერ კითხულობს კომპანიების ჩამონათვალის გვერდზე მოცემული საიტების მისამართებს. შედეგად, შემოდის საჭიროება, რომ კომპანიების ვებ-მისამართები დამატებით მოვიპოვოთ სხვა პროგრამის მეშვეობით. აღნიშნულს წინამდებარე კვლევა ლინკკლიფერის პროგრამით ცალკე აკეთებს. ამ ორი ტექნიკის ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს, ირეპორტალისკ ვებსაიტიდან ავტომატურად, მარტივად და დროულად მოვიპოვოთ ისეთი ცვლადები, როგორცაა საწარმოს დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, კატეგორია, ძირითადი საქმიანობის სფერო, სამართლებრივი კატეგორია, რეგისტრაციის წელი, მფლობელის გინაობა, აუდიტორი, და სხვა.

#### *საქართველოში მონაცემების მოპოვების საუკეთესო გზის შერჩევა*

**ცხრილი 1** გვიჩვენებს საქართველოში მოქმედი ბიზნეს ერთეულების შესახებ ინფორმაციის მოპოვების არსებული ოთხივე გზის გამჭვირვალობის შეფასებას გამჭვირვალობის კრიტერიუმების მიხედვით.

მონაცემების მოპოვების ოპტიმალური გზის შესარჩევად, გავანალიზოთ ოთხივე არსებული გზა. პირველი გზა - მონაცემების ხელით ამოღების გზა - გულისხმობს ზედმეტად ბევრ „სამუშაო ბლოკს“, რადგან ამ შემთხვევაში თითოეული მონაცემის ხელით კოპირება არის საჭირო, რაც სრული ინფორმაციის საანალიზო ფორმატში ხელმისაწვდომობის მოთხოვნას ვერ ასრულებს. ამ გზის არჩევისას, ანალიტიკოსს მოუწევდა დაახლოებით 103,800 კლიკის განხორციელება (copy-paste-ის ჩათვლით), რაც კოლოსალური შრომაა და ინფორმაციის დროულად მიღების შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს, შეცდომების ალბათობას კი ზრდის. შესაბამისად, ინფორმაციის ამოღების აღნიშნული გზა ვერ აკმაყოფილებს დროულობისა (გამჭვირვალობის მე-5-ე პუნქტი) და ხარისხიანობის (გამჭვირვალობის პირველი პუნქტი) კრიტერიუმებს.

პროგრამირების (Python-ის) მეშვეობით ინფორმაციის ამოღების შემთხვევაში, ინფორმაცია სრულია, თუმცა პროცესი რთულია. ასევე, ხარვეზების ალბათობას ზრდის და მუშაობის პროცესს ართულებს ის ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგებების დიდი უმრავლესობა ქართულ ენაზეა მოცემული, მაშინ როდესაც, Python-

ის პროგრამირების ენა ძირითადად ინგლისურ ტერმინოლოგიის ბიბლიოთეკასთან მუშაობს. ასევე, ყურადღასაღებია ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგებების ნაწილი დასკანერებულია და პროგრამა ვერ ახერხებს მათი შინაარსის აღქმას.

**ცხრილი 1: მონაცემების ამოღების გზების ანალიზი გამჭვირვალობის რეაქტივების მიხედვით**

|                             | რეპორტალის ვებსაიტი        | რეპორტალის ვებსაიტი                                    | ზედამხედველობის სამსახური              | რეპორტალის ვებსაიტი   |
|-----------------------------|----------------------------|--|--|---|
| გამჭვირვალობის მოთხოვნები   | მონაცემების ხელით გამოტანა | ფინანსური ანგარიშგებების Python-ით გადმოწერა / ანალიზი | ციფრული ფორმების ოფიციალურად გამოთხოვა | აღწერილობითი ინფორმაციის Link Klipper-ითა და ScrapeStorm-ით ამოღება |
| 1. ხარისხიანი               | *                          | ✓  | *                                      | ✓   |
| 2. სრული                    | ✓                          | ✓  | *                                      | *   |
| 3. ხელმისაწვდომი და პოვნადი | *                          | *  | ✓                                      | ✓   |
| 4. გასაგები                 | ✓                          | ✓  | *                                      | ✓   |
| 5. დროული                   | *                          | ✓  | ✓                                      | ✓   |
| 6. ღირებული და გამოყენებადი | ✓                          | *  | ✓                                      | ✓   |
| 7. დეტალიზებული             | ✓                          | ✓  | *                                      | *   |
| 8. შესადარისი               | ✓                          | ✓  | ✓                                      | ✓   |

წყარო: საკუთარი

რაც შეეხება მონაცემების ამოღების მესამე გზას, ზედამხედველობის სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვა მარტივი და დროულია, თუმცა ინფორმაცია არასრულია, რადგან იგი თითქმის არ მოიცავს არაფინანსურ ნაწილს. ასევე, მესამე გზის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია არასანდოა, რადგან არ ხდება მისი მკაცრად გადამოწმება.

მონაცემების ამოღების მეოთხე გზას, მესამე გზისგან განსხვავებით, შეუძლია ამოიღოს არაფინანსური ინფორმაცია სანდო გზით. ამიტომაც, წინამდებარე კვლევაში მესამე და მეოთხე გზები - ზედამხედველობის სამსახურიდან ციფრული ფორმების გამოთხოვა და ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით არაფინანსური ინფორმაციის ამოღება - გაერთიანებულია. კერძოდ, ოპტიმალურ გზად მიგვაჩნია ფინანსური ანგარიშგებების სამინისტროდან გამოთხოვა, ხოლო ზოგადი ინფორმაციის ხელოვნური ინტელექტის ტექნიკებით ამოღება. აღნიშნული ორი წყაროს გაერთიანებას ინფორმაციის სისრულესთან მივყავართ. წინამდებარე კვლევა აღნიშნულ გზას ინფორმაციის მოპოვების ოპტიმალურ გზად მიიჩნევს და ინფორმაციის ამოღების სირთულეს სწორედ ამ გზისთვის აფასებს.

*მონაცემებზე წვდომის სირთულის გაზომვის მეთოდოლოგია*

“რეპორტალის” ვებსაიტიდან ფინანსური ინფორმაციის პროგრამულად მოპოვების სირთულე შესაძლოა შეფასდეს მონაცემების მოსაპოვებლად განვლილი გზის (ბიჯების) სირთულის შეფასებით. ინფორმაციული ტექნოლოგიის ლიტერატურაში პროგრამის სირთულის შეფასების რამდენიმე გზა არსებობს. მათ შორის გავრცელებულია პროგრამის სტრუქტურული სირთულის შეფასების მეთოდი [Adamov and Richter 1990; Darcy et al. 2005].

მონაცემების ციფრულად მოპოვების სირთულის ზუსტი შეფასებისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს პროცესის სტრუქტურული სირთულის გაზომვის სტანდარტიზებული საზომი. წინარე კვლევები ხშირად მონაცემთა ავტომატიზებულად მოპოვებისთვის გამოყენებული პროგრამის სტრუქტურული სირთულის შესაფასებლად McCabe (1976)-ის ციკლომატური სირთულის რიცხვს იყენებენ. პროგრამის ციკლომატური სირთულე ინფორმაციის ამოღების სირთულის შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია. ციკლომატური სირთულის რიცხვი შესაძლებელს ხდის დავადგინოთ პროგრამის სტრუქტურული სირთულის შესადარი რიცხვითი შეფასება. McCabe (1976)-ის ციკლომატური რიცხვი ითვლის გადაწყვეტილების

ლოგიკის რაოდენობას პროცესში. ის არის 1-ის ტოლი სტრუქტურული პროგრამისთვის და 1-ზე მეტის ტოლი არა სტრუქტურული პროგრამისთვის.

McCabe (1976)-ის ინდექსის ნაკლი ის გახლავთ, რომ მარტივად (დავუშვათ 5 ნაბიჯში) და რთულად (დავუშვათ 100 ნაბიჯში) მოპოვებადი ინფორმაცია ერთნაირი სირთულის მქონედ აღიქმება, თუკი პროგრამის სტრუქტურული სირთულე თანაბარია [Shepperd and Ince 1994; Fenton and Neil 1999]. აღნიშნულის გამო, მოცემული ინდექსისგან განსხვავებით, წინამდებარე კვლევა ითვლის გადადგმული ნაბიჯები (კლიკების) რაოდენობას. აღნიშნული მიდგომა დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად მარტივად/რთულად შეუძლია მომხმარებელს საქართველოს კერძოს სექტორის მოთამაშეთა ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია მოიპოვოს.


## შედეგები

**დიაგრამა 1-ზე** გამოსახულია “რეპორტალის” ვებსაიტიდან ხელოვნური ინტელექტის ტექნიკების გამოყენებით მონაცემების მოპოვების პროცესის სამუშაო ნაკადის ამსახველი დიაგრამა. დიაგრამაზე მოცემულია “რეპორტალის” ვებსაიტზე შედგენისა და იქ მოცემული საწარმოების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების განმარტებული სქემა. სქემა მოიცავს პროგრამის ინციალიზების ეტაპს, “რეპორტალზე” სუბიექტების გვერდების ღირებულების მოპოვების ეტაპს, სუბიექტების ზოგადი ინფორმაციის (პროფილის) მოპოვების ეტაპს, სუბიექტების ფინანსური ანგარიშგებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ეტაპს და სუბიექტების აუდიტის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ეტაპს.


მოცემული ხუთი ეტაპიდან, პირველი ეტაპი მოიცავს 7 ბლოკს, ანუ ნაბიჯს; მეორე - 5 ბლოკს, რომელთაგან თითოეული მეორდება 66-ჯერ, ე.ი., ჯამში, 330 კლიკს; მესამე - 8 ნაბიჯს; მეოთხე - 14 ნაბიჯს; მეხუთე - 6 ნაბიჯს. ჯამში გვაქვს 365 ნაბიჯი. მოცემული ხუთი ეტაპიდან ყველაზე შრომატევადია მესამე ეტაპი. სუბიექტების გვერდების ღირებულების მოპოვება საჭიროა, რათა სქრეიფსტორმის პროგრამამ იმუშაოს და შეასრულოს შესაბამისი ბრძანება. თავად სქრეიფსტორმს არ ძალუძს სუბიექტების გვერდების ღირებულებიდან გამკლავება, რადგანაც “რეპორტალის” ვებსაიტზე იმ გვერდების ვებ-მისამართები ერთმანეთისგან არ განსხვავდება, სადაც 10-10 საწარმოს ინფორმაციაა მოცემული. აღნიშნული საჭიროებს ღირსეული ფერის გამოყენების აუცილებლობას, რათა მოხდეს საწარმოთა ცალკეული ვებ-მისამართების შესაბამისი ღირებულების დაგენერირება. მთლიანობაში, მესამე საფეხურის შრომატევადობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ თითო გვერდი გვთავაზობს მხოლოდ 10 საწარმოს ინფორმაციას. მომხმარებელს არ აქვს საშუალება, თავად აირჩიოს, ერთ გვერდზე გამოშუქებული იქნება 10, 20, 50, 100, თუ 500 საწარმო. მაგალითად, ერთ გვერდზე 500 საწარმოს გამოშუქების შემთხვევაში, მესამე ეტაპზე საჭირო ნაბიჯთა რაოდენობა 330-ის ნაცვლად იქნებოდა 10 (5 ნაბიჯი გამრავლებული 2-ზე, 66-ის ნაცვლად<sup>94</sup>). აღნიშნული მიუთითებს “რეპორტალის” ვებსაიტზე შესაბამისი ფილტრაციის ფუნქციის დამატებაზე. ფილტრაციები მოცემულია სუბიექტის დასახელება/საიდენტიფიკაციო კოდის, სამართლებრივი ფორმისა და კატეგორიის მიხედვით (რომელთაგან კატეგორიის ფილტრაცია უმოქმედოა და ვერ ხერხდება “ყველას“-ს არჩევა), ხოლო არ არსებობს საწარმოთა გამოსაშუქებელი რაოდენობის ფილტრი.

<sup>94</sup> აღსანიშნავია, რომ დროდადრო, რადგანაც “რეპორტალის” ვებსაიტი თავს უყრის უფრო და უფრო მეტი საწარმოს ინფორმაციას, გასამეორებელი ნაბიჯების რაოდენობაც გაიზრდება. ასე მაგალითად, თუკი საჭირო იყო მოცემული ხუთი ბლოკის 66-ჯერ გამეორება დაახლოებით 660 საწარმოს არსებობის პირობებში, დღეის მდგომარეობით, რადგანაც საიტზე მოცემულია 3500-ზე მეტი საწარმო, საჭირო იქნება 350-ზე მეტჯერ მოცემული 5 ბლოკის გამეორება.

დიაგრამა 1: რეპორტალის ვებსაიტიდან მონაცემების მოპოვების სამუშაო ნაკადი



დიაგრამა 1: (გაგრძელება)



წყარო: საკუთარი

თუკი ზედამხედველობის სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია იქნებოდა საიმედო და ასევე არაფინანსური ინფორმაციის მომცველი, შესაბამისად გაქრებოდა არაფინანსური ინფორმაციის დამატებით ხელფონური ინტელექტის ტექნიკების მეშვეობით ამოღების საჭიროება. აღნიშნულის არ არსებობის პირობებში, მეორე საუკეთესო ვარიანტი არაფინანსური ინფორმაციის მარტივად ამოღების შესაძლებლობა. ამ უკანასკნელის მისაღწევად კი საჭიროა "რეპორტალის" ვებ-საიტისთვის დამატებითი ფუნქციების - ფილტრაციის, ფანჯრების პარალელურ რეჟიმში გახსნის შესაძლებლობისა და თითოეულ ვებ-გვერდისთვის პერსონიფიცირებული მისამართის მინიჭების - დამატება.

შედგები აჩვენებს, რომ საჭიროა ბევრი კლიკი (ნაბიჯი), რათა საჭირო ინფორმაციის ამოღება მოხდეს.<sup>95</sup> შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭირო ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ამოღებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რაც ინფორმაციის გამჭვირვალობას აბრკოლებს. რეკომენდირებულია ინფორმაციის მოპოვების გასამარტივებლად საიტის რეორგანიზება, რადგან ირღვევა ინფორმაციის გამჭვირვალობის მახასიათებელი: „ხელმისაწვდომობა და პოვნადობა“. მაგ., საიტისთვის ფილტრაციის ფუნქციის დამატება - ფილტრაცია რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელმა თავად აირჩიოს ერთ გვერდზე გამოისახოს 10, 50, 100, თუ 500 საწარმოს ინფორმაცია - დათვლილი ნაბიჯების რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებს.

წინამდებარე კვლევაში მონაცემების მოპოვების შერჩეული გზის გამოყენების ნაკლოვანებაა პროცესში გადადგმული ნაბიჯების დიდი რაოდენობა, თუმცა მისი დადებითი მხარეა ავტომატიზაციის მაღალი დონე და ადამიანური რესურსის ნაკლები ჩართულობა, რაც მონაცემების მოპოვების სხვა არსებულ გზებთან შედარებით ნაკლებ ორგანიზაციულ სირთულესთან ასოცირდება.

### დასკვნა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს 2016 წლის კანონის ფარგლებში, ქვეყნის ისტორიაში პირველად, საქართველოს კერძო სექტორის ბიზნეს ერთეულებს საკუთარი წლიური ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროება მოეთხოვათ [Law 2016, Article 9]. 2018 წლის 1 ოქტომბრისთვის ფინანსური ინფორმაციის წარდგენა მოეთხოვათ პირველი და მეორე კატეგორიისა და საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს - ჯამში დაახლოებით 700 ბიზნეს ერთეულს; 2019 წლის 1 ოქტომბრისთვის - მესამე კატეგორიის დაახლოებით 3.000 ბიზნეს ერთეულს; ხოლო 2021 წლის 1 ოქტომბრისთვის - მეოთხე კატეგორიის დაახლოებით 80.000 ბიზნეს ერთეულს.

არსებული შეფასებების თანახმად, მიმდინარე ცვლილებები უპრეცედენტოა საქართველოსთვის. მთლიანობაში კი, ინფორმაციის საჯაროობის მსგავსი მასშტაბურობა ევროპისთვისაც უცხო ხელია. თუმცა, ნიშნავს კი ბიზნეს ერთეულების ფინანსური ინფორმაციის საჯაროობა ინფორმაციის გამჭვირვალობას? კვლევების თანახმად, საწარმოების მხრიდან ფინანსური ანგარიშგებების საჯაროდ გამოქვეყნება თავისთავად გამჭვირვალობაზე არ მიუთითებს. თეორია გვეუბნება, რომ გამჭვირვალობა, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, გამოქვეყნებული ინფორმაციის ამოღების სირთულეზეა დამოკიდებული. წინამდებარე კვლევა ზომავს საქართველოს კერძო სექტორის ბიზნეს ერთეულების ინფორმაციის ამოღების სირთულეს.

კვლევის ფარგლებში, გაანალიზებულ იქნა საქართველოს კერძო სექტორის მოთამაშეთა ინფორმაციის ამოღების ოთხი გზა: ა) "რეპორტალის" ვებ-საიტი-

<sup>95</sup>დამატებით დავთვალეთ რა McCabe (1976)-ის პროგრამის ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის ინდექსი, შედეგები არ მიუთითებს, რომ ინფორმაციის ამოღებისათვის საჭირო პროგრამა სტრუქტურულად რთულია. თუმცა, აღნიშნული ინდექსი ვერ ასახავს ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო დროითი და შრომითი რესურსის საჭიროებას.

დან ინფორმაციის ხელით ამოღების გზა; ბ) პითონის პროგრამირების ენის მეშვეობით ფინანსური ანგარიშგებების მოპოვებისა და დამუშავების გზა; გ) ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურიდან ფინანსური ინფორმაციის ოფიციალურად გამოთხოვის გზა; და დ) ხელოვნური ინტელექტის ტექნიკების გამოყენებით ირეპორტაჟისკ ვებ-საიტიდან საწარმოთა აღწერილობითი და ზოგადი ინფორმაციის მოპოვების გზა. ფინანსური ინფორმაციის მოპოვების ყველაზე მარტივ გზად მესამე გზა იქნა მიჩნეული. თუმცა, ამ შემთხვევაში ინფორმაციის არასისრულის გამო, ინფორმაციის მოპოვების ოპტიმალურ გზად შერჩეულ იქნა მესამე და მეოთხე გზების გაერთიანება - ფინანსური ინფორმაციის გამოთხოვა ზედამხედველობის სამსახურიდან, ხოლო არაფინანსური ინფორმაციის გადმოწერა ხელოვნური ინტელექტის ტექნიკების გამოყენებით “რეპორტაჟის” ვებსაიტიდან. საბოლოოდ კი, წინამდებარე კვლევა აკვირდება ოპტიმალური გზის მისაღწევად გადასადგმელი ნაბიჯების რაოდენობას. იგი ითვლის გადაწყვეტილების რაოდენობას პროცესში. შეფასებამ ცხადყო, რომ საქართველოში მოქმედი ბიზნეს ერთეულების ფინანსური მონაცემების მოპოვების სირთულე ერთი შეხედვით ხელმისაწვდომ ფინანსურ ინფორმაციას არაგამჭვირვალეს და ძნელად გასაანალიზებელს ხდის. დაახლოებით 600 ბიზნეს ერთეულის არაფინანსური ინფორმაციის ამოღებისთვის საჭიროა 365 კლიკის განხორციელება. ხელით ამ მონაცემების გადმოწერა დაკავშირებული იქნებოდა ბევრად უფრო მეტ დროით დანახარჯთან და კლიკ ნაბიჯთან.

შედგენი მიგვითითებს, რომ ინფორმაცია რთულად მოსაპოვებელია და მისი ამოღება მოითხოვს დიდ ძალისხმევას. რეკომენდირებულია ინფორმაციის მოპოვების გასამარტივებლად ზედამხედველობის სამსახურის ვებსაიტის რეორგანიზება და ინფორმაციის გასაჯაროების პროცესის დახვეწა მარეგულირებლის მხრიდან.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Adamov, R., & Richter, L. (1990). A proposal for measuring the structural complexity of programs. *Journal of Systems and Software*, 12(1), 55-70.
2. Bovens, M. (2007). Analysing and assessing accountability: A conceptual framework 1. *European law journal*, 13(4), 447-468.
3. Bovens, M., Schillemans, T., & Goodin, R. E. (2014). Public accountability. *The Oxford handbook of public accountability*, 1-22.
4. Cucciniello, M., Nasi, G., & Valotti, G. (2012). *Assessing transparency in government: rhetoric, reality and desire*. Paper presented at the 2012 45th Hawaii International Conference on System Sciences.
5. Darcy, D. P., Kemerer, C. F., Slaughter, S. A., & Tomayko, J. E. (2005). The structural complexity of software an experimental test. *IEEE Transactions on software Engineering*, 31(11), 982-995.
6. Dawes, S. S. (2010). Stewardship and usefulness: Policy principles for information-based transparency. *Government Information Quarterly*, 27(4), 377-383.
7. Drew, C. H., & Nyerges, T. L. (2004). Transparency of environmental decision making: A case study of soil cleanup inside the Hanford 100 area. *Journal of Risk Research*, 7(1), 33-71.
8. Fenton, N. E., & Neil, M. (1999). Software metrics: successes, failures and new directions. *Journal of Systems and Software*, 47(2-3), 149-157.
9. Gegeshidze, E. (2019). Problems and Roles of Interpretation of Financial Information at Reportal.ge. *Caucasus University Journal (Conference Proceedings)*, 9(1), 191-192.
10. Group, O. G. W. (2007). Principles of open Government data. *OpenGovData.org*.



11. Jensen, M. C., & Meckling, W. H. (1976). Theory of the firm: Managerial behavior, agency costs and ownership structure. *Journal of financial economics*, 3(4), 305-360.
12. Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing (2016).
13. Lee, G., & Kwak, Y. H. (2011). *Open government implementation model: a stage model for achieving increased public engagement*. Paper presented at the Proceedings of the 12th Annual International Digital Government Research Conference: Digital Government Innovation in Challenging Times.
14. Lee, G., & Kwak, Y. H. (2012). An open government maturity model for social media-based public engagement. *Government Information Quarterly*, 29(4), 492-503.
15. Lourenço, R. P. (2015). An analysis of open government portals: A perspective of transparency for accountability. *Government Information Quarterly*, 32(3), 323-332.
16. McCabe, T. J. (1976). A complexity measure. *IEEE Transactions on software Engineering*(4), 308-320.
17. OECD. 2007. *Open Government Data*, [https://public.resource.org/8\\_principles.html](https://public.resource.org/8_principles.html).
18. Pina, V., Torres, L., & Royo, S. (2007). Are ICTs improving transparency and accountability in the EU regional and local governments? An empirical study. *Public administration*, 85(2), 449-472.
19. Pirveli, E. (2019a). Assessment of the Ongoing Accounting and Audit Reform in Georgia: Regulatory Base, Enforcement Level and the Quality of Financial Statements. *Caucasus University Journal (Conference Proceedings)*, 9(1), 8-27.
20. Pirveli, E. (2019b). საქართველოში მიმდინარე ბუღალტერიისა და აუდიტის რეფორმა: პირველი შეფასება. *Forbes Georgia*, 9(2), 82-85.
21. Pirveli, E. (forthcoming). *Earnings Quality in Georgia: First Evidence from the Private Sector*.
22. Pirveli, E., & Papava, V. (forthcoming). საქართველოს ეკონომიკური მოდელის ანალიზი: პირველი დაკვირვება ფირმის დონის ინფორმაციაზე.
23. Rodriguez Bolivar, M. P., Caba Perez, C., & Lopez Hernandez, A. M. (2007). E-Government and public financial reporting: the case of Spanish regional governments. *The American Review of Public Administration*, 37(2), 142-177.
24. Shepperd, M., & Ince, D. C. (1994). A critique of three metrics. *Journal of Systems and Software*, 26(3), 197-210.
25. Turilli, M., & Floridi, L. (2009). The ethics of information transparency. *Ethics and Information Technology*, 11(2), 105-112.

**Erekle Pirveli**

*PhD in Economics, Professor*

*Caucasus School of Business, Caucasus University, Georgia*

## **(UN)-TRANSPARENCY WITHIN GEORGIAN PRIVATE SECTOR: MEASURING THE COMPLEXITY OF DATA ACCESS**

### **Expanded Summary**

The Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing 2016, through increased financial transparency, aims to promote country's economic growth [Law 2016, Article 1.2]. For the first time in the history of Georgia, the private sector entities are obliged to publicly disclose their financial statements. First and second category entities, plus the Public Interest Entities (in sum about 700 entities), had to publish their audited IFRS financial statements by October 1<sup>st</sup>, 2018; about 3.000 entities of the third category had to submit their financial state-

ments by October 1<sup>st</sup>, 2019; and about 80.000 entities of the IV category have to do so by October 1<sup>st</sup>, 2021.

According to existing evaluations, the ongoing changes are unprecedented in country's history. Though, the question remains: does a mandatory public disclosure of financial information promote financial transparency? According to prior literature, financial statements' public disclosure is necessary but insufficient criterion to promote information transparency. The theory says that financial information transparency depends on different criteria including the complexity of data access. Public disclosure of Georgian private sector entities' financial statements at the Ministry of Finance's official website of 'Reportal', due to the sophistication levels of accessing this information, might be hindering the reform's aim of promoting economic growth. In this paper, we study how easy/complex it is to obtain publicly disclosed financial information.

To learn whether financial transparency actually is at place in Georgia, we base our analysis on a sample of I and II category enterprises plus the Public Interest Entities, who have already reported their financial statements of 2017 to the Ministry of Finance of Georgia – overall about 600 entities. We first disentangle and analyze four theoretical ways of financial information obtainment in Georgia: a) financial and non-financial information of entities to be hand by hand collected from the 'Reportal' website; b) the financial statements to be automatically downloaded and analyzed via a programming language (e.g., Python); c) the major four financial statements' information in a systematized way to officially be withdrawn from the Ministry of Finance; and d) companies' descriptive data to be automatically obtained from 'Reportal' website by the use of AI techniques (Link Klipper and ScrapeStorm). As, next we formulate an 'optimal' way of information obtainment which is a mix of third and fourth ways: financial information to be officially withdrawn from the Ministry of Finance and non-financial information to be automatically retrieved via AI techniques. Finally, we count the number of necessary steps based on the revealed 'optimal' way of data obtainment.

Complexity of financial information access can be measured by counting the number of steps necessary to obtain the information. The results reveal that data access in Georgia requires considerable efforts. To obtain the necessary financial and non-financial data of about 600 entities requires 365 steps. The result impedes general public's access to the necessary information and hinders the OECD Open Government Data's one of the general principles of data openness: "Access and Availability". Based on this finding, we recommend the Ministry of Finance to re-organize the website and to facilitate easier financial information access for the general public.

The very first reason of sophisticating the data access process in Georgia, is that the requested numerical forms from the supervisory body of the Ministry of Finance of Georgia is somehow incomplete and imprecise. It is recommended that the Ministry of Finance heightens its control mechanism regarding the correctness and completeness of (especially) non-financial information, not subject of audit verification and thus subject of technical mistakes. E.g., more than 10% of the entities incorrectly indicate the scale of their disclosure (the amounts are given in 1 GEL or in 1000 GEL). Also, regarding, the non-financial data details, the information does not include all the variables (e.g., the information about a category an entity belongs to). Although given the three variables based on which the category definition is provided, these variables are overwhelmingly infilled. Finally, the website is rather un-user-friendly – e.g., the filtration functions either do not exist or work poorly. Enabling the user to herself/himself decide how many entities to be shown on each page (10, 50, 100, 500, etc) is highly recommended. Addition of the filtration function would decrease the number of steps required to access the data. To add a function of opening different entity pages in different windows is further recommended. Even though the website is named to be still under construction, we need to point out that it's a third year since its launch. The website, is often out of order. These deficiencies lead us to additionally use other sources of information, ultimately sophisticating the data access, and thus hindering information transparency.

*ნინო ფარესაშვილი*  
ივანე ჯავახიშვილი სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

### კონფლიქტების მართვის უმაღლესი პერსონალის ძეგვანა

**რეზიუმე.** დღეს, ცვლილებები თითოეული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ცვლილებები მიმდინარეობს ყველგან, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გარემოში. იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გარემო ფაქტორები ვავლენას ახდენს ორგანიზაციებზე, შესაბამისად, მათში მიმდინარე ცვლილებებზე შეაღწევს სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის ორგანიზაციებში. მეორე მხრივ, ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე დინამიკურ პროცესებს მუდმივად თან სდევს ადეკვატური ცვლილებები. კონფლიქტი კი ცვლილებების თანმდევია. როგორც მრავალი კვლევიტა დადასტურებული, ის ვავლენას ახდენს პერსონალის ქცევაზე. სწორედ ამიტომ, კონფლიქტების მართვის პროცესი მენეჯერებისთვის საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს და სერიოზული გამოწვევაა მათთვის. ორგანიზაციებში ვანასხვავებენ სხვადასხვა ტიპის კონფლიქტს. პერსონალის ქცევაზე ვავლენით, კონფლიქტი ზემოქმედებს ორგანიზაციაში არსებულ ურთიერთობებზე, რაც საბოლოო შედეგებზე აისახება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მოხდეს კონფლიქტების ისეთი მეთოდით მართვა, რაც მოახდენს პერსონალის ქცევის ფორმირებას ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. კონფლიქტის ოპტიმალური მართვისათვის საჭიროა ვანალიზდეს მისი გამოწვევი მიზეზები, რასაც ეძღვნება წინამდებარე სტატია.

**საკვანძო სიტყვები:** კონფლიქტის მიზეზები, კონფლიქტის მართვა, პერსონალის ქცევა, ემოციური მდგრადობა, შრომითი კმაყოფილება.

### შესავალი

განსახილველი საკითხებისადმი თანამედროვე მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ დასახული მიზნების მისაღწევად, აუცილებელია მენეჯერებმა ეფექტიანად მართონ კონფლიქტები. ასევე, ვასათვალისწინებელია ის ვარემოება, რომ კონფლიქტის რაღაც დონემდე შენარჩუნება აუცილებელია ორგანიზაციის განვითარებისათვის. მოცემულ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარის ლ. კარტაშოვის აზრით, კონფლიქტები აუცილებელი მოვლენაა, რადგანაც ახალი იდეების ნაკლებობა, ძველი ჩვევები და მეთოდები, ამუხრუჭებს ორგანიზაციის განვითარებას [Lukin, 2007].

კონფლიქტის წარმოშობის ძირითად წყაროდ შეიძლება განვიხილოთ ვანსხვავება ფასეულობებში, რწმენაში, შეხედულებებსა და მიზნებში. ადამიანებს ვანინათ ვანსხვავებული მსოფლმხედველობა, ხედვები, ფასეულობები, ფიზიკური თუ პროფესიული უნარები. ვარდა ამისა, ისინი სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთნებიან და მუდმივად იბრძვიან ძალაუფლებისათვის, სტატუსისა და დემოკრატიული პრინციპებისთვის. ვარდა ამისა, სამუშაო ძალის მრავალფეროვნების პირობებში, ასევე, ადგილი აქვს თაობათაშორის კონფლიქტებს, რაც არც თუ ისე იშვიათია და რაც ვანპირობებულა ახალგაზრდა და ხანდაზმული თანამშრომლების ვანსხვავებული მსოფლმხედველობით, სხვადასხვა მოლოდინით და ვანსხვავებული სამუშაო პრაქტიკით. საზოგადოების მორალური პრინციპების ცვლილება და სოციალური წნეხის ზრდა, წარმოშობილ პრობლემებსა და მისი ვადაჭრის გზებს უფრო აქტუალურს ხდის [Paresashvili, A Conflict-Eternal and Inevitable

Process of Societys Development , 2018]. აღნიშნული ფაქტორები და რესურსებზე შეზღუდული წვდომა განაპირობებს კონფლიქტურ სიტუაციებს.

კონფლიქტების მართვის სწორი გზის არჩევით შესაძლებელი ხდება კონფლიქტი დასრულდეს არა დესტრუქციული, არამედ კონსტრუქციული შედეგებით, ხოლო პერსონალის ქცევის ფორმირება განხორციელდეს ისე, როგორც ეს საჭიროა ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად [Paresashvili & Maisuradze, Mechanisms of organization conflict resolution in Georgia, 2017)]. ასეთი კონფლიქტი ხელს შეუწყობს პროგრესულ ცვლილებებს და სოციალური სისტემის განვითარებას უფრო დინამიკურს გახდის.

სოციალურ-ეთიკური მიდგომის მიხედვით, კონფლიქტის საფუძველი შეიძლება იყოს ადამიანის მოთხოვნილებები. შესაბამისად, გამოიყოფა მოთხოვნილებების კონფლიქტი, რომლის მიხედვითაც, იმის გამო, რომ სამყაროში არსებული რესურსები შეზღუდული რაოდენობითაა, რაიმეს საჭიროებას ადამიანი კონფლიქტურ სიტუაციამდე მიჰყავს [Coleman, Deutsch, & Eric, 2014, pp. 3-17]. სოციალური მიმართულების თვალსაზრისით, კონფლიქტი ურთიერთობის ფორმაა, რომელიც სუბიექტური თუ ობიექტური წინააღმდეგობის საფუძველზე წარმოიქმნება [Дмитриев, 2002].

ფსიქოლოგიური განზომილების მიხედვით, კონფლიქტი ესაა შიდა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როცა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოტივაციისა და ტენდენციების მქონე ადამიანის ქმედება კონკრეტულ საკმიანობასთან დაკავშირებით ერთდროულად იწყება. მას ემოციურ დაძაბულობასთან მიეყვარება [Гришина, 2008]. მართვის მეცნიერება კონფლიქტს განიხილავს, როგორც განუხორციელებელ ოპტიმალურ ალტერნატივას ორგანიზაციის შიგნით, რომელსაც ადვილად შეეძლო ყველა მხარის დაკმაყოფილება [Кошелев, 2007, pp. 14-16].

საკმაოდ მნიშვნელოვანია კონფლიქტების მართვის პროცესში ქმედითუნიანი მექანიზმების გამოყენება, პერსონალის ქცევის მართვის ოპტიმიზაციისა და მაღალი შედეგების მისაღწევად. ორგანიზაციაში, კონფლიქტების მართვის პროცესში, მენეჯერთა მუშაობის სირთულე, ასევე, უკავშირდება პერსონალთა მრავალფეროვნებას. ზოგიერთი პერსონალი სიჩუმით, ზოგიერთი კი აგრესიული ხასიათით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია როგორც პიროვნული ფაქტორები, ასევე, მისი სხვა თანამშრომლებთან დამოკიდებულება, ურთიერთქმედება და სხვადასხვა პროცესზე რეაგირების ხარისხი. თუმცა, ყოველივე ეს, ადამიანების ემოციური ხასიათიდან გამომდინარეობს [Paresashvili, Importance of Emotional Intelligencein the Tourism Industry, 2017)].

სამუშაო გარემოში თანამშრომელთა ემოციები და გუნება-განწყობა მენეჯერთა მხრიდან საკმაოდ ყურადსაღებია, რადგან ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამშრომელთა სამუშაო შედეგებზე, რადგან დადებითი ემოციების მქონე თანამშრომლები უფრო ეფექტიანად ასრულებენ თავიანთ სამუშაოს. ემოციებსა და გუნება-განწყობის ანალიზისთვის სამი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ტერმინი გამოიყენება: აფექტი, ემოციები და გუნება-განწყობა. აფექტი უფრო ზოგადი ტერმინია, რომელიც მოიცავს ემოციებისა და გუნება-განწყობების ფართო სპექტრს [Barsade & Gibson, 2007]. ემოციები - ვინმესადმი ან რაიმესადმი მიმართული, ინტენსიური გრძნობების ერთობლიობაა [11]. გუნება-განწყობა, ემოციასთან შედარებით, ნაკლებად ინტენსიური გრძნობაა, რომელიც, ხშირად, რაიმე კონკრეტული სტიმულის გარეშე წარმოიშობა [15].

როგორც აღვნიშნეთ, კონფლიქტის მიზეზი ორგანიზაციაში შეიძლება გახდეს მწირი რესურსები და მასზე ხელმისაწვდომობის ხარისხი. მენეჯერებმა, დადებითი შედეგების მიღების მიზნით, უნდა დაადგინონ ხარჯების შესაძლო გაზრდის აუცილებლობა, შეადარონ არსებული შედეგები მოსალოდნელ შედეგებს და გადაწყვეტილების მიღებამდე, დეტალურად უნდა გაანალიზონ პროცესები. თუ შე-

დეგები არც თუ ისე სახარბიელო იქნება, უნდა უარყონ ხარჯების ზრდის შესახებ გადაწყვეტილება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაზრდილი ფინანსური რესურსები არცთუ ისე მაღალ შედეგებს გვაძლევს პერსპექტივაში. კონფლიქტური ურთიერთობის მოგვარების ერთ-ერთი ძალისმიერი მეთოდებია - ბრძანება, მუქარა, შანტაჟი, ტყუილი. ნორმატიული საშუალებებია: კანონის ფარგლებში ძალაუფლების გამოყენება, როგორცაა სასამართლოსთვის მიმართვა, უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის დასახმარებლად მიმართვა. ასევე, კოოპერაციული საშუალებები - პრობლემის განხილვა, მოლაპარაკებები, საუბარი, სხვა მხარის ინტერესების გაგება, ინფორმირება, გაერთიანებული ძალისხმევა, კომპრომისი, გადაწყვეტილების მიღება [Roche, Teague, & Colvin, 2014, pp. 211-267]. აღნიშნულთან ერთად, ზოგი კონფლიქტი საჭიროებს კონფრონტაციასა და მოლაპარაკებებს, რაც თავის მხრივ, მოითხოვს გამოცდილ შუამავალს და მოლაპარაკებების კარგ დაგეგმვას. აღნიშნული პროცესი მოიცავს მხარეთა გულახდილ საუბარს პრობლემის შესახებ, რაც ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებით სრულდება [Singh, 2008, pp. 112-124].

მენეჯერებმა, კონფლიქტის შინაარსის, სიტუაციური ფაქტორების და კონფლიქტის მონაწილეების მოსალოდნელი ქცევის გათვალისწინებით, თავად უნდა შეარჩიონ კონფლიქტის მოგვარების ოპტიმალური საშუალება. ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა, ცხადია, გავლენას ახდენს მის წარმატებაზე [Paresashvili & Okruashvili, Modern Problems to Form Human Capital in Georgia, 2017)]. ორგანიზაციის მართვის ნაწილია კონფლიქტების ეფექტიანი მართვა. როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა მენეჯერის მიერ კონფლიქტის მართვის პროცესს შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. დღეისათვის, ორგანიზაციულ კონფლიქტებზე არსებობს უცხოელი და ქართველი მკვლევარების მიერ შესრულებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც გაანალიზებულია მთელი რიგი საკითხები კარიერული განვითარების თემაზე [PARESASHVILI, NINO; GIORGOBIANI, MAIA; NIKVASHVILI, MAIA; PIRTSKHALAISHVILI, DEA; KHARADZE, NATALIA;., 2019], სადაც ხაზგასმულია ორგანიზაციაში კონფლიქტების მართვის უმნიშვნელოვანესი როლი [Paichadze, Nugzar; Kharadze, Natalia; Paresashvili, Nino; Giorgobiani, Maia; Nikvashvili, Maia; Pirtskhalaisvili, Dea;., 2019]. თუ გავითვალისწინებთ რომ საზოგადოება დღევანდელ მულტიკულტურულ გარემოში მუდმივად განიცდის ახალ გამოწვევებს და ცვლილებებს, ამ გამოწვევას ინტენსიურად სჭირდება კონტროლი და ახალი გადაწყვეტილებების მოძიება. იგი განსაკუთრებით აქტუალურია ორგანიზაციული ქცევის ასპექტით, ვინაიდან ორგანიზაციის შიგნით პერსონალის ქცევა გავლენას ახდენს ორგანიზაციის საბოლოო შედეგებზე [KHARADZE, NATALIA; PAICHADZE, NUGZAR; PARESASHVILI, NINO; PIRTSKHALAISHVILIDEA;., 2019]. ამის გამო, ამ პრობლემაზე კვლევა არ კარგავს აქტუალურობას.


ორგანიზაციული კონფლიქტი იკავებს წამყვან ადგილს იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს. დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ორგანიზაციული კონფლიქტის გავლენის შესწავლას პერსონალის ქცევაზე, რომელიც ნებისმიერი ორგანიზაციის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის მიზნით, ჩავატარეთ კვლევა აჭარის რეგიონში, ვინაიდან აღნიშნული რეგიონი გამოირჩევა ისეთი ორგანიზაციებით, რომლებიც დაკომპლექტებულია მრავალფეროვანი სამუშაო პერსონალით (ასაკის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური უმცირესობის მიხედვით). მრავალფეროვნება კი განაპირობებს პერსონალის განსხვავებულ ქცევას და კონფლიქტების მართვის დროს დიდ მნიშვნელობას იძენს.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევა ჩატარდა ანონიმური ანკეტური გამოკითხვის საშუალებით. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 298-მარესპონდენტმა. მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამაში, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა და გაკეთდა დასკვნები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონფლიქტის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ემოციებია. ჩვენი კვლევის შედეგად კი დადასტურდა, რომ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის თანამშრომელთა არასტაბილურ ემოციურ მდგომარეობაზე. იგი 22,1%-ია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მენეჯერებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ ფაქტს და კონფლიქტის მართვის პროცესში მხედველობაში მიიღონ დასაქმებულთა ემოციური ფაქტორი. რაც შეეხება მომდევნო პასუხებს, მათი შედეგი ასეთია: კონურენცია - 18,8% და არასწორად გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები - 18,1. ყოველივე ეს ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ კონფლიქტის გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზი ორგანიზაციის შიგნით შეიძლება იყოს: სტატუსი, ძალაუფლება, გავლენა და სხვა, რამდენადაც, სწორედ აღნიშნული ფაქტორები იწვევს კონკურენციაში ჩაბმას (იხ. დიაგრამა 1).


დიაგრამა 1



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

იქ, სადაც არსებობს კოფლიქტი და არ ხდება მისი შესაბამისი მართვა, იქმნება სტრესული გარემო. ჩვენი რესპონდენტების შემთხვევაში (იხ. დიაგრამა 2), მათი 73.2 % (სრულად 28,9%, ნაწილობრივ 44,3%) თვლის, რომ მათ სტრესულ გარემოში უწევთ მუშაობა. ასეთ გარემოში მუშაობა კი აისახება როგორც მათ შრომისუნარიანობაზე, ასევე, ჯანმრთელობაზე, რაც, საბოლოოდ, კომპანიის წარმატებაზე მოქმედებს. მენეჯერებმა უნდა მიიღონ ადეკვატური ზომები. თუ ეს არ მოხდა, სტრესში მყოფი პერსონალის ქცევა ვერ იქნება მართვადი და კიდევ უფრო გართულებდა კონფლიქტის მართვა.


დიაგრამა 2



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

გარდა ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა, ორგანიზაციებში კონფლიქტის გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია დავასახელოთ ადამიანის უფლებების უგულვებლყოფა, საკანონმდებლო რეგულაციების დარღვევა და დასაქმებულთა არათანასწორ პირობებში ჩაყენება. დიაგრამიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა თითქმის 60% მიიჩნევს, რომ მათ ორგანიზაციებში დამსაქმებელი ნაწილობრივ ან საერთოდ არ იცავს საკანონმდებლო რეგულაციებს ადამიანის უფლებების მიმართულებით, მათ შორის შრომის უსაფრთხოების კუთხით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა 3). რაც დრო გადის, დასაქმებულები მეტად გათვითცნობიერებულები არიან თავიანთ უფლებებში, მეტად ითხოვენ მათ დაცვას დამსაქმებლის მხრიდან, რაც კიდევ უფრო ზრდის კონფლიქტური სიტუაციების რიცხვს.


დიაგრამა 3



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

კონფლიქტების წარმატებით მართვის და პერსონალის მხრიდან სასურველი ქცევის მისაღებად, მნიშვნელოვანია არსებობდეს თანხვედრა ორგანიზაციისა და დასაქმებულთა ინტერესებს შორის. ცხადია, როდესაც დასაქმებული გრძნობს, რომ მისი ინტერესები არ არის გათვალისწინებული, მას უჩნდება შინაგანი პროტესტი. რესპონდენტთა 55% მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის ინტერესებსა და დასაქმებულთა ინტერესებს შორის ნაწილობრივ არის ან საერთოდ არ არის ბალანსი დაცული. გლობალიზაციის პირობებში, დასაქმებულებს გაცილებით მეტი მოთხოვნები და შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ადრე. შესაბამისად, მენეჯმენტი ვალდებულია მაქსიმალურად გაითვალისწინოს დასაქმებულთა ინტერესები და მოიყვანოს ისინი თანხვედრაში ორგანიზაციის მიზნებთან (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4




წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

კროსტაბულაციური ანალიზის საშუალებით დავადგინეთ თუ რა კავშირია სქესსა და კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს შორის. ქალ-რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (26,2%) მიიჩნევს, რომ კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზი თანამშრომელთა არასტაბილური ემოციური მდგომარეობაა. მათი ასეთი დამოკიდებულება შეიძლება ავსხნათ იმით, რომ ბუნებით ქალები უფრო მეტად ემოციური არსებები არიან, ვიდრე მამაკაცები. მათ შემთხვევაში ყველაზე დიდი ნაწილი (22,3%) მიიჩნევს, რომ კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზია კონკურენცია, რაც, ასევე, მათი ბუნებიდან გამომდინარეობს (იხ. დიაგრამა 5)



სქესი/ კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

არსებული კვლევის მონაცემთა მიხედვით შევიმუშავეთ ჰიპოთეზა, რომლის დასამუშავებლად გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზი, პირსონის კორელაცია, ხი-კვადრატის ტესტი და კრომბახის აღფა.  
**ჰიპოტეზა: კომპანიის მხრიდან დისკრიმინაციაზე რეაგირება დამოკიდებულია დასაქმებულის მენეჯერულ პოზიციაზე.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზი და გამოვთვალეთ ხი-კვადრატი. შედეგად მივიღეთ ორი ცხრილი. კროსტაბულაციური ანალიზის თანახმად, მენეჯერთა თითქმის 80% მიიჩნევს, რომ მათ სამსახურში დისკრიმინაციულ საკითხებზე შესაბამისად რეაგირებენ. მხოლოდ 8% აღიარებს საწინააღმდეგოს. განსხვავებულ სურათს ვხედავთ არამენეჯერულ პოზიციაზე, რომელშიც თითქმის 70% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ ან საერთოდ არ ხდება დისკრიმინაციაზე რეაგირება.

ცხრილი 1.

| კროსტაბულაციური ანალიზი<br>Q7თქვენი პოზიცია/ Q28<br>კომპანიას აქვს შესაბამისი<br>რეაგირება დისკრიმინაციაზე |               |                               | კომპანიას აქვს შესაბამისი<br>რეაგირება დისკრიმინაციაზე |             |             | სულ           |
|--|---------------|-------------------------------|--|-------------|-------------|---------------|
|  |               |                               | დიახ   | არა         | ნაწილობრივ  |               |
| თქვენი პოზიცია   | მენეჯერული    | რაოდენობა<br>% თქვენი პოზიცია | 48<br>78.7%  | 5<br>8.2%   | 8<br>13.1%  | 61<br>100.0%  |
|  | არამენეჯერული | რაოდენობა<br>%თქვენი პოზიცია  | 76<br>32.1%  | 76<br>32.1% | 85<br>35.9% | 237<br>100.0% |
| სულ  |               | რაოდენობა<br>% თქვენი პოზიცია | 124<br>41.6%   | 81<br>27.2% | 93<br>31.2% | 298<br>100.0% |

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

მსგავსი მანკვებლები გვაფიქრებინებს, რომ დაბალ (არამენეჯერულ) პოზიციაზე მყოფი დასაქმებულები უფრო მეტად გრძობენ დისკრიმინაციას და ღიად მსჯელობენ კომპანიათა უმოქმედობაზე, მენეჯერებისაგან განსხვავებით (იხ. ცხრილი 1).

კროსტაბულაციურ ცხრილში ხი-კვადრატი (იხ. ცხრილი 2) გვიჩვენებს, რომ სტატისტიკური მნიშვნელობის დონე P(Sig.) არის ნულოვანი, ე. ი. ორ ცვლადს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი.

ცხრილი 2

| ხი-კვადრატი                  | მნიშვნელობა         | df | Asymptotic Significance (2-sided) |
|------------------------------|---------------------|----|-----------------------------------|
| Pearson Chi-Square           | 43.557 <sup>a</sup> | 2  | .000                              |
| Likelihood Ratio             | 44.481              | 2  | .000                              |
| Linear-by-Linear Association | 32.435              | 1  | .000                              |
| N of Valid Cases             | 298                 |    |                                   |

a. 0 cells (0.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 16.58.

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

დასაქმებულის პოზიციასა და კომპანიის დისკრიმინაციაზე შესაბამის რეაგირებას შორის კავშირის სიძლიერის დასადგენად, გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს, რომ (იხ. ცხრილი 3) ორ ცვლადს შორის არის საშუალო სიძლიერის დადებითი კავშირი. (კორელაციის კოეფიციენტი ტოლია 0,330-ის).

ცხრილი 3

| კორელაციური ანალიზი                                 |  | თქვენი პოზიცია   | კომპანიას აქვს შესაბამისი რეაგირება დისკრიმინაციაზე |
|---|--|------------------|---|
| თქვენი პოზიცია                                      | პირსონის კორელაცია<br>Sig. (2-tailed)<br>N | 1<br><br>298     | .330*<br><br>298                                    |
| კომპანიას აქვს შესაბამისი რეაგირება დისკრიმინაციაზე | პირსონის კორელაცია<br>Sig. (2-tailed)<br>N | .330*<br><br>298 | 1<br><br>298  |

\*\* Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ

შესაბამისად, დამტკიცდა ჰიპოტეზა, რომლის მიხედვითაც დასაქმებულის პოზიცია გავლენას ახდენს კომპანიის მხრიდან დისკრიმინაციაზე შესაბამის რეაგირებაზე.

### დასკვნა

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ პერსონალის უმეტესობა სტრესულ გარემოში მუშაობს და კონფლიქტური სიტუაციებიც საკმაოდ ხშირად მათი სამსახურებრივი ცხოვრების თანმდევი ნაწილია. კონფლიქტების გამომწვევი ძირითადი მიზეზი ქალების შემთხვევაში ემოციური ფაქტორია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - კონკურენცია. გარდა ამისა, ისინი თავს გრნობენ არასამართლიან გარემოში, ვინაიდან კვლევის შედეგების მიხედვით, მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევაში, კომპანიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება ხდება, რასაც ვერ ვიტყვით არამენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულებზე. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მესიჯებია და გვაძლევს შემდეგი რეკომენდაციების გაკეთების საშუალებას:

- ორგანიზაციაში დაცული უნდა იყოს სამართლიანობის პრინციპი, რასაც მისი ნებისმიერი წევრი უნდა გრძნობდეს. დისკრიმინაცია, ნებისმიერი ფორმით, დაუშვებელია ნებისმიერ პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლის მიმართ. მენეჯერები არ უნდა იყვნენ პრივილეგირებული რიგით თანამშრომლებთან მიმართებით;
- ქალების შემთხვევაში, კონფლიქტური სიტუაციის მართვისას, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მათი ჭარბი ემოციურობის გამო. თუმცა, ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია მამაკაცების შემთხვევაშიც. სწორად უნდა იქნეს შერჩეული კონფლიქტის მართვისა თუ გადაჭრის მექანიზმი;

- ვინაიდან კონფლიქტების გამომწვევი მეორე მიზეზი კონკურენციაა, ორგანიზაციამ უნდა შექმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო. ამას ხელს შეუწყობს სამართლიანი შეფასების და დაჯილდოების სისტემების შექმნა;
- გარდა აღნიშნულისა, საჭიროა ორგანიზაციულ კულტურაში იქნეს დანერგილი ზემოაღნიშნული პრინციპები. შედეგად, ორგანიზაციის ყველა წევრი გახდება ამ კულტურის მატარებელი, მათი ქცევა კი - მეტად პროგნოზირებადი. შესაბამისად, გამარტივდება კონფლიქტის მართვის სწორი ინსტრუმენტის შერჩევა.

სამწუხაროდ, ძალაუფლების მქონე ადამიანები საკუთარი ინტერესებისთვის გადადგმული ნაბიჯების გამართლებას და ორგანიზაციის ინტერესებად გასაღებას კარგად ასერხებენ. მათ უსამართლო ქმედებებზე დაუსრულებლად შეუძლიათ იდავონ და ამტკიცონ, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა, ზოგჯერ, გამართლებულია და საჭირო. ძალაუფლების მფლობელნი, თუ პოლიტიკური დილემების წინაშე აღმოჩნდებიან, საჭიროა შეაფასონ, რამდენად ღირს ეს თამაში რისკზე წასვლად და რამდენად შეიძლება პროცესში ავნონ სხვას. თუ ძალაუფლების მტკიცე საფუძველი აქვთ, უნდა აღიარონ, რომ ძალაუფლებას შეუძლია გარყვნას ადამიანი. ბევრად უფრო მარტივია ეთიკურად მოიქცეს ძალაუფლების არმქონე, რადგან, როგორც წესი, მას ისედაც არ გააჩნია პოლიტიკური სადავეები, რომლითაც არაეთიკურად მოიქცეოდა [Robbins & Judge, 2018, pp. 61-62].

დასასრულს დასკვნის სახით ავღნიშნავთ, რომ ორგანიზაციული კონფლიქტის პროცესებში მუდავნდება პერსონალის პიროვნული მდგრადობა, მისი თვითკონტროლი და მორალური სტაბილურობა. ამიტომ, მენეჯერებმა სამუშაო გარემოში უნდა გაითვალისწინონ თანამშრომელთა ემოციები და გუნება-განწყობა, რადგანაც თითოეულ მათგანს განსაკუთრებით დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია შრომის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის მართვის პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, აუცილებელია პიროვნების ემოციური მდგომარეობის სტაბილური შენარჩუნება, დემოკრატიული მართვის პრინციპების გატარებით, ასევე, ჰარმონიული გარემო პირობების შექმნით, მოტივაციის სამართლიანი და ქმედითუნარიანი სისტემის დანერგვით და ა. შ. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს შრომითი კმაყოფილების მიღწევას, რაც საკმაოდ დიდ ზეგავლენას იქონიებს საბოლოო შედეგებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Barsade, S. G., & Gibson, D. E. (2007). Why Does Affect Matter in Organizations? *Academy of Management Perspectives* Vol. 21, No. 1 , 36-59.
There is some interruption in the process of historical development in Georgia regarding to existence and functioning of local self-government. Until 1917, there was another type of self-government, that was elected by the local inhabitants. The Revolution and the Communist State established different kind of self-governance, which the Communist government meant based on the principles of one-party governance, which neglected the pluralism and was not oriented towards the interests of population. This eventually led to conflict of interests, which was repressed by force.

From 1917 to 1921, Georgia gained independence, but during this period, the self-government was not able to assemble. In 1921, when Georgia lost independence, the hegemonic regime of the communist party was formed (one-party rule regime until 1991).

In 1991, the Soviet Union collapsed which was followed by the restoration of independence and soon provoked internal disorder, which emerged when the Georgian territories of Abkhazia and Samachablo were occupied by the Russian Federation. In 1991, local self-governments were destroyed and in the beginning of the transition period, local self-governance was not functioning until 2000 year.

**The practical part of the research:**


Practical works were carried out to achieve the objectives of the research. The duration of the survey was two months, from July until August 2017. Quantitative results were processed with the SPSS program. Qualitative data was analysed with a content-analysis method. The research was conducted within the framework of the Student Scientific Projects of Tbilisi State University.

The survey equally involved residents from all municipalities and more than 400 subjects were interviewed. Among them, 180 were male and 220 were female. The survey was conducted in nine municipalities and in 30 villages.

Research has shown that the economic situation of families is quite low. 53.1% of the population was included in the low-income group (0-700 GEL), while 42.4% was in the middle-income group (700-1500).

75.9% of the respondents are interested in local self-government activities and have information on important decisions or projects. Statistically significant differences are distributed by the local self-governmental data on gender-based projects.  $X^2(1, N=375) = 16.1; p = .00$ . Particularly, men are more likely to benefit from local self-government projects than women.

Figure N-1



The level of education of the respondents is related to the readiness to pay a small amount of money for the research self-government.  $X^2(4, N=401) = 34.4; p=.00$ . The majority of those who have higher education - 76.3% agree to pay money. From those with incomplete secondary education and full secondary education, the positive response rate is much smaller.

Figure N-2

| Readiness to pay money | Level of Education   |                |        |
|------------------------|----------------------|----------------|--------|
|                        | Incomplete secondary | Full secondary | High   |
| Yes                    | 55.6%                | 51.6%          | 76.3%  |
| No                     | 16.7%                | 22.4%          | 18.8%  |
| Not Sure               | 27.8%                | 26.0%          | 5.0%   |
| all                    | 100.0%               | 100.0%         | 100.0% |

Employment status connection with the readiness to pay a small amount of money to solve local problems  $X^2(8, N=384) = 38.02; p=.00$ .

Figure N-3

| Readiness to pay money | Employment Status |               |        |                        |                      |
|------------------------|-------------------|---------------|--------|------------------------|----------------------|
|                        | unemployed        | Self-employed | Hired  | Pensioner (unemployed) | Student (unemployed) |
| Yes                    | 40.9%             | 62.1%         | 69.4%  | 57.1%                  | 33.3%                |
| No                     | 31.8%             | 13.8%         | 23.6%  | 0.0%                   | 44.4%                |
| Not Sure               | 27.3%             | 24.1%         | 7.0%   | 42.9%                  | 22.3%                |
| All                    | 100.0%            | 100.0%        | 100.0% | 100.0%                 | 100.0%               |

69.4% of employers agree to pay for local problems. According to all other restrictions on employment, the positive rate of withdrawal is less. The lowest rate of acceptance of the amount is expressed in the unemployed and it is quite logical.

It is logical, that statistically significant link has been shown to be willing to pay taxes and readiness to pay a small amount for local self-government  $X^2(4, N=401) = 280.9; p=.00$ .

Figure N-4

| Readiness to pay money | Readiness to pay local taxes |        |          |
|------------------------|------------------------------|--------|----------|
|                        | Yes                          | No     | Not Sure |
| Yes                    | 83.1%                        | 11.7%  | 15.2%    |
| No                     | 4.3%                         | 77.9%  | 23.9%    |
| Not Sure               | 12.6%                        | 10.4%  | 60.9%    |
| All                    | 100.0%                       | 100.0% | 100.0%   |

Statistically significant link is between trust to the local self-government and the willingness to pay a small amount of money to local self-government  $X^2(8, N=398) = 98.2; p=.00$ .

Figure N-5

| Readiness to pay money | Trust in self government |              |                   |        |                  |
|------------------------|--------------------------|--------------|-------------------|--------|------------------|
|                        | Do not trust at all      | Do not trust | Hard to answer it | Trust  | Completely trust |
| Yes                    | 48.3%                    | 38.9%        | 54.5%             | 75.2%  | 93.3%            |
| No                     | 44.8%                    | 50.0%        | 11.4%             | 12.0%  | 0.0%             |
| Not Sure               | 6.9%                     | 11.1%        | 34.1%             | 12.8%  | 6.7%             |
| All                    | 100.0%                   | 100.0%       | 100.0%            | 100.0% | 100.0%           |

As shown from the table, the positive response to a small amount will increase with the quality of confidence expressed towards the self-government.

Residents of different towns express different readiness to pay money. The connection between the city type and the willingness to pay is statistically important.  $X^2(16, N=317) = 56.7; p=.00$ .

Figure N- 6

| Readiness to pay money | Cities  |       |       |        |            |           |          |        |        |
|------------------------|---------|-------|-------|--------|------------|-----------|----------|--------|--------|
|                        | Zugdidi | Khobi | Foti  | Abasha | Chkhorowyu | Walenjixa | Martvili | Senaki | Mestia |
| Yes                    | 53.8%   | 66.7% | 73.0% | 51.5%  | 75.6%      | 70.5%     | 60.0%    | 52.4%  | 50.0%  |
| No                     | 41.0%   | 9.5%  | 16.2% | 45.5%  | 2.2%       | 13.6%     | 40.0%    | 11.9%  | 26.1%  |
| Not Sure               | 5.2%    | 23.8% | 10.8% | 3.0%   | 22.2%      | 15.9%     | 0.0%     | 35.7%  | 23.9%  |
| All                    | 100     | 100   | 100   | 100    | 100        | 100       | 100      | 100    | 100    |

The highest rate 75.6% to pay small amount of money is observed in Chkhorowyu and the lowest rate is in Mestia.

Statistically significant link has been revealed between the respondent's readiness to pay local taxes and their level of education  $X^2(10, N= 401) = 30.7; p=.001$ . The highest rate of payment for local fees (46.4%) is also revealed in higher education.

Statistically significant link has been revealed between that the respondents willing to pay local taxes and their employment status  $X^2(8, N=384) = 22.5; p=.004$ .

Figure N-7

| Readiness to pay local taxes | Employment status |               |       |                        |                      |
|------------------------------|-------------------|---------------|-------|------------------------|----------------------|
|                              | Unemployed        | Self-employed | Hired | Pensioner (unemployed) | Student (unemployed) |
| Yes                          | 51,5%             | 73,8%         | 71,4% | 85,7%                  | 55,6%                |
| No                           | 27,3%             | 13,1%         | 22,9% | 0,0%                   | 22,2%                |
| Not Sure                     | 21,2%             | 13,1%         | 5,7%  | 14,3%                  | 22,2%                |
| All                          | 100               | 100           | 100   | 100                    | 100                  |

Statistically significant link was revealed by the respondents who are willing to pay local taxes and satisfaction with the assistance provided by the self-government  $X^2(4, N=123) = 14.9; p=0.005$ . Particularly, the highest rate of willingness to pay local taxes was revealed among them who are satisfied with the assistance they have been provided from the self-government.

Figure N-8

| Readiness to pay local taxes | Quality of satisfaction with self-help |        |           |
|------------------------------|--|--------|-----------|
|                              | Dissatisfied                           | Medium | Satisfied |
| Yes                          | 59,5%                                  | 48,0%  | 69,6%     |
| No                           | 19,0%                                  | 48,0%  | 26,8%     |
| Not sure                     | 21,5%                                  | 4,0%   | 3,6%      |
| All                          | 100                                    | 100    | 100       |


Residents of different towns express different willingness to pay local taxes. The connection is statistically significant between city and local payments  $X^2(16, N=317) = 60.5; p=0.00$ . As shown in the table, if the local tax payment is paid, the highest level of willingness is revealed in the Chkhorowyu, and the lowest rate of positive response in in Martvili.

Figure N-9

| Readiness to pay local taxes | Cities  |       |       |        |            |             |          |        |        |
|------------------------------|---------|-------|-------|--------|------------|-------------|----------|--------|--------|
|                              | Zugdidi | Khobi | Poti  | Abasha | Chkhorowyu | Tsalenjikha | Martvili | Senaki | Mestia |
| Yes                          | 48,7%   | 66,7% | 89,2% | 42,4%  | 93,3%      | 72,7%       | 40,0%    | 73,8%  | 60,9%  |
| No                           | 33,4%   | 23,8% | 8,4%  | 51,5%  | 2,3%       | 11,4%       | 30,0%    | 9,5%   | 23,9%  |
| Not sure                     | 17,9%   | 9,5%  | 2,7%  | 6,1%   | 4,4%       | 15,9%       | 30,0%    | 16,7%  | 15,2%  |
| All                          | 100     | 100   | 100   | 100    | 100        | 100         | 100      | 100    | 100    |

The survey revealed the priorities of the problems in the population:

Figure N – 10



**Conclusion**

The results of the survey have once again showed the role of local self-governments in solving the social-economic problems of the population. The main findings of the research are:

Firstly, the existence of local self-governments in the opinion, of the majority of the population is necessary to solve the social-economic problems of their region, but the involvement of the population is still low and most of them do not know about the projects implemented by the local self-government. It is therefore necessary to carry out local policies in increasing the involvement of the population, which implies the introduction of modern models of engagement. The main challenge of local self-governments will be solving problems related to the involvement of the population.

Second, high correlation was revealed between the level of education of the population and their dependence on local self-government. Consequently, the improvement of the level of education will make it more effective as a mechanism for solving local problems, as well as positively affect the level of social-economic development of the country.

Third, the readiness of the population is high in terms of expressing financial support. In order, to implement this practice, it is necessary to create a scheme of participation, which will fit into the level of income of each family.

Fourth, the trust of local population is low towards the local self-government institutions, resulting in poor participation of the population. There is also a low level of readiness to pay local taxes, which would be a financial support for their problems in their city or village. In order, to avoid these problems, local self-government needs to gain confidence from the population and it will not be possible if the population's demands are not met. It is therefore necessary to create a system of involvement in the population, where most people will have the opportunity to express their opinion. In addition, the role of the population should be increased - budget preparation and planning of the projects. In parallel with this process, monitoring and reporting must be done to the population, after which the population satisfaction index will increase, which will increase also confidence. The involvement of the population in the budget planning process is necessary to ensure the real possibilities of the existing budget and become the part of the scheme to co-finance the population to solve common problems.

### References

1. Goldsmith, M. (2010). THEORIES OF URBAN POLITICS-edited by Jonathan S. Davies and David L. Imbroscio. Public Administration, 88(2), 597-599.
2. Mollenkopf, J. H. (1975). The post-war politics of urban development. Politics & Society, 5(3), 247-295.
3. DiGaetano, A., & Klemanski, J. S. (1993). Urban regimes in comparative perspective: The politics of urban development in Britain. Urban Affairs Quarterly, 29(1), 54-83.
4. Lowndes, V., & Pratchett, L. (2012). Local governance under the coalition government: Austerity, localism and the ‘Big Society’. Local government studies, 38(1), 21-40.
5. Bailey, S. J. (1999). Local government economics: principles and practice. Palgrave Macmillan.
6. Pratchett, L. (2004). Local autonomy, local democracy and the ‘new localism’. Political studies, 52(2), 358-375.
7. Friedrich, C. J. (1941). Constitutional government and democracy; theory and practice in Europe and America.
8. Zhang, L. F., & Sachs, J. (1997). Assessing thinking styles in the theory of mental self-government: A Hong Kong validity study. Psychological reports, 81(3), 915-928.
9. R. Gvelesiani, I. Gogorishvili - The Basic Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. [PDF] waset.org
10. [https://scholar.google.com/scholar?start=0&q=Irina+Gogorishvili&hl=en&as\\_sdt=0,5](https://scholar.google.com/scholar?start=0&q=Irina+Gogorishvili&hl=en&as_sdt=0,5) (Accessed 12 December 2017)
11. Irina Gogorishvili. Foreign Economic Policy of Georgia Since Gaining the Independence. [PDF] utlib.ee <https://ojs.utlib.ee/index.php/TPEP/article/viewFile/12984/8067>;
12. [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=284080](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=284080) (Accessed 13 December 2017)
13. Sepashvili E. Economic Aspects of Gender Discrimination in the Georgian Labour Market: Myths and Realities
14. <http://georgica.tsu.edu.ge/files/03-Society/Gender%20&%20Family/Sepashvili-2012.pdf> (Accessed 11 December 2017).
15. Gagnidze I., Cluster as a tool for the challenges of development, STRATEGICA, International Academic Conference– Third Edition –Local versus Global Bucharest, Romania, October 29-31, 2015, ISSN: 2392-702X; ISBN: 978-606-749-054-1, pp.336-344.
16. <http://meu.usue.ru/attachments/article/207/CROSS-ULTURAL%20VARIATIONS%20IN%20CONSUMER%20BEHAVIOUR%20LITERATURE.pdf> (Accessed 11 December 2017).



ერეკლე ზარანდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის,  
ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი

**ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი ფინანსურად კლინერი  
მუნიციპალიტეტის შემდგომ პროცესში, საქართველო**  
(სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითზე)

**რეზიუმე.** წინამდებარე კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ფისკალური პოლიტიკის ანალიზს. კონკრეტულად კი ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის მიმოხილვას.

ფისკალური პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი თვითმმართველობების ავტონომიასთან, განვითარებასთან, რესურსების სწორ გადანაწილებასა და პრიორიტეტების დასახებასთან. ამ საკითხის კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ თვითმმართველობების მიერ სხვადასხვა პროექტის განხორციელება და პრიორიტეტების განსაზღვრა მოკლებულია საზოგადოების ჩართულობას, გამოკითხვას.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს საქართველოში ფისკალური პოლიტიკის სანალიზის საჭიროება და მნიშვნელობა. პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს ძლიერი და დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივებს.

კვლევის ფარგლებში დასმულია შემდეგი კითხვები:

- ანიჭებს თუ არა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება როგორც ბიუჯეტის განკარგვის, ასევე პროექტების შინაარსის განხორციელებასთან მიმართებაში და როგორ ესმის ფისკალური პოლიტიკის არსი;
- აქვს თუ არა დამოუკიდებლად განახორციელებული პროექტები, რომელიც პასუხობს ადგილობრივ გამოწვევებს და ხელს შეუწყობს თანამედროვე ტიპის მუნიციპალიტეტის განვითარებას.

ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიულობის საზომს წარმოადგენს დეცენტრალიზებული ხელისუფლება განსაკუთრებით ფისკალური თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია საკითხების დელეგირება ადგილობრივი მმართველი ორგანოების დონეზე, - რამდენად დამოუკიდებლად მოქმედებენ ადგილობრივი ორგანოები ამ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას და საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, რამდენად არიან ისინი აღჭურვილნი საკმარისი (საკუთარი) ფინანსური სახსრებით, რამდენად რეალურია მათი ფისკალური დამოუკიდებლობა (ავტონომია).

**საკვანძო სიტყვები:** ადგილობრივი თვითმმართველობა, ფისკალური დეცენტრალიზაცია, მუნიციპალიტეტი, ძლიერი და ავტონომიური თვითმმართველობა.

**შესავალი**

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი უმთავრეს ინდიკატორს ადგილობრივი თვითმმართველობის ძლიერ ინსტიტუტად ქცევა წარმოადგენს. 1985 წელს მიღებული ევროპული კონვენცია „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“, მესამე მუხლში განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის არსს, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის ადგილობრივი ორგანოების უფლება და შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში აღასრულონ საჯარო მომსახურებათა დიდი ნაწილი, თავიანთივე პასუხისმგებლობით, ლოკალური ინტერესების შესაბამისად. (ევროპული

ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, სტრასბურგი, 1985, მუხლი 3.)<sup>98</sup>

დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მუნიციპალიტეტების ფისკალური დამოუკიდებლობა, რაც დეცენტრალიზაციის სტრატეგიაშიც ნათლად წერია.<sup>99</sup>

დეცენტრალიზაციის უმთავრეს პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ სუბსიდიარობის პრინციპი, რაც არის გარანტი, რომ საჯარო პოლიტიკა ხელისუფლების ყველა დონეზე წარმატებული იქნება და მის განხორციელებაში მოსახლეობის ფართო ფენები მიიღებენ მონაწილეობას. უნდა მოხდეს საკითხთა იერარქიულობა და გადაწყვეტილების მიღების სისტემა „ქვემოდან-ზემოთ“ (საძირკვლიდან სახურავამდე) უნდა აიგოს და არა პირიქით. მმართველობის ზედა დონეები (რეგიონი, ეროვნული დონის ხელისუფლება თუ სახელმწიფოთა გაერთიანება) მხოლოდ იმ საკითხებს უნდა მართავდეს, რომელთა მოგვარებაც არ ხელეწიფებათ.

დეცენტრალიზაცია თავის თავში სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს (CIPDD) 2003წ.

1. **პოლიტიკური დეცენტრალიზაცია** - მოსახლეობისთვის ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის უფლების მიცემას, კანონით განსაზღვრული საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილების ფარგლებში, მათთვის პოლიტიკური და ნორმატიული მოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღების უფლების მინიჭებას.
2. **ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის ფართო უფლებამოსილებების გადაცემას, მათ შორის, სახელმწიფო საქმეების მართვისა და საჯარო მომსახურების სფეროში.
3. **ფისკალური დეცენტრალიზაცია** - ცენტრალური ხელისუფლების მიერ თვითმმართველი ერთეულებისთვის კომპეტენციათა განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსებისა და აქტივობების/გადასახადების განკარგვის უფლების გადაცემა.

„თუმცა, რეალური დეცენტრალიზაცია გამოწვევად რჩება ქართული დემოკრატიისათვის. წლების მანძილზე არსებული მცდელობების მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, შეექმნა მმართველობის ისეთი მოდელი, რომელიც ადგილობრივ ორგანოებს ხელშესახებ უფლებამოსილებებს მიანიჭებდა.“[ი. პაპავა, 2019].

#### **კვლევის მიზნები:**

- 1) საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი.
- 2) ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლების დივერსიფიკაციის დადგენა და ანალიზი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითზე.

#### **კვლევის ფარგლებში დასმულია შემდეგი კითხვები:**

- რამდენად იწინს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ნებას, შექმნას პრეცედენტი, მისცეს ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობა განვითარების და რა დონით ანიჭებს იგი ადგილობრივ თვითმმართველობას დამოუკიდებლობის ხარისხს - როგორც ბუჯეტის განკარგვის, ასევე პროექტების შინაარსის განხორციელებასთან მიმართებაში და საბოლოოდ, როგორ ესმის ფისკალური პოლიტიკის არსი;

<sup>98</sup> ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, სტრასბურგი, 1985, მუხლი 3.

<sup>99</sup> დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-

2025 [http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/decentralizaciis\\_strategia\\_2019-2025.pdf](http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/decentralizaciis_strategia_2019-2025.pdf)

- განვითარების რა ეტაპზეა დღეს არსებული საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობები, რა გამოწვევების წინაშე დგანან ისინი და აქვთ თუ არა შესაბამისი უნარი, დამოუკიდებლად განახორციელონ პროექტები, რომელიც პასუხობს ადგილობრივ გამოწვევებს და ხელს შეუწყობს თანამედროვე ტიპის მუნიციპალიტეტის განვითარებას;

### კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევა ეყრდნობა ეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს, ასევე თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკულ ნაშრომებს, სამეცნიერო კრებულებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. კვლევის პრაქტიკულ ნაწილში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, კომპლექსური მეთოდები.

რეპრეზენტატიული შერჩევის მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, ანკეტირების მეთოდით, სადაც ინდივიდუალურად, სპეციალური ანკეტით გამოიკითხა მოსახლეობა. ჯამში, შერჩევითი ერთობლიობის სიდიდე არის 400 მაცხოვრებელი. რაოდენობრივი მეთოდის არჩევა განაპირობა კვლევის მიზნებმა და ამოცანებმა, აგრეთვე იმან, რომ სწორედ მოპოვებული ინფორმაცია დავამუშავოთ სტატისტიკურად და განვაზოგადოთ კვლევის შედეგები.

რაოდენობრივი შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით SPSS-ით. კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: რაოდენობრივი (ანკეტირება პირდაპირ და გამოკითხვა) კითხვარი კონსტრუირდება კვლევის ფარგლებში საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე და თვისობრივი (ფოკუს-ჯგუფები).

კვლევის ჯგუფთან ერთად დავსვით 30 შეკითხვა ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციებთან და არსებობასთან დაკავშირებით, მოსახლეობის ჩართულობასთან, დამატებითი სახსრების აუცილებლობასთან დაკავშირებით და მივიღეთ საინტერესო პასუხები, რომლებიც გავანალიზეთ და მიღებული შედეგები წარამოვადგინეთ წინამდებარე ნაშრომში.

### ანალიზი

დეცენტრალიზაცია, გარკვეული ფორმებით, იმ ქვეყნებში ხორციელდება, სადაც ტრადიციულად, ცენტრალური ხელისუფლების გავლენა იყო ძლიერი. თანამედროვე მსოფლიოში ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერების პროცესი მე-19 - მე-20 საუკუნეებში დაიწყო და თანდათან უფრო ძლიერდება.

ძალაუფლების ტერიტორიული ნიშნით გადანაწილება, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა სახითა და ხარისხით მოხდეს, ზემდგომი დონეების მიერ მართვის სადავეების შენარჩუნებით დაწეული, კონკრეტული უფლებამოსილებების სრული გადაცემით დამთავრებული.<sup>100</sup>

- დეკოცენტრაცია - სახელმწიფო ინსტიტუტები მართვის მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად სხვადასხვა ტერიტორიაზე ქმნიან თავის ორგანოებს. უფრო ნათლად, დეკოცენტრაცია, ცენტრალური სახელისუფლებო რგოლების სახელმწიფოს მასშტაბით „გაფანტვას“ წარმოადგენს.
- დელეგირება - ზემდგომი საჯარო ხელისუფლების დონეები ცალკეული საკითხების განხორციელების უფლებამოსილებას ქვედა დონეებს გადასცემენ. განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე პასუხისმგებელი კვლავ ზედა დონეა - იგი ადეკვატურ ფინანსურ და სხვა რესურსებს გადასცემს ქვედა დონეს და განხორციელებული საქმიანობის მიზანშეწონილობასა და ხარისხს ამოწმებს.
- დეკოლუცია - უფლებამოსილება სრულად გადაეცემა ქვედა დონეს და იგი ადგილობრივი რესურსებით ხორციელდება. შესაბამისად, განმახორციელებელი შედეგებზე პასუხისმგებელია არა ზედა დონის საჯარო ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის და კანონის წინაშე. [ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., კონჯარია ო. 2016].

<sup>100</sup>საქართველოს კონსტიტუცია

გასული საუკუნის შუახანებიდან, მსოფლიოში თვითმმართველობისათვის უფრო და უფრო მეტი უფლებამოსილებების სრულად გადაცემის ტენდენცია აღინიშნება<sup>101</sup>. დეცენტრალიზაციის ხარისხით ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუმცა ერთი კანონზომიერება მაინც შეიმჩნევა. განვითარებულ ქვეყნებში ეს პროცესი ბევრად წინ არის წასული, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

დეცენტრალიზაციის დონის გაზომვის საუკეთესო მაჩვენებელი ცენტრალურ და სუბნაციონალურ (ქვე-ეროვნულ) დონეებს შორის საჯარო ფინანსების წილის გადანაწილებაა. განვითარებულ ქვეყნებში (OECD) მთელი საჯარო ფინანსების საშუალოდ 20-დან 40%-მდე ადგილობრივი დონის საკუთარ შემოსავალს წარმოადგენს. შევიცარიასა და კანადაში კი ეს მაჩვენებელი 50%-ზე მეტია. ამავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებში მთელი საჯარო სექტორის ინვესტიციების 50% სწორედ ადგილობრივ დონეებზე ხორციელდება. ესპანეთში, შვედეთში, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 70-75%-ს შეადგენს.

2013 წლიდან საქართველოში თვითმმართველობის რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო - წარდგენილი იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელმაც შექმნა სამართლებრივი ბაზა რეალური ფისკალური დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად. ამავდროულად, კანონი ავალდებულებდა მთავრობას, რომ განესაზღვრა გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდის მოცულობის მიმართება მშპ-ს ნომინალიურ მოცულობასთან. იმისათვის, რომ გავაცნობიეროთ რეფორმის ძირითადი არსი ფისკალური დეცენტრალიზაციის მიმართულებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ ასპექტებზე - მუნიციპალიტეტის შემოსავლებსა და რესურსის ზრდაზე.

საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის მიმართულებით რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს:

- მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გაიზარდოს მისი შემოსავლები, რათა არსებობდეს მოტივაცია უკეთესი და მეტი პროექტების განხორციელების.
- მუნიციპალიტეტს ჰქონდეს რესურსი თავისი უფლებამოსილების სწორად და ეფექტურად განხორციელებისა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ მთავრობას უნდა წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრებოდა საშემოსავლო გადასახადის ნაწილობრივი მიმართვა მუნიციპალურ ბიუჯეტში. ამავდროულად, კანონი ავალდებულებდა მთავრობას, რომ განესაზღვრა გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდის მოცულობის მიმართება მშპ-ს ნომინალიურ მოცულობასთან.

ამ ცვლილებებიდან, რომელიც დაკავშირებულია საშემოსავლო გადასახადთან, იყოფა ორ ნაწილად:

- I. მეწარმე ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი, რომლის გადახდა ხორციელდება გადამხდელის დეკლარირების საფუძველზე.
- II. საშემოსავლო გადასახადი, რომლებსაც იხდიან დამქირავებლები, როგორც დამქირავებელი ფიზიკური პირების საგადასახადო ავანტები.


პირველ კომპონენტზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება და 2016 წლის პირველი იანვრიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სრულად ირიცხება მეწარმე პირთა საშემოსავლო გადასახადი.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ მუშაობა დაიწყო, რომ მეორე კომპონენტიდან თანხების გარკვეული ნაწილი მიმართულიყო ადგილობრივ ბიუჯეტში. ეს ნაწილი არის მთლიანი საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელოვანი წილი, დაახ-

<sup>101</sup> ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., კონჯარია ო., ადგილობრივი თვითმმართველობა, დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, მწვანე კავკასია, UNDP, 2016.

ლოებით 80 %.<sup>102</sup> თუმცა საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობებს გათანაბრებითი ტრანსფერი, საშემოსავლო გადასახადი, სრულად ცენტრალურ ბიუჯეტში წაიღოს, ამის ნაცვლად კი თვითმმართველობებს დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19% დაუტოვოს<sup>103</sup>.

ცხრილში ნაჩვენებია საშემოსავლო გადასახადისა და გათანაბრებითი ტრანსფერის ჯამი და შედარებული დღგ-ს სახით მიღებული დაფინანსების ახალი სისტემით.



2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით უკვე განსაზღვრულია, თუ რომელი კონკრეტული მუნიციპალიტეტი რა ოდენობის დაფინანსებას მიიღებს. როგორც ირკვევა, დღგ-ს 19%-ის მუნიციპალიტეტზე განაწილება კონკრეტული კრიტერიუმებს ეფუძნება, რომელთა შორის ძირითადს ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის (მათ შორის, საბავშო ბაღისა და სკოლის მოსწავლეების რაოდენობის) კრიტერიუმი წარმოადგენს. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, დაფინანსების ახალი წესით, დღგ-ს 19%-იდან დედაქალაქს 50.01%, დარჩენილ 4 თვითმმართველ ქალაქს დ 11.19%, დანარჩენ 58 მუნიციპალიტეტს კი 38.8% ერგება.

მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების ეკონომიკური აქტივობების სტიმულირებას, რადგანაც მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარება მათ შემოსავლებზე ნაკლებად აისახება. თუ რომელიმე მუნიციპალიტეტი ეფექტიანი მუშაობით შეძლებს მოიხილოს ინვესტიციები, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, ამით ის ფინანსურ სარგებელს ვერ მიიღებს, რადგან მუნიციპალიტეტს მხოლოდ ქონების გადასახადი დარჩა, რაც ვერ ზრდის მუნიციპალიტეტის შემოსავლებს. ქონების გადასახადი იგივეა, რაც ადგილობრივი გადასახადი, რომლის შემოღებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა<sup>104</sup>.

დღეს არსებული მოდელის პირობებში, თვითმმართველობის ფინანსური უზრუნველყოფის ერთადერთ წყაროდ კვლავ ცენტრალური ბიუჯეტი და არასაკუთარი შემოსავლები რჩება და შესაბამისად, მთავრობაზე ხდება დამოკიდებული. მუნიციპალიტეტის შემოსავალი შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ქვეყნის მშპ გაიზრდება. ამიტომაც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი, მშპ-ის ზრდის პროპორციულად მოიმატებს.

ფისკალურ დეცენტრალიზაციაზე საუბრისას აუცილებელია საშემოსავლო გადასახადის გადანაწილება განვიხილოთ. თუ საშემოსავლო გადასახადს რომელიმეს დავეტოვებთ, მაშინ ცხადია, მეორეს ფინანსური მდგომარეობა შესუსტდება.

<sup>102</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<sup>103</sup> <http://droa.ge/?p=34645>

<sup>104</sup> <https://www.rs.ge/4771>

აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორისათვის ფინანსური მენეჯმენტის გამართვების მიზნით, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება გადასახადის დაკისრება დამსაქმებლის რეგისტრაციის მიხედვით, რადგან როცა დასაქმებულის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით დაგებურავე შესაბამის პირებს, ეს გამოიწვევს თითოეულ დასაქმებულზე, რომელიც სხვა მუნიციპალიტეტშია დარეგისტრირებული, გადასახადი სხვადასხვა სახაზინო კოდზე გადარიცხოს, რაც საკმაოდ მოუხერხებელი მიდგომა იქნებოდა.

საშემოსავლო გადასახადის დამსაქმებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ამოღების შემთხვევაში მოსალოდნელ ალტერნატივებზე კი ქვემოთ ვისაუბრებთ. განვიხილოთ რამოდენიმე შესაძლო ალტერნატივა, რომელთა ვარიაცია სხვადასხვა შედეგს მოგვცემს:

▪ **საშემოსავლო გადასახადი, მთლიანად ადგილობრივ თვითმმართველობებს რჩება**

ასეთი მიდგომა ძირითადად კანადასა და შვეიცარიაშია გავრცელებული. თუ ადგილზე მიღებული ყველა დამსაქმებლის მიერ ფიზიკური პირებისთვის დაკავებული და ადგილობრივი ორგანიზაციებიდან თუ კერძო კომპანიებიდან მიღებული შემოსავლიდან ფიზიკური პირების მიერ გადახდილ საშემოსავლო გადასახადს ადგილობრივ დონეზე დავტოვებთ, ცენტრალურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან თანხა საერთოდ არ შევა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდება დაახლოებით 3,6 მლრდ ლარი და ამასთანავე, ტრანსფერების განხორციელების აუცილებლობის წინაშეც დავდგებით, რადგან ეს პოლიტიკა სარგებელს მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებს და განსაკუთრებით, თბილისს მოუტანს, ხოლო მცირე მუნიციპალიტეტებს ისევ მსგავსი პრობლემები ექნებათ. ამასთანავე, გაიზრდება მიგრაცია შედარებით სუსტი მუნიციპალიტეტებიდან ძლიერებისკენ.

▪ **სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა გარდა, ყველა სხვა პირის საშემოსავლო გადასახადი რჩება ადგილობრივ დონეზე**

მსგავსი ალტერნატივის განხორციელება შედარებით ნაკლებად შეამცირებს ცენტრალური ბიუჯეტის პერიპეტებს, თუმცა, იმის გამო, რომ რეგიონებში სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული პირების რაოდენობა აღემატება კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას, ეს სცენარი ვერ გამოიწვევს ისეთ ეფექტს, რომელიც საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად. თანაც ისევ პრობლემატური იქნება თბილისის პოლარიზებული და ამასთანავე, პრობლემა წამოიჭრება იმაშიც, რომ დაფიქსირდება, რეგიონებში დარეგისტრირებული კერძო სამართლის სუბიექტებში დასაქმებულთა სტატისტიკა, ასევე მსხვილი ბიზნეს სუბიექტების ფილიალებში დასაქმებულთა სტატისტიკაც, რაც არცთუ იოლი მოსაპოვებელია.

▪ **სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშემოსავლო გადასახადი რჩება ადგილობრივ დონეზე**


მოცემული ალტერნატივა მომგებიანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ისაა, რომ ზოგადად, მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ორგანოებში (იგულისხმება სასწავლო დაწესებულებებიც) დასაქმებულთა რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობის პროპორციულია. თანაც, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, სახელმწიფო და კერძო სექტორში დაქირავებულთა საერთო რაოდენობის 40%-ია და დაახლოებით 500 მლნ ლარს აკუმულირებს. თუ ამ პოლიტიკას გავატარებთ, მივიღებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ნახევარი მლრდ ლარი დააკლდება, ხოლო ტრანსფერების რაოდენობის მცირე, მაგრამ მაინც შემცირებას გამოიწვევს.

თუმცა უარყოფითი მხარეც აქვს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რადგან ამ რეფორმით ნაკლებ სავარაუდოა, ადგილობრივმა მმართველობამ იზრუნოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე, განავითაროს კერძო სექტორი და პირიქით, მისთვის მომგებიანი იქნება გაზარდოს საჯარო მოხელეთა რაოდენობა და ხელფასი.

▪ **საშემოსავლო გადასახის პროცენტული წილის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ეტაპობრივი გადაცემა. „ზიარი გადასახადი“**

„ზიარი გადასახადი“ იღებურად გულისხმობს საშემოსავლო გადასახადის ნაწილობრივ გადაცემას ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის, თუმცა ეს „ულუფები“ თანდათანობით უნდა გაიზარდოს. თუ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის 20%-ს დაუტოვებს ადგილობრივ ხელისუფალს, ეს მას დაახლოებით 300 მლნ ლარი დაუჯდება. რა თქმა უნდა, ტრანსფერების საჭიროებაც იქნება დღის წესრიგში, მაგრამ მათი რაოდენობაც შემცირდება. ამასთანავე, სახელმწიფოს დასჭირდება შემოსავლების სამსახურში არსებული გადასახადების გადამხდელთა ბაზის მოდერნიზაცია/მოწესრიგება, რათა წინასწარი გათვლების განხორციელება შევძლოთ და ადგილობრივ დონეზე არსებული დასაქმების, შემოსავლების (მათ შორის ხელფასების) და ბიზნეს აქტივობის სტატისტიკის შედგენა, რაც ასევე მომავალშიც გამოსადევი იქნება.

გრაფიკი 1



რესპონდენტების 85%-ი თანახმაა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში დარჩეს საშემოსავლო გადასახადი, 11-მა პროცენტმა განაცხადა უარი დარჩენაზე და 4%-მა თავი შეიკავა.

**დასკვნა**

კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ადგილობრივი თვითმმართველობების როლი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საკითხში.

კვლევის მთავარი მიგნებებია:

- ფისკალური დეცენტრალიზაციის უმთავრესი დანიშნულებაა, უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის გატარებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით. ადგილობრივი თვითმმართველობა მაშინ არის ეფექტიანი, როცა იგი უფლებებსა და პასუხისმგებლობასთან ერთად მნიშვნელოვან რესურსებს ფლობს.
- თვითმმართველობის განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი გადასახადებიდან შემოდოდეს. თუ ადგილობრივი გადასახადები არ არის საკმარისი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს სუბსიდია (გრანტები), რათა უზრუნველყოფილი იქნას ცხოვრების თანაბარი პირობები და საჯარო მომსახურების მაღალი ხარისხი.
- ბიუჯეტი არის ქვეყნის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც
- ეხება ყველას და ყველაფერს, ამიტომ შემოსავლები საჭიროა სწორად იქნეს გადანაწილებული, იმისთვის, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა შეძლონ მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულება. საშემოსავლო გადასახადის ნაწილი უნდა დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტში, რათა მოხდეს მუნიციპალიტეტის სტიმულირება და ეფექტიანი მუშაობით შეძლონ ეკონომიკური განვითარება და ფინანსური სარგებლის მიღება.

აქსიომაა, რომ ნებისმიერ ორგანოს საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის სჭირდება ფინანსური რესურსი.

- ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაზე უკეთ იცის მოსახლეობის საჭიროებები და ამიტომ დეცენტრალიზაციის დოკუმენტის მიხედვით შესაძლებელია თვითმმართველობამ განახორციელოს სოციალური შემწეობის პროგრამა, გასცეს ლიცენზიები და ნებართვები ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე და გაუწიოს მონიტორინგი, დააწესოს ახალი ადგილობრივი მოსაკრებლები.
- თანამედროვე ტიპის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის საჭირო უნარი და კვალიფიკაცია მოითხოვს დამოუკიდებლად პროექტების განხორციელებას, რომელიც პასუხობს ადგილობრივ გამოწვევებს. დღემდე მოქმედი არსებული დაფინანსების მოდელებით, ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებები შეზღუდულია და შესაბამისად გამოცდილება დამოუკიდებლად რეფორმების კეთების არის ძალიან დაბალი.
- ადგილობრივი თვითმმართველობების საკითხების დამუშავება მნიშვნელოვანია არა მარტო რეგიონებისთვის და იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის, არამედ ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებისა და მახასიათებლების მატარებელია. აღნიშნული ფუნქციებისა და მახასიათებლების კვლევა და მათ შორის კავშირების გამოკვლევა თვითმმართველობის ეფექტიანობის ამადლების საფუძველია.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. პროექტის სახელწოდება - **ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი ფინანსურად ძლიერი მუნიციპალიტეტის შექმნის პროცესში** (სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითზე). გრანტის ნომერი - PhD\_F\_17\_99.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., კონჯარია ო., ადგილობრივი თვითმმართველობა, დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, მწვანე კავკასია, UNDP, 2016.
3. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, სტრასბურგი, 1985
4. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CPIDD), 2003 წ.
5. პაპავა ი. 2019 წ.
6. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი.- ეკონომიკური პრობლემები კონცეფციის რეალიზაციის ძირითადი პრობლემები. [PDF] waset.org
7. გოგორიშვილი ი. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. [PDF] utlib.ee  
<https://ojs.utlib.ee/index.php/TPEP/article/viewFile/12984/8067>;

ელექტრონული ლიტერატურა

1. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
2. <https://www.rs.ge/4771>
3. [www.droa.ge](http://www.droa.ge)
4. <http://www.mrdi.gov.ge/>
5. <https://mof.ge/>
6. <https://matsne.gov.ge/en>



**ლევან კიკილაშვილი**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, დოქტორანტი;  
**რუსუდან კვარაცხელია**  
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი.

### ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებაში

**რეზიუმე.** საქართველო განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანაა და ის მუდამ დგას თანამედროვე გამოწვევების წინაშე. ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტის გამო, სახელმწიფო ახალი სოციალურ-ეკონომიკური კუთხით განვითარების გზაზეა და განხორციელებას იწყებს მრავალი ტექნოლოგიური სიახლე. მიუხედავად ამისა, დიდ ქალაქებში ჭარბობს სხვადასხვა დაავადების გამოწვევები რისკფაქტორი, რაც ხშირად დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასა და მწვანე ეკოსფეროს სიმცირესთან. კვლევის მიზანია საქართველოში გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული და ჯანმრთელობის გაუარესებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. რესპოდენტთა გამოკითხვა მოხდა წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით და თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექსპერტთა(10) სიღრმისეული გამოკითხვა ფოკუსჯგუფის მეთოდით. თვისებრივი კვლევისას, ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ დაბინძურებულია მათი საცხოვრებელი ადგილი, მდგომარეობა კი ძალიან მძიმეა. დიდი ქალაქებისკენ შეინიშნება მოსახლეობის შიდა მიგრაცია მუნიციპალიტეტებიდან, რაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს თუნდაც დედაქალაქს, რადგან თითოეულ ადამიანს სჭირდება თავისი ადგილი, რათა კომფორტულად იგრძნოს თავი, ქ. თბილისი კი ქვაბულია და ვერ ხდება გამტარი, ათეულ ათასი ადამიანის ყოველდღიური საჭიროებების მიღებისა. კვლევის დასასრულს, შემუშავდა ეკოქალაქის მოწყობის მაკეტი, შემდეგ კი ბინების ოთახებში, სასარგებლო მცენარეთა, ასევე მიკრომწვანილთა მოსაყვანად შესაბამისი სტანდარტის თაროები.

**საკვანძო სიტყვები:**ინოვაცია-ნოვაცია, ეკოქალაქი, უნარჩენო ტექნოლოგიები, დაავადებების პრევენცია, ეკონომიკური გაძლიერება.

### შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება სხვა ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად გულისხმობს გარემოს დაცვასა და სურსათის უვნებლობის საკითხს, რაც განპირობებულია ადამიანის ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის ხარისხის ამაღლების კუთხითაც. თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, მის გაუმჯობესებას და რეაბილიტაციას, ბუნებრივი რესურსების გონივრულ და მდგრად გამოყენებას. ასევე შეთანხმება მოიცავს გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად საერთაშორისო სტანდარტების დონის ზრდას, ხელშეწყობასა და ზრუნვას ისეთ სფეროებში, როგორცაა: გარემოსდაცვითი მმართველობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მონიტორინგი, ზედამხედველობა და აღსრულება, ასევე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოს სტრატეგიული შეფასება, დაგეგმვა, საინფორმაციო სისტემების გამართვა და ინფორმაციის საჯაროობა; ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია; ჰაერის და წყლის ხარისხი; წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა; ურბანული დაბინძურება; ინდუსტრიული საფრთხეები; ქიმიური ნივთიერებების მართვა.

ადამიანის საცხოვრებელი გარემო პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხარისხზე. რისკის ფაქტორი არის ყველგან. ეს არის ჰაერის დაბინძურება (შიდა და გარე ჰაერის ხარისხი), არაადეკვატური

წყალი (სანიტარია და ჰიგიენა), ქიმიკატები და ბიოლოგიური აგენტები, რადიაცია, აგრარული ნარჩენები (შხამ-ქიმიკატებითა და პესტიციდებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლები), სამშენებლო რისკი (მასალები), გზები, კლიმატის ცვლილება, შრომის რისკი, სმაური.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში დიდი ყურადღება ექცევა მყარი ნაწილაკების ზომებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია <PM 10 - PM 2.5 ზომის მყარი ნაწილაკები ჰაერში. ეს არის ულტრადისპერსიული, წვრილდისპერსიული და მსხვილი ნაწილაკები (ზღვის მარილის ატომები, მფრინავი მტვერი, შავი საუი, სახატავი პიგმენტები, თამბაქოს კვალი, ცემენტის მტვერი, დაქანგული ატომები, ნახშირის მტვერი, ნავთობის კვამლი, მეტალურგიული მტვერი და გამონაბოლქვი, ფოტოქიმიური სმოგი, ინსექტიციდების მტვერი და სხვ.) ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია ნახშირჟანგისა და ნახშირორჟანგის არსებობა ჰაერში, რომელთა შემცველობა დასაშვებ ზღვარს აჭარბებს დიდ ქალაქებში.[11] ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია გარემოში NO და NO<sub>2</sub>-ის ჭარბი კონცენტრაცია. ამ ნივთიერებების გამოყოფის ძირითადი წყაროებია: ქვანახშირისა და ნავთობის წვის პროცესები, ბენზინზე მომუშავე საავტომობილო ტრანსპორტი, ქიმიური და მძიმე მრეწველობის საწარმოები. NO და NO<sub>2</sub> მაღალტოქსიკური ნივთიერებებია, ასე, მაგალითად, თუ ჰაერში მათი კონცენტრაცია 0,5 მგ/ლ-ს აღწევს, ხშირია ფილტვებისა და სასუნთქი გზების მძიმე დაავადებები. NO-ს ტოქსიკური ზემოქმედება ადამიანზე CO-ს მექანიზმით ხასიათდება. SO<sub>2</sub>, MNO<sub>2</sub>, NO<sub>2</sub> ასევე ჭარბი ოდენობით შეინიშნება ჰაერში.

რაც შეეხება წყალს, ძირითადი დაბინძურება საყოფაცხოვრებო სექტორიდან ხდება, ზედაპირული წყლის ობიექტებში გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვების გზით. ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან, გრუნტის წყლებში ხდება პესტიციდები, ნიტრატები, მცირე რაოდენით ფოსფატებიც. [7] დიდი პრობლემაა შხამქიმიკატების უკონტროლო და დაბალი განათლების პირობებში მათი არასწორი გამოყენება. ყოველწლიურად წყლისმიერი დაავადებების დაახლოებით 250 მილიონი შემთხვევა ფიქსირდება, აქედან 5-10 მილიონი ლეტალურად სრულდება [8].

2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ავადობასა და მოკვდაობას 71%-ით არაგადამდები დაავადებები იწვევს. მსოფლიო ეკონომიურ ფორუმის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ამ პათოლოგიებით გამოწვეული გლობალური ტვირთი ბოლო ათწლეულში 47 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღწევს. ეს და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი ადასტურებს, რომ დღეს უადრესად მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დაავადებათა პრევენციის კუთხით, ასევე მეტი ინფორმაციის მიწოდება ბიზნეს-სექტორისთვის, რათა მათ გაუწნდეთ ინტერესი და გაიაზრონ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და მათი დანერგვის აუცილებლობა. არაგადამდები დაავადებების საფუძველზე გამოწვეული მოკვდაობის დიდი წილი მოდის კარდიოვასკულარულ დაავადებებზე. განსაკუთრებით ასეთია: გულის ინფარქტი, ინსულტი, ასევე მოკვდაობას განაპირობებს სიმსივნეები, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები, როგორცაა ქრონობსტრუქციული ფილტვის დაავადება, ასთმა, დიაბეტი.

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG goals) მესამე მიზანი (SDG 3) – ცალსახად გულისხმობს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ყველა ასაკში (Ensure health and promote well being for all age), მეოთხე ამოცანა კი მიმართულია (SDG 3.4) იმაზე, რომ არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილობა შემცირდეს მინიმუმ ერთი მესამედით, პრევენციისა და მკურნალობის გზით, მენტალური ჯანმრთელობის პოპულარიზაციით.

საქართველოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2014 წელს სიკვდილიანობის 94% სწორედ არაგადამდები დაავადებებითაა გამოწვეუ-

ლი. ბოლო წლების განმავლობაში კი არაგადამდები დაავადებების სიხშირე მზარდია ქვეყანაში [9].

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, გამოიკვეთა ის რისკის შემცველი ფაქტორები, რაც ხელს უწყობს არაგადამდები დაავადებების გავრცელებას, შესაბამისად მათგან გამოწვეულ სივლილიანობის რისკს ზრდის. ეს ფაქტორებია: დაბალი ფიზიკური აქტივობა, თამბაქოს მოხმარება, (მათ შორის პასიური), ალკოჰოლი და არარაციონალური კვება(რომელშიც ძირითადად შაქრის, ცხიმების და მარილის ჭარბი ოდენობა ფიქსირდება). არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევა (STEP wise approach to NCD Surveillance–STEPS) ჩატარდა საქართველოშიც, ორ ეტაპად, ეს იყო 2010 და 2016 წელს. როგორც კვლევიტ დადგინდა, რაციონალური კვების კომპონენტი, ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორია დაავადებების გავრცელების. მოსახლეობის დაახლოებით 63% ვერ იღებს ხილისა და ბოსტნეულის დღიური ნორმით განსაზღვრულ რაოდენობას.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მძიმე მეტალები. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე მათი მოცულობა გარემოში შესამჩნევად გაიზარდა. მსოფლიო დონეზე, მრავალი კვლევაც ადასტურებს, რომ ყოველდღიური მოხმარების საგნები, ჰიგიენის საშუალებები, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები, სტომატოლოგიური მომსახურებისას გამოყენებული ნივთები, სიგარეტები და ა.შ., შეიცავს მძიმე მეტალებს. ცნობილია, რომ ის, რაც კანს ეხება, ყველაფერი გადადის ჩვენს ორგანიზმში, აღწევს უჯრედებში, რაც საბოლოოდ ნივთიერებათა ცვლის საფუძველზე ადამიანის ავადობისა თუ ჯანმრთელობის საფუძველია. მძიმე მეტალებს შეუძლიათ დნმ-ის დაზიანება, ენდოკრინული სისტემის მოშლა (რაც ხშირად სიმსუქნის, დიაბეტის და სხვ. დაავადებების მაპროვოცირებელია). მძიმე მეტალებით დაბინძურებისგან გასათავისუფლებად ორგანიზმი დიდ ძალისხმევას სწევს დეტოქსიკაციისთვის, რაშიც უამრავი, ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ საჭირო ნივთიერება იხარჯება. მძიმე მეტალები განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის. მაგალითისთვის, ტყვიით დაბინძურება განსაკუთრებულად საფრთხის შემცველია გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ტყვია, თავისი ბუნებით, კუმულაციური თვისებისაა, მას შეუძლია მნიშვნელოვნად დააზიანოს ნერვული, სისხლძარღვოვანი და გულსისხლ-ძარღვოვანი, ასევე გასტროენტეროლოგიური სისტემები, უარყოფითად იმოქმედოს რეპროდუქციულ სისტემაზე. აღსანიშნავია, რომ ბავშვის ორგანიზმს მეტი ტყვიის შეწოვის უნარი აქვს, ვიდრე მოზრდილისას და შეუძლია შეუქცევადად დააზიანოს მისი ჯანმრთელობა. გლობალურ დაავადებათა თითქმის 0,6%-ის გამომწვევად ტყვია სახელდება. მართალია, განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები, ტყვიის შესამცირებლად ბენზინში, საღებავებში, სანიტარულ ტექნიკაში, თუმცა ეს ნამდვილად არ არის საკმარისი და ვერ გვაჩვენებს პოზიტიურ სურათს, ზოგადად ტყვიის შემცველობაში გარემოსა თუ სხვადასხვა ნივთში. ვიცით, რომ ტყვიის გავრცელება გარემოში ბუნებრივადაც ხდება ვულკანური მასების, გეოქიმიური ამოფრქვევების და ზღვის შესხვების გზით, თუმცა მას ემატება ადამიანის საქმიანობაც. ტყვია, გარემოში მოხვედრის შემდეგ, საკმაოდ მყარად ინარჩუნებს მდგრადობას, ასევე მას ახასიათებს გადაადგილების მაღალი პოტენციალი, შესაბამისად, აბინძურებს ტერიტორიულად საკმაოდ შორეულ ადგილებსაც კი.

